მიავლეთვალი

ეოლიანეთი

სახელმძღვანელო მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის „საქართველოს ახალგაზრდობის მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობისთვის მომზადება" (DTYG) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თეა ქამუშაძე, რუსუდან ჭუმბურიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

ყდის დიზაინი

ნინო იოსელიანი

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ: ჭაბუკი ქირია, ნათელა მელიქიძე, თეა თათენაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN ISBN978-9941-8-0977-4

მრავალფეროვნება
და ტოლერანტობა

ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება

საკითხავი
(Reader)

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის
სტუდენტებისთვის

თბილისი
2019 წელი

სარჩევი

თემა 1 - მრავალფეროვნების არსი 3
თემა 2 - მოქალაქე და საზოგადოება 12
თემა 3 - ადამიანის უფლებები და თავისუფლებები 21
თემა 4 - ლიბერალიზმი და თანამედროვე სამყარო 31
თემა 5 - განათლების სისტემის წარმატებული მაგალითი 40
თემა 6 - რასიზმი და აპარტეიდი 49
თემა 7 - ჰოლოკოსტი და კოლექტიური პასუხისმგებლობა 57
თემა 8 - უცნობი და ნაცნობი ჩინური კულტურა 65
თემა 9 - უძველესი კულტურის კვალი ირანში და თანამედროვე გამოწვევები 73
თემა 10 - ინდური კულტურა და ეკოსისტემა 81
თემა 11 - სახალხო დღესასწაულების კულტურა ესპანეთში 91
თემა 12 - კულტურათა ურთიერთგავლენა 99
თემა 13 - რელიგიური პრაქტიკის მრავალფეროვნება 108
თემა 14 - ქორწინების უნივერსალური ფორმები და მრავალფეროვნება..... 117
სავარჯიშოების სწორი პასუხები 126
დანართი 140
გამოყენებული ლიტერატურა 163

თემა 1
მრავალფეროვნების არსი

კითხვები გამოწვევისთვის

რას ნიშნავს თქვენთვის, როგორ გესმით მრავალფეროვნება?
რატომ აკავშირებენ ყველაზე მეტად მრავალფეროვნებას კულტურასთან?
სად გვხდება მრავალფეროვნება?
რატომ უკავშირდება სირთულეებს განსხვავებულის გაგება?
რა უპირატესობები შეიძლება ჰქონდეს მრავალფეროვნებას?

რატომ მრავალფეროვნება?

რა ენაზე ვსაუბრობთ? რომელ რელიგიას მივეკუთვნებით? რომელ დღესასწაულებს აღვნიშნავთ? როგორ გამოვიყურებით? როგორია ჩვენი კულტურა?

კულტურა ჩვენს სახეს ქმნის და გავლენას ახდენს ჩვენს იდენტობასა და ქცევაზე. კულტურა ჩვენი არსებობის ფორმაა. კულტურაზე საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ საზიარო ენას, ღირებულებებს, ქცევის ნორმებსა და მატერიალურ, ყოფით საგნებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელობის აღიარება და მისი შენარჩუნების აუცილებლობა თანამედროვე სამყაროსთვის გამოწვევაა. დღეს, ტექნიკის სწრაფი განვითარებისა და გლობალიზაციის გამო, აუცილებელია კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ იუნესკომ მსოფლიო მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით შექმნა სპეციალური ნუსხა. 2001 წელს კი მიიღო უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია. 2002 წელს გაერომ 21 მაისი კულტურული მრავალფეროვნების დღედ გამოაცხადა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა ამ დღეს განსხვავებულად, თუმცა ერთნაირი პათოსით აღნიშნავს.

კულტურულ მრავალფეროვნებას ხშირად მულტიკულტურალიზმსაც უწოდებენ.

მულტიკულტურალიზმი ნიშნავს კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას, განსხვავებულის პატივისცემას, მის დაფასებასა და მხარდაჭერას.

კულტურა ადამიანისათვის ერთგვარი სათვალეა, რომლის საშუალებითაც ის უყურებს და აფასებს სხვებს. ძირითადად ადამიანი საკუთარ კულტურას აღიქვამს, როგორც ნორმას, წესს. შესაბამისად, სხვას - „არანორმალურად“ და „უწესოდ“ მიიჩნევს. ადამიანები ხშირად განსჯიან სხვებს იმიტომ, რომ მათგან განსხვავებულები არიან. ხშირია „კულტურული შოკი“ და კონფლიქტები.

მულტიკულტურული საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული მრავალფეროვნების აღიარება და დაფასება, რაც თანაცხოვრებისათვის აუცილებელია. ჩვენს საზოგადოებაში მრავალფეროვნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ერთ-ერთ მაგალითად ტრადიციული ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა შეიძლება ჩაითვალოს.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. თანამედროვე საზოგადოებაში მრავალფეროვნების მნიშვნელობას არ აღიარებენ
2. მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყეს
3. იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სპეციალური ნუსხა შექმნა
4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალური ნუსხა 2001 წელს შეიქმნა
5. უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია 2001 წელს მიიღეს
6. კულტურა ჩვენს სახეს ქმნის, გავლენას ახდენს ჩვენს იდენტობასა და ქცევაზე
7. მულტიკულტურალიზმი ნიშნავს კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას
8. ადამიანი საკუთარ და სხვის კულტურას აღიქვამს, როგორც აუცილებელ ნორმას
9. ადამიანები ხშირად განსჯიან სხვებს განსხვავებულობის გამო
10. მულტიკულტურული საზოგადოებისთვის უმნიშვნელოა კულტურული მრავალფეროვნების აღიარება
11. გაერომ კულტურული მრავალფეროვნების დღე დააწესა
12. კულტურული მრავალფეროვნების დღე 2002 წლიდან აღინიშნება

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომაა აუცილებელი კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე ზრუნვა?
2. რომელი ორგანიზაცია ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე?
3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გარდა კიდევ რა ფუნქცია აქვს იუნესკოს?
4. რას ეწოდება მულტიკულტურალიზმი?
5. როდის შექმნა იუნესკომ მსოფლიო მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სპეციალური ნუსხა?
6. რას ნიშნავს საზიარო კულტურა?
7. რა შეიძლება ითქვას ქართული ხალხური მრავალხმიანობის შესახებ?
8. რატომ მიიჩნევენ ადამიანები სხვებს ხშირად ,,არანორმალურად“ და ,,უწესოდ?“

3. დააკვირდით ფოტოებს, დაასათაურეთ და ისაუბრეთ:

--- --- ---

როგორ ფიქრობთ, რატომ ხელები?

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1.დღესასწაულის	ა. **მრავალფეროვნება**
2.გავლენას	ბ. ნორმა
3.არსებობის	გ. სიმღერა
4.საზიარო	დ. დაცვა
5.ქცევის	ე. ახდენს
6.**კულტურული**	ვ. აღნიშვნა
7. თანამედროვე	ზ. შოკი
8.მემკვიდრეობის	თ. ღირებულებები
9.დაცვის	ი. აღიარება/დაფასება
10. კულტურული	კ. სამყარო
11. მრავალხმიანი	ლ. ფორმა
12. მრავალფეროვნების	მ. მიზნით

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. დღესასწაული	ა. შთამომავლობა-მამები, შვილები, შვილიშვილები...
2. იდენტობა	ბ. აღიარებული წესი, მისაღები, დასაშვები
3. ქცევა	გ. გლობალური მასშტაბების მინიჭება
4. საზიარო	დ. ძლიერი აღფრთოვანება, ენთუზიაზმი
5. ნორმა	ე. იგივეობა
6. ღირებულება	ვ. დაცვა, შენახვა
7. თაობა	ზ. ზეიმი, საზეიმო დღე
8. შენარჩუნება	თ. სია, ჩამონათვალი
9. გამოწვევა	ი. განხილვა, განკითხვა, გაკრიტიკება.
10. გლობალიზაცია	კ. დამოკიდებულება, საქციელი (კარგი/ცუდი)
11. ნუსხა	ლ. ფასი, მნიშვნელობა, ხარისხი.
12. დეკლარაცია	მ. მიმხრობა, თანაგრძნობა, სოლიდარობა
13. პათოსი	ნ. საერთო
14. მხარდაჭერა	ო. ოფიციალური განცხადება (მაგ., კანონის)
15. განსჯა	პ. გაყოლა რაიმე საქმეში (შეჯიბრებაში, ბრძოლაში...) მიზეზად გახდომა/აყოლა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

6. ვისაუბროთ!

მიღებული ინფორმაციიდან რა იყო თქვენთვის ცნობილი/ახალი?
კიდევ რა გაინტერესებთ მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის შესახებ?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. კულტურული მრავალფეროვნების აღიარება და შენარჩუნება მნიშვნელოვანია.
   ა) დარჩენა; ბ) დაცვა; გ) გაზიარება
2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით შეიქმნა სპეციალური ნუსხა.
   ა) ჩასხმა; ბ) წარწერა; გ) სია
3. კულტურაზე საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ საზიარო ენას, ღირებულებებს.
   ა) საერთო; ბ) საზიანო; გ) საწინააღმდეგო.
4. გაერომ 21 მაისი კულტურული მრავალფეროვნების დღედ გამოაცხადა.
   ა) გამოაჩინა; ბ) დააწესა; გ) დაბეჭდა.
5. მულტიკულტურალიზმი ნიშნავს კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას.
   ა) განაწილებას; ბ) განცხადებას; გ) დაფასებას
6. მულტიკულტურალიზმი კულტურის მრავალფეროვნების აღიარება და განსხვავებულის პატივისცემაა.
   ა) დაფასებაა; ბ) ყიდვაა; გ) დაწესებაა
7. ძირითადად ადამიანი საკუთარ კულტურას აღიქვამს როგორც ნორმას, წესს.
   ა) თავის; ბ) საზიარო; გ) უცხო
8. ძირითადად ადამიანი საკუთარ კულტურას აღიქვამს როგორც ნორმას, წესს.
   ა) მიიჩნევს; ბ) აწერს; გ) შეამჩნევს
9. ძირითადად, ადამიანი საკუთარ კულტურას აღიქვამს როგორც ნორმას.
   ა) ზოგჯერ; ბ) უმთავრესად; გ) იშვიათად
10. მულტიკულტურალიზმი ნიშნავს კულტურის მრავალფეროვნების აღიარებას, განსხვავებულის დაფასებასა და მხარდაჭერას.
    ა) გაძლიერებას; ბ) დაჭერას; გ) თანაგრძნობას.
11. ადამიანები ხშირად განსჯიან სხვებს განსხვავებულობის გამო.
    ა) დასჯიან; ბ) აკრიტიკებენ; გ) ეჩხუბებიან.
12. იუნესკომ მიიღო უნივერსალური კულტურული მრავალფეროვნების დეკლარაცია.
    ა) საყოველთაო; ბ) სასარგებლო; გ) საჭირო.

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. კულტურულ მრავალფეროვნებას ხშირად ---------- (მულტიკულტურალიზმი) უწოდებენ.
2. კულტურა ჩვენს ---------- (სახე) ქმნის და ---------- (გავლენა) ახდენს ჩვენს იდენტობასა და ---------- (ქცევა).
3. ---------- (კულტურა) საუბრისას ჩვენ ვგულისხმობთ საზიარო ---------- (ენა), ღირებულებებსა და ---------- (ქცევა) ნორმებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა.
4. კულტურა ---------- (ადამიანი) ერთგვარი სათვალეა, რომლის საშუალებითაც ის უყურებს და ---------- (შეფასება) სხვებს.
5. ჩვენს ---------- (საზოგადოება) მრავალფეროვნებისადმი პოზიტიური ---------- (დამოკიდებულება) ერთ-ერთ მაგალითად ტრადიციული ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა შეიძლება ---------- (ჩათვლა).
6. მულტიკულტურული ---------- (საზოგადოება) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული ---------- (მრავალფეროვნება) აღიარება და დაფასება, რაც ---------- (თანაცხოვრება) აუცილებელია.
7. ---------- (მსოფლიო) სხვადასხვა ქვეყანა ამ დღეს განსხვავებულად, თუმცა ერთნაირი ---------- (პათოსი) აღნიშნავს.
8. დღეს, ტექნიკის სწრაფი ---------- (განვითარება) და ---------- (გლობალიზაცია) გამო აუცილებელია კულტურული მრავალფეროვნების -------- (შენარჩუნება) ზრუნვა.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
მოვლა	ზრუნვა	
ლაპარაკი	საუბარი	
ზეგავლენა	გავლენა	
საერთო	საზიარო	
დაცვა	შენარჩუნება	
ნელი	სწრაფი	ჩქარი
პროგრესი	განვითარება	განუვითარებლობა
მსგავსი	ერთნაირი	განსხვავებული
არანორმალური	უწესო	წესიერი
დადებითი	პოზიტიური	ნეგატიური
თანაგრძნობა/სოლიდარობა	მხარდაჭერა	

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ან მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისგან ნაწარმოები სიტყვები:

I. გავლენა, გავლენიანი, გავლენას ახდენს
II. შენარჩუნება, ინარჩუნებს, შენარჩუნებული
III. დამოკიდებულება, დამოკიდებულია, დამოუკიდებელი

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში <u>საჭირო ფორმით</u>:

I. 1. კულტურა ---------- ადამიანის ყოფაზე.

2. ბევრი ---------- ადამიანი საუბრობს კულტურის მნიშვნელობაზე.

3. თითქმის ყველა კულტურა განიცდის სხვა კულტურის ---------- .

II. 1. ყველა ერი ---------- საკუთარი კულტურის ძეგლებს.

2. იუნესკოს მიზანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა და ----------.

3. ამ სოფელში ჯერ კიდევ არის ---------- ძველი ტრადიციები.

III. 1. ადამიანის შეხედულებები ---------- ქვეყანასა და კულტურაზე.

2. საზოგადოებაში მრავალფეროვნებისადმი პოზიტიური ---------- ძალიან მნიშვნელოვანია.

3. იზოლირებული, სრულიად ---------- კულტურა არ არსებობს.

წაიკითხეთ დიალოგი!

- ნინა, შენი რჩევა მჭირდება!
- აბა, რით შემიძლია დაგეხმარო, ლალი?
- საინტერესო თემა მინდა ავიღო რეფერატისთვის, რამე განსაკუთრებული და შენი აზრი მაინტერესებს!
- რომელ საგანში გაქვს რეფერატი მოსამზადებელი?
- მრავალფეროვნების კურსს გავდივარ.
- ოო, მაშინ, რამე გამორჩეული უნდა შეარჩიო...
- აინებზე ვფიქრობდი, კურილიის კუნძულებზე რომ ცხოვრობენ...
- ბევრი არაფერი ვიცით მათ შესახებ, მაგრამ მგონი უინტერესო არ უნდა იყოს!
- დღეისათვის, ოფიციალური მონაცემებით, სულ 25 000 აინია რეგისტრირებული.
- მეტი არა?

- არაოფიციალურად 200 000-ზე მეტი უნდა იყოს, მაგრამ მათი უმრავლესობა ასიმილირებულია იაპონურ საზოგადოებაში, ნაწილი რუსულში.
- მგონი, მაგათ თავიანთი ენაც აქვთ, არა?
- კი აინი, რომელზეც, სამწუხაროდ, დაახლოებით 400 ადამიანი საუბრობს.
- რელიგია?
- ტრადიციულად ანიმიზმს მისდევენ, სჯერათ, რომ ყველაფერს სული აქვს ... იაპონიის გავლენით ბუდიზმი და სინტოც გვხვდება, ხოლო რუსულ ნაწილში მართლმადიდებელი აინებიც ცხოვრობენ.
- რა საინტერესოა!
- ყველაზე საინტერესო ისაა, რომ აინებში გხვდება უნიკალური მრავალხმიანობა, საოცარი მრავალფეროვნებით, მგონი 13 ჟანრია... იცი, წრიული ცეკვა და სიმღერებიც აქვთ, ზოგჯერ 5-6 ხმიანიც კი.
- ეგ კი ნადვილად არ ვიცოდი. წამაკითხე რა, როცა დაწერ რეფერატს.
- ანუ შენ ფიქრობ, რომ კარგი იდეაა აინებზე რეფერატის დაწერა?
- რა თქმა უნდა! მე უკვე დამაინტერესე!

11. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. რას სთხოვს ლალი ნინას?
   ა) წიგნს; ბ) რჩევას; გ) ინფორმაციას;
2. რომელ საგანში სჭირდება რეფერატის დაწერა ლალის?
   ა) მრავალხმიანობის; ბ) მრავალგვარობის; გ) მრავალფეროვნების
3. რომელ რელიგიას აღიარებენ აინები?
   ა) მხოლოდ ანიმიზმს; ბ) ბუდიზმსა და სინტოს; გ) არცერთი არაა სწორი;
4. დაახლოებით რამდენი ადამიანი საუბრობს აინების ენაზე?
   ა) 25 000; ბ) 400 გ) 200 000
5. აინების სასაუბრო ენაა:
   ა) აინი; ბ) რუსული და იაპონური; გ) ორივე ზემოდასახელებული.

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

თქვენი აზრით, ვინ არიან ერთმანეთისთვის ლალი და ნინა?
დიალოგში წარმოდგენილი ინფორმაციიდან რა იყო თქვენთვის ნაცნობი/ახალი?
რა მსგავსება დაინახეთ აინებისა და ქართულ კულტურას შორის?
თქვენ რას ურჩევდით ლალის, რა თემაზე შესთავაზებდით რეფერატის დაწერას?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

2001 წელს იუნესკომ ქართული მრავალხმიანობა მსოფლიოს უნიკალურ, ხელთუქმნელ 19 შედევრს შორის დაასახელა. მათგან ქართული მრავალხმიანი სიმღერა პირველი არამატერიალური კულტურის მემკვიდრეობის ძეგლი გახდა. აღნიშნული ფაქტი ქართული ხალხური სიმღერის უპირობო აღიარებას ნიშნავდა მსოფლიო მასშტაბით. მრავალხმიან სიმღერას ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სიმღერას ვხდებით ცხოვრების ყველა ეტაპზე და ყოფის ნებისმიერ სფეროში. უამრავი ქართული ხალხური სიმღერა უკავშირდება ვაზსა და ყურძენს. არსებობს მიწის სამუშაოების დროს შესასრულებელი სიმღერები, რომელსაც ნადური ჰქვია. საინტერესოა, რომ ზოგიერთ სიმღერას სამკურნალო ფუნქციაც ჰქონდა, მაგალითად, ,,ბატონების ნანებს“. გვხდება საბრძოლო და დატირების ფორმის სიმღერებიც.

მრავალხმიანობა არის მუსიკის ტიპი, სადაც ერთდროულად ერთზე მეტი სიმაღლის ბგერა ისმის. საქართველოში მრავალხმიანობის სამი ტიპი გვხვდება: კომპლექსური, რომელიც, ძირითადად, სვანეთშია გავრცელებული; დიალოგის ფორმის, რომელიც გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში; და კონტრასტული მრავალხმიანობა, რომელიც დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის.

ქართული ხალხური სიმღერის ცოტა უფრო ძველი აღიარება უკავშირდება კოსმოსური ხომალდის გაფრენას დედამიწიდან. 70-იანი წლების ბოლოს ლეგენდარულ მეცნიერსა და ტელეწამყვანს კარლ საგანს ნასასთან ერთად პროექტის განხორციელების იდეა გაუჩნდა. დედამიწიდან უნდა გაეშვათ რაკეტა, რომელზეც ჩვენი პლანეტის ბინადრების შესახებ იქნებოდა ინფორმაცია. შეიქმნა ე.წ. ,,ოქროს დისკი“. ამ დისკზე დატანილი იყო მათემატიკური ფორმულები, ადამიანებისა და ცხოველების ფოტოები, ასევე 27 მუსიკალური ნაწარმოები. ისინი განსაკუთრებული რუდუნებით შეირჩა. საამაყოა, რომ მათ შორისაა ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“ ანსამბლ ,,რუსთავისა“ და ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით. 1977 წლის 20 აგვისტოს კოსმოსში გაშვებული რაკეტა დღემდე აგრძელებს მოძრაობას უსასრულობაში.

12. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

13. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ქართული სიმღერის აღიარება 2001 წლიდან იწყება
2. კონტრასტული მრავალხმიანობა სვანეთშია გავრცელებული
3. კოსმოსური ხომალდი, რომელზეც პლანეტის ბინადრების ხმები იყო ჩაწერილი, XX საუკუნის 70-იან წლებში გაუშვეს ორბიტაზე
4. ,,ოქროს დისკზე“ მხოლოდ მუსიკალური ნაწარმოებები იყო დატანილი
5. ლეგენდარული კარლ საგანი პროექტს ნასასთან ერთად ახორციელებდა
6. კარლ საგანი ცნობილი მეცნიერი და ტელეწამყვანი იყო
7. იუნესკომ ქართული მრავალხმიანობა მსოფლიოს უნიკალურ ძეგლად 2001 წელს დაასახელა
8. ქართული მრავალხმიანობის გარდა მსოფლიო შედევრთა შორის კიდევ 21 ძეგლია
9. ქართული ხალხური სიმღერის მნიშვნელობას მსოფლიო აღიარებს
10. არსებობს მიწის სამუშაოების, საბრძოლო და სამკურნალო სიმღერები

11. თუ მეომარი ბრძოლაში დაიღუპებოდა, მას საბრძოლო სიმღერას უძღვნიდნენ
12. ბევრი ქართული ხალხური სიმღერა ვაზსა და ყურძენს უკავშირდება
13. მრავალხმიან მუსიკაში ერთდროულად ერთზე მეტი სიმაღლის ბგერა ისმის
14. დიალოგის ფორმის მრავალხმიანობა გვხვდება დასავლეთ საქართველოში
15. 1977 წელს კოსმოსში გაშვებული რაკეტა დღემდე აგრძელებს მოძრაობას
16. კოსმოსში გაუშვეს სიმღერა ,,ჩაკრულო“ ანსამბლ ,,რუსთავისა“ და ჰამლეტ გონაშვილის შესრულებით

ვისაუბროთ!

რა საინტერესო ფაქტები შეიტყვეთ ქართული მრავალხმიანობის შესახებ?
მოგისმენიათ რომელიმე ქართული ხალხური სიმღერა?
თქვენ რომელ სიმღერას/ მუსიკალურ ნაწარმოებს შეარჩევდით კოსმოსში გასაშვებად?
თქვენი აზრით, რა გავლენა აქვს მუსიკას კულტურაზე?
თქვენი აზრით, რატომ არ მოსწონს ყველას ხალხური სიმღერები?

თემა 2
მოქალაქე და საზოგადოება

კითხვები გამოწვევისთვის

როგორ გესმით, რას ნიშნავს თქვენთვის სიტყვა მოქალაქე, მოქალაქეობა?
ვის შეიძლება ვუწოდოთ კარგი მოქალაქე?
თქვენი აზრით, რა უფლებები და მოვალეობები აქვს მოქალაქეს?
რა იწვევს ცვლილებებს სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობებში?

მოქალაქე და მოქალაქეობა

სიტყვები „მოქალაქე“ და „მოქალაქეობა“ თანამედროვე მსოფლიოში ძალიან ხშირად გამოიყენება. ამ სახელწოდების საგანს ასწავლიან სკოლებში, მის შესახებ წერენ მწერლები, იურისტები და საზოგადო მოღვაწეები. პოლიტიკოსები კი ამ სიტყვებს საკუთარ პოლიტიკურ პროგრამებს აფუძნებენ. და მაინც რა არის მოქალაქეობა? რას ნიშნავს, იყო შენი ქვეყნის მოქალაქე?

მოქალაქეობა, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული კატეგორიაა. ყველა თანამედროვე სახელმწიფოში ადამიანი მოქალაქის იურიდიულ სტატუსს იძენს, კონსტიტუცია კი მის უფლებებსა და თავისუფლებებს განსაზღვრავს. თუმცა მოქალაქეობა უფრო მეტია, ვიდრე იურიდიული სტატუსი, ვინაიდან იგი უფლებებთან ერთად გარკვეულ პასუხისმგებლობებსაც გულისხმობს. რა პასუხისმგებლობები აქვს მოქალაქეს? რას ნიშნავს, იყო შენი ქვეყნის მოქალაქე? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა იოლი არ არის. სწორედ ამის გამო მოქალაქის პასუხისმგებლობებს მკაფიოდ არცერთი დეკლარაცია და კონვენცია არ განსაზღვრავს. ყველა ქვეყანაში კარგი მოქალაქე სხვადასხვა რამეს ნიშნავს. მიუხედავად ამისა, მოქალაქეობის ცნებაზე მაინც შეიძლება განზოგადებულად მსჯელობა.

მოქალაქეობა ნიშნავს გარკვეულობას, ცოდნას იმ საზოგადოების შესახებ, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს. ცნობილი ქართველი მწერალი დავით გურამიშვილი წერდა: “ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

ღირებულებითი თვალსაზრისით მოქალაქეობა, უპირველეს ყოვლისა, ზრუნვას გულისხმობს. ადამიანი უნდა ზრუნავდეს უშუალო გარემოზე - ოჯახზე, თემზე, სახელმწიფოზე. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეობა გულისხმობს, იცოდე სამოქალაქო მონაწილეობის ფორმები (პეტიცია, არჩევნები, მშვიდობიანი მანიფესტაცია, პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობა, არასამთავრობო ორგანიზაციის საშუალებით რაიმე იდეის მხარდაჭერა, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

და სხვა) და მათი საშუალებით ზრუნავდე შენი ქვეყნისა თუ სახელმწიფოს გაუმჯობესებაზე.

მოქალაქეს უნდა სწამდეს, რომ:

- სახელმწიფო მას ისევე ეკუთვნის, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს. პასუხისმგებლობასაც თანასწორად უნდა იზიარებდეს;
- მას, ერთ ადამიანს, შეუძლია და მართებს ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების მოხდენა.

ამასთან, იგი პატივს უნდა სცემდეს თავისი თანამოქალაქეების უფლებებს იმ შემთხვევაშიც, თუკი მისი მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდება. იმ შემთხვევაშიც, თუკი იგი დარწმუნებულია საკუთარი საქმის სისწორეში, მან დასახული მიზნის მისაღწევად არ უნდა მიმართოს ძალადობასა და სხვა ადამიანების დისკრიმინაციას.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. თანამედროვე სამყაროში სიტყვებს ,,მოქალაქეობა“ და ,,მოქალაქე“ ხშირად იყენებენ
2. მოქალაქეობა, როგორც საგანი, სკოლებში არ ისწავლება
3. ,,მოქალაქეობა“ და ,,მოქალაქე“ აქტუალურია მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის
4. მოქალაქეობისა და მოქალაქის ცნებებს პოლიტიკოსები თავიანთ პროგრამებში იყენებენ
5. თანამედროვე სახელმწიფოებში მოქალაქეს აქვს იურიდიული სტატუსი
6. ქვეყნის მოქალაქეობა უფლებების გარდა პასუხისმგებლობებსაც მოიცავს
7. მოქალაქის პასუხისმგებლობები მკაფიოდ და ცხადად არის განსაზღვრული დეკლარაციებსა და კონვენციებში
8. მოქალაქეობა ნიშნავს იმ საზოგადოების შესახებ ცოდნას, რომელშიც ცხოვრობ
9. მოქალაქე უნდა ზრუნავდეს თავის უშუალო გარემოზე
10. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო მონაწილეობის ფორმების ცოდნა მნიშვნელოვანია
11. მოქალაქე უნდა იაზრებდეს, რომ სახელმწიფო მას ისევე ეკუთვნის, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს
12. აუცილებელი არაა, პატივს სცემდე თანამოქალაქეების უფლებებს, თუკი მათი მოსაზრებები რადიკალურად განსხვავდება

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ არის აუცილებელი, რომ მოქალაქემ იცოდეს თავისი უფლებები და პასუხისმგებლობები?
2. თქვენი აზრით, რატომ იყენებენ პოლიტიკოსები თავიანთ პროგრამებში მოქალაქეობისა და მოქალაქის ცნებებს?
3. რომელი დოკუმენტით განისაზღვრება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები?
4. რატომ ნიშნავს ყველა ქვეყანაში კარგი მოქალაქე სხვადასხვა რამეს?
5. რა მოსაზრებას გამოთქვამდა ქართველი მწერალი დავით გურამიშვილი, რა უნდა იცოდეს ახალგაზრდამ?

6. რატომ არის გამოყენებული დავით გურამიშვილის სიტყვები ამ ტექსტში?
7. რას უნდა ფიქრობდეს მოქალაქე ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების შესახებ?
8. როგორ უნდა იცავდეს ადამიანი საკუთარ, თუნდაც რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებებს?

3. დააკვირდით ფოტოებს და მოიფიქრეთ მოკლე ისტორიები:



--- ---

--- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. საზოგადო	ა. მონაწილეობა
2. პოლიტიკური	ბ. სტატუსი
3. ქვეყნის	გ. გაზიარება
4. იურიდიული	დ. პროგრამა
5. პასუხის	ე. გარემოზე
6. ღირებულებითი	ვ. განსხვავდება
7. სამოქალაქო	ზ. მოღვაწე
8. მშვიდობიანი	თ. მანიფესტაცია
9. იდეის	ი. მიღწევა
10. რადიკალურად	კ. თვალსაზრისით
11. ზრუნვა	ლ. გაცემა
12. პასუხისმგებლობის	მ. მოქალაქე
13. მიზნის	ნ. მხარდაჭერა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. დაფუძნება
2. პასუხისმგებლობა
3. დეკლარაცია
4. კონვენცია
5. განსაზღვრა
6. განზოგადებული
7. ყმაწვილი
8. თემი
9. პეტიცია
10. მანიფესტაცია
11. დებატი
12. ზრუნვა
13. რადიკალური
14. განხორციელება
15. დისკრიმინაცია

ა. ზოგადი; რასაც ზოგადი სახე მიეცა
ბ. დახასიათება, შინაარსის დადგენა, რაიმეს გარკვევა
გ. ოფიციალური გამოცხადება აქტის, კანონის...
დ. შრომა, თადარიგის დაჭერა; მოვლა, პატრონობა
ე. ვალდებულება, პასუხი აგო საკუთარ მოქმედებაზე
ვ. დამყარება, დაყრდნობა რამეზე; შექმნა
ზ. პრაქტიკაში გატარება; რეალიზაცია, შესრულება
თ. საჯარო, მასობრივი გამოსვლა სოლიდარობის ან პროტესტის ნიშნად
ი. გადამწყვეტი, გადამჭრელი, უკიდურესი
კ. მხარე/კუთხე, გაერთიანებული გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით
ლ. ადამიანის თანასწორუფლებიანობის შეზღუდვა
მ. შეთანხმება, ხელშეკრულება რაიმე საკითხზე
ნ. წერილობითი კოლექტიური თხოვნა მთავრობას
ო. ბავშვი; ახალგაზრდა (ქალი ან ვაჟი)
პ. რაიმე საკითხის საჯარო განხილვა; კამათი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15

6. ვისაუბროთ!

მიღებული ინფორმაციიდან რა იყო თქვენთვის ცნობილი/ახალი?
კიდევ რა გაინტერესებთ მოქალაქეობასთან დაკავშირებით?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. პოლიტიკური პროგრამები მოქალაქეობისა და მოქალაქის ცნებებს <u>ეფუძნება</u>.

   ა) ეყრდნობა; ბ) იცავს; გ) იზიარებს

2. კონსტიტუცია მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს <u>განსაზღვრავს</u>.

   ა) დაადგენს; ბ) დაწერს; გ) გაიზიარებს

3. მოქალაქეობა უფლებებთან ერთად გარკვეულ <u>პასუხისმგებლობასაც</u> გულისხმობს.

   ა) გამგებლობას; ბ) ვალდებულებას; გ) დადგენილებას

4. მოქალაქეობა უფლებებთან ერთად გარკვეულ პასუხისმგებლობასაც <u>გულისხმობს</u>.

   ა) ხმაურობს; ბ) ისმის; გ) ნიშნავს.

5. მოქალაქის პასუხისმგებლობებს <u>მკაფიოდ</u> არცერთი დეკლარაცია არ განსაზღვრავს.

ა) ზუსტად; ბ) მკაცრად; გ) ფუჭად.

6. მოქალაქეობა ნიშნავს, <u>ზრუნავდე</u> შენი ქვეყნის გაუმჯობესებაზე.

ა) აფასებდე; ბ) შრომობდე; გ) გულისხმობდე

7. მოქალაქე პასუხისმგებლობასაც თანასწორად უნდა <u>იზიარებდეს</u>.

ა) ეზარება; ბ) უპასუხებს; გ) ინაწილებს

8. მოქალაქეობის ცნებაზე მაინც შეიძლება განზოგადებულად <u>მსჯელობა</u>.

ა) საუბარი; ბ) კამათი; გ) შეთანხმება

9. მას შეუძლია და <u>მართებს</u> ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების მოხდენა.

ა) მართალია; ბ) ევალება; გ) შეუძლია

10. იგი დარწმუნებულია საკუთარი საქმის <u>სისწორეში</u>.

ა) სისწრაფეში; ბ) ვალდებულებაში; გ) მართებულობაში

11. ადამიანმა დასახული მიზნის მისაღწევად არ უნდა <u>მიმართოს</u> ძალადობას.

ა) დაუძახოს; ბ) გამოიყენოს; გ) მოითმინოს.

12. "ყმაწვილი უნდა სწავლობდეს <u>საცნობლად</u> თავისადაო"

ა) შესამეცნებლად; ბ) გამოცდისთვის; გ) სამსახურისთვის

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. ყველა თანამედროვე ---------- (სახელმწიფო) ადამიანი მოქალაქის იურიდიულ ---------- (სტატუსი) იძენს, კონსტიტუცია კი მის უფლებებსა და---------- (თავისუფლებები) განსაზღვრავს.

2. ---------- (მოქალაქე) პასუხისმგებლობებს ---------- (მკაფიო) არცერთი დეკლარაცია და ---------- (კონვენცია) არ ---------- (განსაზღვრა).

3. მოქალაქეობა ნიშნავს გარკვეულობას, ---------- (ცოდნა) იმ ---------- (საზოგადოება) შესახებ, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.

4. თანამედროვე დემოკრატიული ---------- (სახელმწიფო) მოქალაქეობა ნიშნავს სამოქალაქო ---------- (მონაწილეობა) ფორმების ---------- (ცოდნა)

5. მოქალაქე ვალდებულია, იცოდეს სამოქალაქო მონაწილეობის ---------- (ფორმები) და მათი საშუალებით ---------- (ზრუნვა) თავისი ---------- (ქვეყანა) თუ სახელმწიფოს ---------- (გაუმჯობესება).

6. მოქალაქეს უნდა სჯეროდეს, რომ ერთ ---------- (ადამიანი) შეუძლია და მართებს ---------- (ქვეყანა) პოზიტიური ---------- (ცვლილებები) მოხდენა.

7. თუკი ადამიანი დარწმუნებულია საკუთარი საქმის ---------- (სისწორე), მან დასახული ---------- (მიზანი) მისაღწევად არ უნდა მიმართოს ---------- (ძალადობა).

8. ადამიანი პატივს უნდა სცემდეს თავისი ---------- (თანამოქალაქეები) უფლებებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი მოსაზრებები ---------- (რადიკალური) განსხვავდება.

სინონიმი	**სიტყვა**	**ანტონიმი**
ცხადად/აშკარად	მკაფიოდ	
საუბარი	მსჯელობა	
ახალგაზრდა	ყმაწვილი	ხანშიშესული/მოხუცი
პროგრესი	გაუმჯობესება	გაუარესება
	იოლი	ძნელი
	კითხვა	პასუხი
პატრონობა/მოვლა/შრომა	ზრუნვა	
	მეტი	ნაკლები
მოსაზრება/აზრი	იდეა	

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ან მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისგან ნაწარმოები სიტყვები:

I. გარკვეული, გასარკვევი, არკვევს
II. ცნობა, იცნობს, საცნობელი
III. დამორჩილება, დაუმორჩილებლობა, ემორჩილება

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში <u>საჭირო ფორმით</u>:

I. 1. მოგზაურობამდე ყველა ---------- საკითხი უნდა მოაგვაროთ.

2. მოქალაქეობა უფლებებთან ერთად ---------- პასუხისმგებლობასაც გულისხმობს.

3. გიორგი ----------, როდის შეძლებს ამ საინტერესო ფილმის დიდ ეკრანზე ნახვას.

II. 1. ,,ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, ---------- თავისადაო....“

2. ---------- მოქალაქეობის შესახებ უნდა წარადგინოთ შესაბამის ორგანოში.

3. მარიამს უცხოელი სტუმრები ახალციხეში მიჰყავს, რადგან იქ ყველა ისტორიულ ადგილს ----------.

III. 1. სამოქალაქო მონაწილეობის ფორმებია: პეტიცია, არჩევნები, მშვიდობიანი მანიფესტაცია, სამოქალაქო ---------- და სხვა.

2. დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი თავისუფალია და მხოლოდ კანონს------.

3. მტერმა ვერ მოახერხა მამაცი მებრძოლების ----------.

წაიკითხეთ დიალოგი!

- ნადია დეიდა, როგორ ხართ? გიორგი ვარ!
- კარგად, შვილო, შენ როგორ ხარ? როგორ შეცვლილხარ! რამდენი ხნით ჩამოხვედი?
- 2 კვირით... მშობლების სანახავად ჩამოვედი არდადეგებზე. ერთ კვირაში მივფრინავ და ექვსი თვე კიდევ ვეღარ ჩამოვალ საქართველოში.
- ახლა სად უკრავ? როგორ მიდის შენი საქმეები, ალექსს ისე უნდა შენი ნახვა.
- ახლა ვენის ორკესტრში მიმიწვიეს, მაგრამ საბუთების პრობლემაა ცოტა, ბიუროკრატია... როცა მოქალაქეობა არ გაქვს, რთულია ყველაფერი.
- რა თქმა უნდა! მერე?
- გერმანიის მოქალაქეობა რომ მივიღო, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი უნდა ვთქვა...
- მგონი აღარ მოგიწევს, ახალ კონსტიტუციაში აღარ არის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება საქართველოს მოქალაქე სხვა ქვეყნის მოქალაქეც იყოს. კიდევ უნდა მიიღონ რაღაც კანონები და აღარ მოგიწევს ...
- მეც გავიგე და სწორედ მაგას ველოდები. არ მინდა ჩემი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის თქმა, თან იმასაც ვხდები, რომ ძალიან გამიადვილდება ცხოვრება გერმანიაში მოქალაქის სტატუსით.
- ყველა ქვეყანა ინატრებდა შენნაირ მოქალაქეს... მიხარია, რომ დაგაფასეს, წინ დიდი წარმატებები გელოდება, დარწმუნებული ვარ!
- დიდი მადლობა, თქვენ ჩემი დიდი გულშემატკივარი ხართ!
- იმედი მაქვს, საქართველოშიც გექნება კონცერტები და შენი მუსიკით გაგვანებივრებ!
- საქართველოში დაკვრა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლოა ჩემთვის!
- აბა, წარმატებები და გვინახულე წასვლამდე, ალექსს გაახარებ.
- აუცილებლად, აბა დროებით!

11. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. გიორგი საქართველოში ჩამოვიდა:
   ა) 1 კვირით; ბ) 2 კვირით; გ) 6 კვირით
2. გიორგი საქართველოში ჩამოვიდა:
   ა) მივლინებით; ბ) არდადეგებზე; გ) სასწავლებლად

3. გიორგი პროფესიით არის:
   ა) პოლიტიკოსი; ბ) მწერალი; გ) მუსიკოსი;
4. ნადია არის:
   ა) გიორგის მეგობარი; ბ) ალექსის ნაცნობი; გ) გიორგის გულშემატკივარი
5. რას სთხოვს ნადია გიორგის?
   ა) დაკვრას თავი არ დაანებოს; ბ) გერმანიის მოქალაქეობაზე უარი არ თქვას;
   გ) წასვლამდე ინახულოს.
6. ახალი საკანონმდებლო ცვლილება ეხება:
   ა) გერმანიის მოქალაქეებს; ბ) მუსიკოსების შეღავათებს;
   გ) საქართველოს მოქალაქეებს

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

რა თემაზე საუბრობენ დიალოგის მონაწილეები?
დიალოგის მიხედვით, რა პრობლემა შეექმნა გიორგის?
თქვენ თუ გსმენიათ ინფორმაცია ორმაგი მოქალაქეობის შესახებ?
რა უპირატესობებს აძლევს ადამიანს მოქალაქეობის მიღება?
თქვენ გყავთ ნაცნობი/მეგობარი, რომელიც საზღვარგარეთ სწავლობს/მუშაობს? როგორია მისი გამოცდილება?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

ყველა დროის საუკეთესო ფილმი ,,მოქალაქე კეინი“ დღემდე სტაბილურად ინარჩუნებს ადგილს კინორეიტინგების სათავეში. ორსონ უელსის პირველი ფილმი ყველაზე გავლენიანად მიიჩნევა ამერიკულ და მსოფლიო კინემატოგრაფიაში. ამ გამორჩეული ფილმის რეჟისორი მხოლოდ 26 წლის იყოს, როდესაც „მოქალაქე კეინი“ გადაიღო. ფილმი ამერიკის კინოეკრანებზე 1941 წელს გამოჩნდა და მაყურებელზე მეტად კინოკრიტიკოსების ინტერესი და სიმპათია დაიმსახურა. „მოქალაქე კეინი“ შინაარსითა და ფორმით გამორჩეულია. ფილმში გამოყენებული ეფექტები დღემდე აღფრთოვანებას იწვევს და ცალკეული სცენები მარტინ სკორსეზესა და ტარანტინოს ფილმებში მეორდება. ფილმის მიმართ გულგრილი არ დარჩენილან შემდგომი თაობის რეჟისორები.

ფილმის სიუჟეტიც მრავლისმთქმელია. ფილმის დასაწყისში კვდება ამერიკის მედიამაგნატი ჩარლზ ფოსტერ კეინი. შემდგომ სცენებში მოთხრობილია მოქალაქე კეინის პიროვნული და პოლიტიკური ამბიციების შესახებ. მთელი ფილმის მანძილზე ცდილობენ, გაარკვიონ მოქალაქე კეინის უკანასკნელი სიტყვების - „როუზ ბადის“

მნიშვნელობა. ამისათვის კორესპონდენტი უკავშირდება იმ ადამიანებს, რომლებსაც გარკვეული ადგილი ეკავათ მოქალაქე კეინის ცხოვრებაში. ფილმში კეინის ბიოგრაფიასთან ერთად ვეცნობით ამერიკულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მედიის როლს და პიროვნულ ფაქტორებს. ფილმის ბოლოს კორესპონდენტი ხელს ჩაიქნევს ჩანაფიქრზე - გაარკვიოს, თუ რა აღმოხდა ამერიკის ყველაზე მდიდარ და გავლენიან ადამიანს სიკვდილის წინ. მხოლოდ მაყურებელს შეუძლია ამოიცნოს ამ სიტყვების მნიშვნელობა. აღმოჩნდება, რომ ,,როუზ ბადი" მისი ბავშვობის ციგის სავაჭრო ნიშანი ყოფილა.

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ფილმი ,,მოქალაქე კეინი" ამერიკული საზოგადოების ცხოვრებას ასახავს
2. ფილმი რეჟისორმა 41 წლის ასაკში გადაიღო
3. საუკეთესო ფილმების რეიტინგში ,,მოქალაქე კეინი" დღესაც მოწინავე პოზიციას იკავებს
4. ფილმში გამოყენებული ეფექტები მაყურებლის კრიტიკას იმსახურებს
5. შემდგომი თაობის რეჟისორები ამ ფილმს მაღალ შეფასებას აძლევდნენ
6. ფილმი ,,მოქალაქე კეინი" 1941 წელს გამოჩნდა კინოეკრანებზე
7. ,,მოქალაქე კეინი" რეჟისორ ორსონ უელსის პირველი ფილმი იყო
8. ფილმის ცალკეული სცენები მარტინ სკორსეზესა და ტარანტინოს ფილმებშიც მეორდება
9. ფილმის გმირი ჩარლზ ფოსტერ კეინი მედიამაგნატი იყო
10. ფილმის დასაწყისში მოქალაქე კეინი კვდება
11. მთელი ფილმის განმავლობაში ცდილობენ გაარკვიონ კეინის სიმდიდრის საიდუმლო
12. კეინმა სიკვდილის წინ ყველას უთხრა, რას ნიშნავს ,,როუზ ბადი"
13. კეინის საიდუმლოს მისი სიკვდილის შემდეგ კორესპონდენტი იკვლევს
14. სიმართლეს კეინის უკანასკნელი სიტყვების შესახებ მაყურებელს კორესპონდენტი ეუბნება
15. ,,როუზ ბადი" მოქალაქე კეინის ბავშვობისდროინდელი ციგის სავაჭრო ნიშანი იყო

ვისაუბროთ!

რის შესახებაა ტექსტი?
გაიხსენეთ ფილმი, რომელიც ცნობილ ადამიანს/მოქალაქეს ეხება, გადმოეცით ფილმის მოკლე შინაარსი.
ისაუბრეთ ადამიანზე, რომელიც, თქვენი აზრით, შეიძლება მივიჩნიოთ იდეალურ მოქალაქედ. რა პიროვნული თვისებები უნდა ჰქონდეს მას?
როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვს იდეოლოგიას მოქალაქის ჩამოყალიბებაში?

თემა 3
ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

კითხვები გამოწვევისთვის

თქვენი აზრით, რის უფლება აქვს ადამიანს და რა ეკრძალება?
რა შემთხვევაში ირღვევა, თქვენი აზრით, ადამიანის უფლებები?
როგორია მდგომარეობა თანამედროვე სამყაროში ადამიანთა უფლებების დაცვის მხრივ?
როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა იერარქია ადამიანის უფლებებს შორის?
როგორ ფიქრობთ, რომელი უფლება ირღვევა ყველაზე ხშირად დღეს?

ადამიანის უფლებები

ადამიანი სამყაროს გვირგვინია. მას აქვს ღირსების გრძნობა და უფლება იცხოვროს და განვითარდეს თავისუფლად. თითქოს ეს სიტყვები არავისთვისაა სადაო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისტორიულად ადამიანის უფლებათა საყოველთაო აღიარებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები თანდათანობით ფართოვდებოდა. განვითარების ამ ეტაპებს მეცნიერები - ადამიანის უფლებათა თაობებს უწოდებენ.

- პირველი თაობის უფლებებს ადამიანის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებს უწოდებენ. ისინი XIII – XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა და მათი განვითარება დღემდე გრძელდება. ისინი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების რეპრესიული გზებით შეზღუდვას კრძალავს. პირველი თაობის უფლებებს შორისაა: არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კანონის წინაშე თანასწორობა, წამების აკრძალვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვა.
- მეორე თაობის უფლებებს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს უწოდებენ. მათი განვითარება ყველაზე მეტად XIX საუკუნეში, ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში ხდება. ისინი მთავრობებს ავალდებულებს, უზრუნველყონ მოქალაქეების სოციალური საჭიროებები, რომელთა გარეშეც ადამიანი ვერ შეძლებს საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზებას. მეორე თაობის უფლებებს შორისაა: ჯანმრთელობის უფლება, განათლების უფლება, დასვენებისა და გართობის უფლება და სხვა;
- მესამე თაობის უფლებები ადამიანის კოლექტიური უფლებებია, რომლებიც აქტუალური XX საუკუნის 70 -იანი წლებიდან ხდება. მათ მიხედვით ადამიანის უფლებაა, იცხოვროს ჯანსაღ, მშვიდობიან გარემოში, რაც აუცილებელია მდგრადი განვითარებისთვის. ადამიანის კოლექტიური უფლებები მკაფიოდ არსადაა გაწერილი, თუმცა, მათთვის ბრძოლა დღეს ფრიად აქტუალურია. მაგალითად, კოლექტიური უფლებებისთვის ბრძოლად შეიძლება ჩაითვალოს მოძრაობები, რომლებიც გარემოს დაცვას, კულტურული მემკვიდრეობისა და უმცირესობების დაცვას ისახავს მიზნად.

დღეს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საყოველთაოდაა აღიარებული: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და

უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“ - ვკითხულობთ 1948 წლის 10 დეკემბერს გამოცემულ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პირველ მუხლში. იქვე, მე-2 მუხლში, წერია: „ამ დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა“. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ პათოსს დღეს ყველა სახელმწიფოს კონსტიტუცია თუ კანონმდებლობა იზიარებს; ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების წამომადგენლებიც კი ერიდებიან მათ ხელაღებით უარყოფას. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებები დღემდე ირღვევა. უამრავი ადამიანი დღესაც ხდება ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი. თანამედროვე ეტაპზე ამ მხრივ ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიკაციაც კი ჭირს. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ კაცობრიობას მომავალშიც არაერთი ბრძოლის გადატანა მოუწევს საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემა ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცეს.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ისტორიულად ადამიანმა საკუთარი უფლებების აღიარებას ადვილად მიაღწია
2. ,,ადამიანი სამყაროს გვირგვინია“ - ნიშნავს, რომ ადამიანი სამყაროში ყველაზე მნიშნელოვანია
3. მეცნიერები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განვითარების ეტაპებს უფლებათა თაობებს უწოდებენ
4. ადამიანს აქვს ღირსების გრძნობა და თავისუფლად ცხოვრებისა და განვითარების უფლება
5. დღეს თითქოს აღარავინ დაობს ადამიანის უფლებების მნიშვნელობის შესახებ
6. პირველი თაობის უფლებების განვითარება XIII – XVIII საუკუნეებში დასრულდა
7. ადამიანის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები პირველი თაობის უფლებებია
8. პირველი თაობის უფლებები კრძალავს სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების შეზღუდვას რეპრესიული გზებით
9. არჩევნებში მონაწილეობა პირველი თაობის ადამიანის უფლებებს განეკუთვნება
10. სოციალური და ეკონომიკური უფლებები მესამე თაობის უფლებებს მიეკუთვნება
11. სოციალური და ეკონომიკური უფლებების განვითარება ყველაზე მეტად XIX საუკუნეში მოხდა
12. მესამე თაობის უფლებებს კოლექტიურ უფლებებს უწოდებენ
13. ადამიანის კოლექტიური უფლებები ზუსტად და მკაფიოდაა გაწერილი
14. ციტატები ტექსტში მოტანილია 1948 წლის ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან“
15. მიუხედავად კანონისა, დღესაც ბევრი ადამიანია დისკრიმინაციის მსხვერპლი

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რამდენ თაობად ყოფენ მეცნიერები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განვითარებას?
2. რა არის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია ასახული?
3. რას გულისხმობს პირველი თაობის ადამიანის უფლებები?
4. რას უწოდებენ მეორე თაობის უფლებებს და რას მოიცავს იგი?
5. მესამე თაობის უფლებები რა პერიოდიდან ხდება აქტუალური?
6. რომელი მოძრაობები შეიძლება ჩაითვალოს კოლექტიურ უფლებებად?
7. რას ამბობს ციტატა 1948 წლის დეკლარაციიდან ადამიანის უფლებების შესახებ?
8. რატომ არის ადამიანის უფლებების დაცვა ასეთი მნიშვნელოვანი?

3. დააკვირდით ფოტოებს, დაასათაურეთ და მოიფიქრეთ მოკლე ისტორიები:



--- --- ---



--- --- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. ღირსების	ა. გზებით
2. საყოველთაო	ბ. აკრძალვა
3. ძალისხმევა	გ. საკუთრება
4. განვითარების	დ. განსხვავებისა
5. რეპრესიული	ე. გრძნობა
6. არჩევნებში	ვ. განვითარება
7. წამების	ზ. აღიარება
8. საკუთრების	თ. მსხვერპლი
9. კერძო	ი. დასჭირდა
10. მდგრადი	კ. მონაწილეობა
11. განურჩევლად	ლ. ეტაპები
12. დისკრიმინაციის	მ. ხელშეუხებლობა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ე											

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. სადაო	ა. ფიზიკური ტკივილის მიყენება; ტანჯვა
2. აღიარება	ბ. გარკვეული მდგომარეობის შენარჩუნების უნარის მქონე
3. რეპრესია	გ. ძალიან
4. შეზღუდვა	დ. ხელშეუხებლად ყოფნა, შეუვალობა
5. წამება	ე. რაც დავას, ეჭვს იწვევს
6. არღვევს	ვ. განუსხვავებლად, თანაბრად, თანასწორად
7. ხელშეუხებლობა	ზ. შევიწროვება, უფლების/თავისუფლების შემცირება, შეკვეცა
8. ინდუსტრიალიზაცია	თ. მთლიანად, სავსებით; გაურჩევლად, განუსჯელად
9. მდგრადი	ი. დაფასება; მართებულად მიჩნევა, გაზიარება (რისამე)
10. ფრიად	კ. სახელმწიფოს მიერ მიღებული სადამსჯელო ზომა
11. სულისკვეთება	ლ. თავს არიდებს, გვერდს უვლის, გაურბის
12. მუხლი	მ. უბედური შემთხვევის/ძალადობის შედეგად დაზიანებული ან დაღუპული
13. განურჩევლად	ნ. უგულებელყოფს, არ იცავს, ლახავს (კანონს, უფლებას)
14. ტოტალიტარული	ო. აბსოლუტური ძალაუფლების პოლიტიკური იდეოლოგია
15. ერიდებიან	პ. შინაგანი განწყობილება; ძლიერი სურვილი, მისწრაფება
16. მსხვერპლი	ჟ. სახსარი ფეხზე; იურიდიული დოკუმენტის ცალკეული მცირე დანაყოფი
17. ხელაღებით	რ. ქვეყანაში მსხვილი მრეწველობის, ინდუსტრიის განვითარება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

6. ვისაუბროთ!

მიღებული ინფორმაციიდან რა იყო თქვენთვის ცნობილი/ახალი?
კიდევ რა გაინტერესებთ ადამიანის უფლებების შესახებ?
რას გვავალდებულებს ადამიანის უფლებების ცოდნა?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. ეს სიტყვები თითქოს არავისთვისაა <u>სადაო</u>.
   ა) სადმე; ბ) საეჭვო; გ) ახალი
2. ამ მხრივ ჩადენილ <u>დანაშაულთა</u> კლასიფიკაცია დღეს ჭირს.
   ა) კანონდარღვევათა; ბ) დაშორებათა; გ) კანონთა
3. დღეს ამ მხრივ ჩადენილ დანაშაულთა კლასიფიკაციაც კი <u>ჭირს</u>.
   ა) ავადაა; ბ) ძნელია; გ) ფუჭია.
4. კაცობრიობას მომავალშიც არაერთი ბრძოლის გადატანა <u>მოუწევს</u>.
   ა) მოუხდება; ბ) მიიწევა; გ) მიიწვევს.
5. ყოველივე ეს <u>ადასტურებს</u>, რომ მოქალაქეს აქვს უფლებები და მოვალეობები.
   ა) მოწმობს; ბ) მიიწვევს; გ) დატოვებს
6. მიუხედავად კანონებისა, ადამიანის უფლებები დღემდე <u>ირღვევა</u>.
   ა) ფუჭდება; ბ) იშლება; გ) ილახება
7. „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და <u>თანასწორი</u> თავისი ღირსებითა და უფლებებით.
   ა) თანაბარი; ბ) თანამდგომი; გ) თანამებრძოლი
8. ,,ადამიანები ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის <u>სულისკვეთებით</u>“
   ა) კამათით; ბ) სურვილით; გ) შეთანხმებით
9. ადამიანის უფლებები და თავისუფლებები თანდათანობით <u>ფართოვდებოდ</u>ა.
   ა) იზრდებოდა; ბ) ვიწროვდებოდა; გ) განიერდებოდა
10. ადამიანის კოლექტიური უფლებები <u>მკაფიოდ</u> არსადაა გაწერილი.
    ა) მკაცრად; ბ) ზუსტად; გ) ვრცლად
11. ადამიანის კოლექტიური უფლებები დღეს <u>ფრიად</u> აქტუალურია.
    ა) ძალიან; ბ) ფრედ; გ) ფაქტობრივად.
12. კოლექტიური უფლებებისთვის ბრძოლად შეიძლება <u>ჩავთვალოთ</u> მოძრაობები გარემოს დასაცავად.
    ა) დავთვალოთ; ბ) მივიჩნიოთ; გ) მივამატოთ.
13. განვითარების ამ <u>ეტაპებს</u> მეცნიერები ადამიანის უფლებათა თაობებს უწოდებენ.
    ა) ეტალონს; ბ) საფეხურებს; გ) საფუძველს
14. კანონი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების რეპრესიული გზებით <u>შეზღუდვას</u> კრძალავს.
    ა) საზღვარს; ბ) ზრუნვას; გ) შევიწროებას

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. პირველი ---------- (თაობა) უფლებები XIII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა და ისინი ---------- (სახელმწიფო) მიერ მოქალაქეების რეპრესიული ---------- (გზები) შეზღუდვას კრძალავს.
2. პირველი თაობის ---------- (უფლებები) შორისაა: ---------- (არჩევნები) მონაწილეობის უფლება, ---------- (კანონი) წინაშე თანასწორობა, ---------- (წამება) აკრძალვა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა და სხვა.
3. ---------- (ადამიანი) აქვს ---------- (ღირსება) გრძნობა და უფლება იცხოვროს და ---------- (განვითარება) თავისუფლად - ეს აუცილებელია მდგრადი ---------- (განვითარება).
4. მეორე თაობის უფლებები ---------- (მთავრობები) ავალდებულებს, უზრუნველყონ ---------- (მოქალაქეები) სოციალური საჭიროებები, რომელთა გარეშეც ადამიანი ვერ ----------(შეძლება) საკუთარ უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზებას.
5. კოლექტიური უფლებებისთვის ---------- (ბრძოლა) შეიძლება ჩაითვალოს მოძრაობები, რომლებიც ---------- (გარემო) დაცვას, კულტურული მემკვიდრეობისა და უმცირესობების დაცვას ისახავს ---------- (მიზანი).
6. ,,მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ---------- (ერთმანეთი) მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის ---------- (სულისკვეთება)“
7. ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ---------- (ადამიანი) განურჩევლად რაიმე ---------- (განსხვავება).
8. კაცობრიობას მომავალშიც არაერთი ---------- (ბრძოლა) გადატანა მოუწევს საიმისოდ, რომ ადამიანის უფლებებისა და ---------- (ღირსება) პატივისცემა ყოველდღიური ცხოვრების ---------- (წესი) იქცეს.

სინონიმი	**სიტყვა**	**ანტონიმი**
ცხადად/ზუსტად	მკაფიოდ	
ჯანმრთელი/საღი	ჯანსაღი	
აღვეთა	აკრძალვა	დაშვება
საფეხური	ეტაპი	
	ფართოვდება	ვიწროვდება
ნელ-ნელა	თანდათან	
შევიწროება	შეზღუდვა	
	განსხვავება	მსგავსება
მმართველობა	რეჟიმი	

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ან მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისგან ნაწარმოები სიტყვები:

I. გვირგვინი, აგვირგვინებს, უგვირგვინო
II. ზღუდავს, შეზღუდული, შეზღუდვა, შეუზღუდავი
III. აღიარებს, აღიარებული, აღიარება

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში <u>საჭირო ფორმით</u>:

I. 1. ფილმი მოგვითხრობს საქართველოს "---------- მეფის", ილია ჭავჭავაძის" ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

2. მუსიკალურ სეზონს ცნობილი მომღერლის კონცერტი ---------- .

3. ---------- შეიძლება ნიშნავდეს მონარქიის სიმბოლოს ან საქმის კეთილ დაბოლოებას, დასრულებას.

II. 1. კანონი სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების რეპრესიული გზებით ---------- კრძალავს.

2. დიქტატორულ რეჟიმებში ადამიანის უფლებები არის ---------- .

3. ძველ რომში საგანგებო სიტუაციის დროს ---------- პოლიტიკური ძალაუფლება გადაეცემოდა ერთ ადამიანს — დიქტატორს.

4. ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები ---------- და ამახინჯებს ადამიანის უფლებებსა და შესაძლებლობებს.

III. 1. ისტორიულად ადამიანის უფლებათა საყოველთაო ---------- დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

2. დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება ---------- და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს.

3. დღეს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საყოველთაოდაა ---------- .

წაიკითხეთ დიალოგი!

- ხვალ, ძაღლების თავშესაფარში მივდივარ, ხომ არ წამოხვალ?
- მართლა? რა ხდება?
- მთელი კვირა ვეხვეწე ოჯახს და დავითანხმე ძაღლი ვიშვილოთ! ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხარია!
- რომელი? უკვე არჩეული გყავს?
- იმდენი მომეწონა, მიჭირს არჩევა, ისეთი საყვარლები არიან! ჯერ ერთს წამოვიყვან და მერე ვნახოთ!
- როგორ ხდება ძაღლის აყვანა?
- სერიოზული გასაუბრება გავიარე, მერე კიდევ შეგვამოწმებენ. თუ პირობები არ მოეწონებათ, უკან წაიყვანენ! საკმაოდ მკაცრი წესები აქვთ!

- კარგია... მანდ როგორ ხვდებიან ძაღლები? ბევრი ძაღლია?
- 400-ზე მეტი ძაღლია თავშესაფარში, ზოგი სახლიდან გამოაგდეს, ზოგი დაავადდა და იქ მიიყვანეს, უამრავი ისტორიაა... ძირითადად უსიამოვნო!
- უჰ, ახლა გავიგე, ვიღაცას ვაშლიჯვარში სამი ძაღლი მოუწამლავს!
- რა სისასტიკეა, ეგეთი ადამიანი ადამიანებისთვისაც საშიშია და აუცილებლად უნდა დაისაჯოს!
- კი, ბევრი სისასტიკე მესმის ამ ბოლო დროს, ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ხანდახან ბავშვები აკეთებენ ამას!
- კანონი თუ არსებობს?
- კი, როგორ არა, ცხოველებთან სასტიკი მოპყრობა ისჯება!
- ვფიქრობ, სასჯელი მკაცრი უნდა იყოს. კიდევ მგონია, შესაბამისი განათლებაც აუცილებელია... რაც უფრო სასტიკი ვიქნებით ცხოველების მიმართ, აგრესია უკან დაგვიბრუნდება!
- საბედნიეროდ, უკვე საქართველოშიც ბევრი ორგანიზაცია შეიქმნა ცხოველთა უფლებების დასაცავად!
- ჰო... იცი, წელს „შანელის“ კოლექციაში ნატურალური ბეწვი და ტყავი აღარ იქნება!
- დროა სხვებმაც მიბაძონ! როგორც ვიცი, იაპონიაში ცხოველის ტყავის და ბეწვის წარმოების უკანასკნელი ფაბრიკაც დახურეს!
- იმედია, ჩვენი საზოგადოებაც უფრო ჰუმანური იქნება ცხოველების მიმართ!
- ეს ჩვენზეა დამოკიდებული!

11. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. რა მიზნით მიდის დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე ძაღლების თავშესაფარში?

   ა) ძაღლის დასატოვებლად; ბ) ძაღლის წამოსაყვანად; გ) დასათვალიერებლად

2. ოჯახის წევრებს ძაღლის შვილება თავიდანვე უნდოდათ:

   ა) სწორია; ბ) არასწორია; გ) არ ჩანს დიალოგში

3. ოჯახის დარწმუნებასა და დათანხმებას დასჭირდა:

   ა) 1 კვირა; ბ) 2 კვირა გ) 2 დღე;

4. თავშესაფარში ძაღლები უმეტესად ხვდებიან:

   ა) მოწამვლის გამო; ბ) სახლიდან გაგდების გამო; გ) არ ჩანს დიალოგში

5. „შანელის“ კოლექციაში წელს გამოყენებული აღარ იქნება:

   ა) ნატურალური ბეწვი; ბ) ნატურალური ტყავი; გ) ორივე დასახელებული

6. ცხოველის ტყავის გადამამუშავებელი უკანასკნელი ფაბრიკა დაიხურა:

   ა) საფრანგეთში; ბ) იაპონიაში; გ) საქართველოში.

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

როგორია ადამიანების დამოკიდებულება ცხოველების/ქუჩის ცხოველების მიმართ?
როგორ ფიქრობთ, აუცილებელია ცხოველების უფლებებზე ზრუნვა?
დიალოგში ამბობენ, რომ კანონის გამკაცრება აუცილებელია, თქვენ რას ფიქრობთ?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

2006 წლის 30 დეკემბერს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისთვის სიკვდილით დასაჯეს ერაყელი დიქტატორი სადამ ჰუსეინი. მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაშაულებები განსაკუთრებულ ეჭვს არავისთვის იწვევდა, ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გამოაცოცხლა დისკუსია სიკვდილით დასჯის შესახებ.

თანამედროვე საზოგადოებისთვის ადამიანის უფლებები ყველაზე აქტუალური თემაა. წლიდან წლამდე სულ უფრო მატულობს ადამიანების რიცხვი, რომლებიც ნეგატიურად არიან განწყობილი სასიკვდილო განაჩენის მიმართ. მიუხედავად ამისა, ბევრ დემოკრატიულ ქვეყნაში სასიკვდილო განაჩენი ბოლომდე არ არის უარყოფილი, მაგალითად, ის გამოიყენება აშშ-ის 30 შტატში.

გავიხსენოთ ანდრეს ბრეივიკის საქმე, რომლის მიერ განხორციელებულ ტერაქტსაც 77 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ერთი საქართველოს მოქალაქე. ნორვეგიის სასამართლომ ბრეივიკს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლოს ამ განაჩენს სხვადასხვა ქვეყანაში პროტესტი მოჰყვა, რადგან მიიჩნევდნენ, რომ განაჩენი მეტად ჰუმანური იყო.

სიკვდილით დასჯის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის საბოლოო შეთანხმება ალბათ ვერასოდეს მოხდება, თუმცა, ამ საკითხზე საუბრისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. კანონი არ არის ობიექტური რეალობა. მას ადამიანები წერენ და აღასრულებენ. ადამიანები კი ემოციების გამო ხშირად უშვებენ შეცდომებს. ასეთები კი ისტორიას მრავლად ახსოვს:

- მაგალითად, ძვ.წ. VII საუკუნეში ათენელმა კანონმდებელმა დრაკონმა გამოსცა კანონები, რომლის მიხედვითაც მწვანილის ქურდიც და კაცის მკვლელიც სიკვდილით ისჯებოდა. დრაკონი ცინიკურად აცხადებდა, რომ მწვანილის ქურდი თავისთავად სიკვდილს იმსახურებს, კაცის მკვლელისთვის კი უარესი ვერაფერი მოიფიქრა. მწვანილის ქურდობისთვის ასეთი მკაცრი განაჩენი ათენის მდიდარი მოქალაქეების ინტერესებით იყო ნაკარნახევი. ღარიბი თანამოქალაქეები მათ მწვანილს ჰპარავდნენ, რადგან მწვანილი მაშინდელ ათენში მთავარი დელიკატესი იყო;
- ძვ.წ. 399 წელს ათენში, ღვთის შეურაცხყოფისა და ახალგაზრდების ცოდვაში ჩაგდების ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს დიდი ფილოსოფოსი სოკრატე. ეს უსამართლო გადაწყვეტილება დემოკრატიული ათენის სირცხვილად ითვლება.
- შემორჩენილია ფრანგი ჯალათის მოგონებებიც, თუ როგორ თანდათან იზრდებოდა საფრანგეთის რევოლუციის დროს ხალხის ეიფორია და როგორ იწვევდა სასიკვდილო განაჩენი მასების ინტერესს და საშინელ ეგზალტაციას;

გახმაურებული ფაქტები ადასტურებს, რომ სასამართლო სისტემის არასრულყოფილების ფონზე სასიკვდილო განაჩენს სარგებელზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია.

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია

1. სადამ ჰუსეინი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასაჯეს
2. სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯამ განაახლა დისკუსია სასჯელის ამ ფორმის შესახებ
3. წლიდან წლამდე მატულობს ადამიანების რიცხვი, რომლებიც პოზიტიურად არიან განწყობილი სასიკვდილო განაჩენის მიმართ
4. სადამ ჰუსეინი ერაყელი დიქტატორი იყო
5. ყველა დემოკრატიულ ქვეყნაში სასიკვდილო განაჩენი ბოლომდე არის უარყოფილი
6. ამერიკის 7 შტატში სიკვდილით დასჯა ისევ გამოიყენება
7. ანდრეს ბრეივიკის მიერ განხორციელებულ ტერაქტს 77 ადამიანი ემსხვერპლა
8. პროტესტი გამოიწვია იმან, რომ ბრეივიკს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს
9. ბრეივიკს განაჩენი ნორვეგიის სასამართლომ გამოუტანა
10. ბრეივიკის მიერ განხორციელებულ ტერაქტს საქართველოს ერთ მოქალაქე გადაურჩა
11. სიკვდილით დასჯის მომხრეები და მოწინააღმდეგეები მალე მიაღწევენ შეთანხმებას
12. კანონებს ადამიანები წერენ და ასრულებენ, ამიტომ ემოციების გამო ხშირია შეცდომები
13. დრაკონის კანონებით მწვანილის ქურდი და კაცის მკვლელი ერთნაირად ისჯებოდა
14. დრაკონის კანონები ღარიბი მოქალაქეების ინტერესებს ითვალისწინებდა
15. დიდი ფილოსოფოსი სოკრატე სიკვდილით უსამართლოდ დასაჯეს
16. ფრანგი ჯალათის მოგონებების მიხედვით საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ სიკვდილით დასჯა ადამიანების აინტერესებდა და ართობდა
17. სასამართლო სისტემის არასრულყოფილების ფონზე სასიკვდილო განაჩენს სარგებელზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია

ვისაუბროთ!

აქვს თუ არა ადამიანთა ჯგუფს, ან სახელმწიფოს უფლება სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს ადამიანს?
შეიძლება პოზიტიური შედეგი მოჰყვეს ძალადობას?
თუკი ადამიანის წამება არაფრით არ შეიძლება, რატომ უნდა შეიძლებოდეს მისი სიკვდილით დასჯა?
გაიხსენეთ ფილმი/ამბავი, რომელიც ამავე თემას ეძღვნება და იმსჯელეთ სასიკვდილო განაჩენის მიზანშეწონილობაზე.

თემა 4
ლიბერალიზმი და თანამედროვე სამყარო

კითხვები გამოწვევისთვის

თქვენი აზრით, რა არის ლიბერალიზმი?
როგორ ფიქრობთ, ვის უწოდებენ ლიბერალ ადამიანს?
თქვენი აზრით, ყოფის რა ნაწილებს უკავშირდება ლიბერალიზმი?
როგორ ფიქრობთ, რატომ არის მიუღებელი საზოგადოების ნაწილისათვის ლიბერალიზმი?

ლიბერალიზმი

სიტყვა ლიბერალიზმი ლათინური ენიდან მომდინარეობს და თავისუფლებას ნიშნავს. შესაბამისად, იგი იოლად შეგვიძლია გავიაზროთ მოძღვრებად თავისუფლების შესახებ. ამ იდეოლოგიის ფუძემდებლად ფილოსოფოსი ჯონ ლოკი მიიჩნევა. იგი ილაშქრებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავდა.

თავისუფლებისთვის ბრძოლა ყველა ლიბერალ მოაზროვნეს აერთიანებს. იქიდან გამომდინარე, თუ რა აღიქმება თავისუფლების შემზღუდველ ფაქტორად, იცვლებოდა ამ მოძღვრების მახასიათებლებიც.

მაგალითად, XVIII საუკუნეში ლიბერალიზმის მთავარი მტერი აბსოლუტური მონარქია იყო, რომელიც არღვევდა მოქალაქეების უფლებებს, უხეშად ერეოდა მათ ეკონომიკურ და პირად ცხოვრებაში.

ამ პერიოდის მოღვაწეები ერთნაირად საუბრობდნენ თანასწორობაზეც, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ცუდ შედეგებზე, სახელმწიფოს მხრიდან პიროვნებისა და მთელი ნაციის ჩაგვრაზე. ასე აღმოჩნდნენ ერთ ბანაკში პირველ ეტაპზე ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი და სოციალიზმი. XVIII-XIX საუკუნეების რევოლუციები (აშშ-ს რევოლუცია, საფრანგეთის რევოლუცია, 1830-40-იანი წლების რეფორმები ევროპაში) სწორედ მათი „ალიანსის“ შედეგად განხორციელდა.

მოგვიანებით ლიბერალიზმი სხვა მიმართულებით განვითარდა და სახელმწიფოსთან ერთად, საზოგადოებრივ მოძრაობებშიც დაიწყო პიროვნული თავისუფლების დამთრგუნველი ბერკეტების ძიება. ასე აღმოჩნდა კონსერვატიზმი ლიბერალიზმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში.

დღეს ლიბერალურ პლატფორმას ბევრი პოლიტიკური პარტია (მაგალითად, დემოკრატების პარტია აშშ-ში) და საზოგადო მოღვაწე იზიარებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ძნელია ამ მოძღვრების არსისა და კონტურების მკაფიოდ განსაზღვრა. ლიბერალიზმი იდეოლოგიაა, თუ უბრალოდ პოლიტიკური პლატფორმაა? ისახავს თუ არა მიზნად იგი ყველა ადამიანის უფლებათა მაქსიმალურ დაცვას? ამ შეკითხვებზე დღეს მკაფიო პასუხები არ არსებობს. ლიბერალიზმის მიმართ ადამიანები იმის მიხედვით აყალიბებენ საკუთარ პოზიციას, როგორც ეს მათ მიზნებს უკეთ ესადაგება.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ყველა ლიბერალი მოაზროვნე თავისუფლებისათვის იბრძვის
2. სიტყვა ,,ლიბერალიზმი“ რომაული წარმოშობისაა
3. ლიბერალიზმის, როგორც იდეოლოგიის, ფუძემდებელია ჯონ ლოკი
4. ლიბერალიზმის მთავარი მტერი XVIII საუკუნეში აბსოლუტური მონარქია იყო
5. აბსოლუტური მონარქიის დროს უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები
6. პირველ ეტაპზე ერთ ბანაკში აღმოჩდნენ ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი
7. მოგვიანებით ლიბერალიზმმა დაიწყო პიროვნების თავისუფლების დამთრგუნველი ბერკეტების ძიება
8. კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი თანამოაზრე ბანაკს ქმნიან
9. ლიბერალურ პლატფორმას ახლაც ბევრი პოლიტიკური პარტია და საზოგადო მოღვაწე იზიარებს
10. საკმაოდ ძნელია ლიბერალიზმის არსისა და კონტურების ზუსტად განსაზღვრა
11. ლიბერალიზმთან დაკავშირებით დღეს მკაფიო და ზუსტი პასუხები გვაქვს
12. ლიბერალიზმის შესახებ ადამიანები პოზიციას საკუთარ მიზანს უკავშირებენ

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას ნიშნავს სიტყვა ,,ლიბერალიზმი?“
2. რის წინააღმდეგ და რატომ ილაშქრებდა ჯონ ლოკი?
3. რატომ იცვლებოდა ლიბერალიზმის, როგორც მოძღვრების მახასიათებლები?
4. რატომ იყო აბსოლუტური მონარქია ლიბერალიზმის მთავარი მტერი?
5. რაზე საუბრობდნენ და თანხმდებოდნენ XVIII საუკუნის მოღვაწეები?
6. როდის და რა პირობებში განხორციელდა XVIII – XIX საუკუნეების რევოლუციები?
7. როგორ აღმოჩნდა ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი მოწინააღმდეგე ბანაკებში?
8. რა კითხვები ჩნდება ლიბერალიზმის არსის შესახებ?
9. თქვენი აზრით, რატომ იზიარებს დღეს ბევრი პოლიტიკოსი ლიბერალურ პლატფორმას?

3. დააკვირდით ფოტოებს, დაასათაურეთ და მოიფიქრეთ მოკლე ისტორიები:

--- --- ---

--- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. იდეოლოგიის	ა. ერევა
2. სახელმწიფოს	ბ. ფაქტორი
3. ფუნდამენტური	გ. მოღვაწე
4. უფლებების	დ. ცხოვრება
5. თავისუფლებისთვის	ე. ბანაკი
6. შემზღუდველი	ვ. წინააღმდეგ
7. მოძღვარების	ზ. ესადაგება
8. უხეშად	თ. ფუძემდებელი
9. პირადი	ი. შეზღუდვა
10. მოწინააღმდეგე	კ. ბრძოლა
11. საზოგადო	ლ. უფლება
12. მიზანს	მ. მახასიათებელი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. ფუძემდებელი	ა. ის, რაც ზღუდავს
2. ილაშქრებდა მისაღწევად	ბ. გაერთიანება, კავშირი საერთო მიზნების
3. ფუნდამენტური	გ. მმართველობის ფორმა სათავეში მონარქით
4. მოაზროვნე	დ. პოლიტიკური პარტიის სამოქმედო პროგრამა
5. აღქმა	ე. გარკვეული პოლიტიკური პარტიის იდეები
6. შემზღუდველი	ვ. დამაარსებელი, შემქმნელი, დამფუძნებელი
7. მონარქია	ზ. საფუძვლიანი, მნიშვნელოვანი, ძირითადი
8. ბანაკი საშუალება	თ. ადამიანებზე/მოვლენებზე ზემოქმედების რაიმე
9. ალიანსი	ი. ვინმეს/რაიმეს წინააღმდეგ გამოსვლა (მაგ., სიტყვით)
10. დათრგუნვა	კ. გარემოხაზულობა, საზღვრები
11. ბერკეტი	ლ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაჯგუფება/ მიმართულება
12. პლატფორმა ადამიანი	მ. ღრმა აზროვნების ნიჭით დაჯილდოებული
13. იდეოლოგია	ნ. ფაქტების, მოვლენების გაგება, გაცნობიერება
14. კონტური	ო. დაძლევა, დამარცხება; ჩახშობა, მოსპობა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

6. ვისაუბროთ!

მიღებული ინფორმაციიდან რა იყო თქვენთვის ცნობილი/ახალი?
კიდევ რა გაინტერესებთ ლიბერალიზმის შესახებ?
რა პრობლემურ საკითხებს დაუკავშირებდით ლიბერალიზმს?
რატომ იწვევს გაღიზიანებას სიტყვები: „ლიბერალიზმი“ და „ლიბერალი“?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. სიტყვა ლიბერალიზმი ლათინური ენიდან <u>მომდინარეობს</u>.

   ა) მიედინება; ბ) მოედინება; გ) მოდის

2. იგი <u>იოლად</u> შეგვიძლია გავიაზროთ მოძღვრებად თავისუფლების შესახებ.

   ა) იშვიათად; ბ) მარტივად; გ) კომპლექსურად

3. ამ <u>იდეოლოგიის</u> ფუძემდებლად ფილოსოფოსი ჯონ ლოკი მიიჩნევა.

   ა) თავისუფლების; ბ) მოძღვრების; გ) სიტყვის

4. ამ იდეოლოგიის <u>ფუძემდებლად</u> ფილოსოფოსი ჯონ ლოკი მიიჩნევა.

   ა) დამაარსებლად; ბ) ფანატიკოსად; გ) ფილოსოფოსად

5. ჯონ ლოკი <u>ილაშქრებდა</u> მოძალადე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

   ა) იბრძოდა; ბ) ჩქარობდა; გ) ზღუდავდა

6. სახელმწიფო <u>ზღუდავდა</u> ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.

   ა) აღარიბებდა; ბ) ავიწროებდა; გ) ზეიმობდა

7. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა <u>აღიქმება</u> თავისუფლებად.

   ა) მიიჩნევა; ბ) აიღება; გ) გამოჩნდება

8. ლიბერალიზმის, როგორც მოძღვრების, <u>მახასიათებლები</u> იცვლებოდა.

   ა) განწყობები; ბ) ნიშან-თვისებები; გ) ჩვენებები.

9. მონარქია არღვევდა მოქალაქეების უფლებებს, <u>უხეშად</u> ერეოდა მათ ცხოვრებაში.

   ა) უდიერად; ბ) ულამაზოდ; გ) უდროოდ

10. ასე აღმოჩნდნენ ერთ <u>ბანაკში</u> ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი და სოციალიზმი.

    ა) მხარეს; ბ) სახლში; გ) ბანერზე

11. <u>ძნელია</u> ამ მოძღვრების არსისა და კონტურების მკაფიოდ განსაზღვრა.

    ა) ძველია; ბ) რთულია; გ) ძირითადია

12. ამ შეკითხვებზე დღეს <u>მკაფიო</u> პასუხები არ არსებობს.

    ა) მკრთალი; ბ) ბოლო; გ) ზუსტი

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. ლიბერალიზმის, როგორც ---------- (იდეოლოგია) ფუძემდებელი ჯონ ლოკი ილაშქრებდა ---------- (სახელმწიფო) წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის ---------- (ფუნდამენტური) უფლებებს ზღუდავდა.
2. თავისუფლების შემზღუდველ ---------- (ფაქტორი) სხვადასხვა რამ აღიქმებოდა, შესაბამისად, ამ ---------- (მოძღვრება) მახასიათებლებიც იცვლებოდა.
3. XVIII საუკუნეში ---------- (ლიბერალიზმი) მთავარი მტერი აბსოლუტური მონარქია იყო, რადგან არღვევდა ---------- (მოქალაქეები) უფლებებს, უხეშად ერეოდა მათ ეკონომიკურ და პირად ---------- (ცხოვრება).
4. ამ პერიოდის მოღვაწეები საუბრობდნენ ---------- (თანასწორობა), ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ცუდ ---------- (შედეგები),

სახელმწიფოს მხრიდან ---------- (პიროვნება) და მთელი ნაციის ჩაგვრაზე.

5. პირველ ---------- (ეტაპი) ერთ ბანაკში მოხვდნენ ლიბერალიზმი, ნაციონალიზმი და სოციალიზმი.
6. მოგვიანებით ლიბერალიზმი სხვა ---------- (მიმართულება) განვითარდა, კონსერვატიზმი კი აღმოჩნდა ლიბერალიზმის მოწინააღმდეგეთა ---------- (ბანაკი).
7. დღეს ლიბერალურ ---------- (პლატფორმა) ბევრი პოლიტიკური პარტია და საზოგადო მოღვაწე ---------- (გაზიარება), თუმცა, მიუხედავად ამისა, ძნელია ამ მოძღვრების არსისა და ---------- (კონტურები) მკაფიოდ განსაზღვრა.
8. ---------- (ლიბერალიზმი) მიმართ ადამიანები იმის მიხედვით აყალიბებენ საკუთარ ---------- (პოზიცია) როგორც ეს უკეთ მათ ---------- (მიზნები) ესადაგება.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
ცხადად/ზუსტად	მკაფიოდ	
ადვილი	იოლი	რთული
ჩათვლა	მიჩნევა	
საფეხური	წინააღმდეგი	მომხარე
ძირითადი/მთავარი	ფუნდამენტური	
ერი	ნაცია	
შევიწროება	შეზღუდვა	
პროგრესი	განვითარება	რეგრესი
ლაპარაკი	საუბარი	

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ან მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისგან ნაწარმოები სიტყვები:

I. გაერთიანება, აერთიანებს, გააერთიანა
II. უხეშად, უხეში, უხეშობა
III. გაზიარება, გაზიარებული, უზიარებს

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში <u>საჭირო ფორმით</u>:

I. 1. ლიბერალიზმი ბევრ პოლიტიკურ პარტიასა და მოაზროვნეს ----------

2. ბევრი პოლიტიკური ---------- ემხრობა ამ პოლიტიკურ პლატფორმას
3. თავისუფლების იდეამ ყველა მოქალაქე ----------

II. 1. უცნობის მოურიდებელი მოქმედება ნადვილად ..... იყო.

2. სახელმწიფო ..... არ უნდა ერეოდეს ადამიანების პირად ცხოვრებაში.

3. სახელმწიფოს მიერ ადამიანის ცხოვრებაში ..... ჩარევა მიუღებელია.

III. 1. ..... ინფორმაციით, მიზნის მიღწევას დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

2. პოლიტიკოსი თავის შეხედულებებს მოქალაქეებს .....

3. მოსაზრებების მოსმენა და ..... შეთანხმებისთვის მნიშვნელოვანია.

წაიკითხეთ დიალოგი!

- მიდიხარ არჩევნებზე?
- ჯერ არ გადამიწყვეტია... შენ?
- აუცილებლად წავალ. ვფიქრობ, არჩევნებზე წასვლა ყველასთვის აუცილებელია!
- წასვლა არ მეზარება, მაგრამ არჩევანის გაკეთება მიჭირს, ვის უნდა მივცე ხმა არ ვიცი!
- ჰოო, მესმის, რთულია... გააჩნია, რომელი იდეოლოგია უფრო ახლოა შენთან...
- მე ლიბერალი ვარ შინაგანად. ქართულ პარტიებში არ ვიცი რომელი პარტია რა იდეოლოგიისაა...
- მაგაში გარკვევა ადვილი საქმე არაა - მემარჯვენე პარტიები პენსიების მომატებაზე საუბრობენ, მემარცხენეები კი ნაციონალისტური ლოზუნგებით გამოდიან... რას გაიგებ...
- ჰოო, სულ დავიბენი, სამი წელი გერმანიაში ვიცხოვრე და რომ ჩამოვედი, ვერაფერში გავერკვიე.
- ჩვენი პოლიტიკური კულტურა მაინც დაბალია და ბევრი გვაქვს სასწავლი - ამომრჩეველსაც და ასარჩევსაც!
- ზოგჯერ მგონია, რომ სპეციალურად აბნევენ ხალხს!
- ნამდვილად!
- პარტიები იქმნება და იშლება თვალის დახამხამებაში!
- რა აზრის ხარ ახლადშექმნილ პარტია გირჩზე? მგონი ლიბერალურ პლატფორმაზე გამოდის...
- სიმართლე გითხრა, არ ვიცი, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია მომწონს, მაგრამ არა პროპაგანდა... ცოტა დამაბნეველია მათი ექსცენტრულობა, თუმცა ვნახოთ!
- ჯერ კიდევ არის დრო... ორი კვირაა არჩევნებამდე!

11. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. დიალოგის მონაწილემ ჯერ არ იცის არჩევნებზე წავა თუ არა, რადგან:

   ა) ეზარება; ბ) არჩევანს ვერ აკეთებს; გ) სიარული უჭირს

2. ამომრჩეველს პენსიების მომატებას ჰპირდება:

   ა) მემარცხენეები; ბ) ლიბერალები; გ) მემარჯვენეები

3. დიალოგის მონაწილეს პოლიტიკურ სიტუაციაში გარკვევა გაუჭირდა, რადგან:

   ა) არ აინტერესებდა; ბ) საზღვარგარეთ ცხოვრობდა; გ) არ ჩანს დიალოგში;

4. დიალოგში ამბობენ: ,,პარტიები თვალის დახამხამებაში იქმნება და იშლება“ - ეს ნიშნავს, რომ:

   ა) პარტიების დანახვა არავის უნდა; ბ) პარტიები სწრაფად იქმნება და იშლება;

   გ) პარტიებს სხვა პარტიების დაშლა უნდათ

5. დიალოგის მონაწილე პარტია „გირჩს“ მისცემს ხმას:

   ა) სწორია; ბ) არასწორია; გ) არ ჩანს დიალოგში.

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

დიალოგში ამბობენ, რომ არჩევნებზე წასვლა აუცილებელია. თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?
თქვენი აზრით, როგორი იქნება ცხოვრება, ადამიანებს საარჩევნო უფლება რომ არ ჰქონდეთ?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

თავისუფლების ქანდაკება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმბოლოა მსოფლიოში. ქანდაკება ამერიკაში ჩასულებს ნიუ-იორკის სანაპიროზე 1886 წლის 28 ოქტომბრიდან ეგებება. ქანდაკების ოფიციალური სახელია „თავისუფლება ანათლებს მსოფლიოს“. იგი არის ფრანგი ხალხის საჩუქარი ამერიკელი ხალხისთვის დამოუკიდებლობის 100 წლისთავის აღსანიშნავად.

ქანდაკებას ერთ ხელში ჩირაღდანი უჭირავს, მეორეში კი დაფა წარწერით „1776 წელი, 4 ივლისი.“ ქანდაკებას მარცხენა ფეხი გაწყვეტილ ჯაჭვზე უდგას. სიმბოლურად ეს ქვეყანაში მონობის დასასრულს გამოხატავს. ქანდაკება მთლიანად დაფარულია სპილენძის ფირფიტებით, რომლებიც ქართან რეაქციის შედეგად გამწვანდა. ჩირაღდნის ალი ოქროშია ამოვლებული, შვიდქიმიანი გვირგვინი კი მსოფლიოს შვიდ კონტინენტს გამოხატავს.

ქანდაკებაზე მუშაობა შრომატევადი და ხანგრძლივი გამოდგა. მისი ავტორი ფრანგი მოქანდაკე ფრედრიკ ბარტოლდია. კონსტრუქციის მასშტაბებიდან გამომდინარე,

მას კონსულტაცია ეიფელის კოშკის ავტორთან გუსტავ ეიფელთან ჰქონდა. ქანდაკება მთლიანად საფრანგეთში დამზადდა. ქანდაკების სიმაღლე 46 მეტრია. ამერიკაში ჩასატანად ის 350 ნაწილად დაშალეს. 214 ყუთით მის დანიშნულების ადგილამდე ჩატანას დაახლოებით 10 წელი დასჭირდა, ხოლო ქანდაკების აწყობას 4 თვე მოანდომეს. ამერიკელმა ხალხმა გაიღო ქანდაკებისათვის პედესტალის მშენებლობის ფული.

თავისუფლების ქანდაკება ძალიან მალე გახდა პოპულარული. დღეისათვის ძეგლი იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ: სწორია + / არასწორია

1. თავისუფლების ქანდაკება მსოფლიოში ცნობილი სიმბოლოა
2. ქანდაკება ნიუ-იორკის სანაპიროზე 1886 წლის 28 ოქტომბრიდან დგას
3. ქანდაკების ოფიციალური სახელია „თავისუფლება ანათლებს ამერიკას“
4. ქანდაკება ფრანგმა ხალხმა აჩუქა ამერიკის მოსახლეობას
5. ფრანგი ხალხის საჩუქარი ამერიკელებისთვის დამოუკიდებლობის 50 წლისთავს ეძღვნება
6. ქანდაკებას ერთ ხელში ჩირაღდანი უჭირავს, მეორეში - გაწყვეტილი ჯაჭვი
7. გაწყვეტილი ჯაჭვი სიმბოლურად გამოხატავს ქვეყანაში მონობის დასასრულს
8. ჩირაღდნის ალი ოქროშია ამოვლებული, შვიდქიმიანი გვირგვინი კი მსოფლიოს შვიდ კონტინენტს გამოხატავს
9. ქანდაკებას მარცხენა ფეხი მწვანე დაფაზე უდგას
10. ქანდაკება დაფარულია სპილენძის ფირფიტებით, რომლებიც ქართან რეაქციის შედეგად გამწვანდა
11. ქანდაკებაზე მუშაობა შრომატევადი და ხანგრძლივი იყო
12. ქანდაკების ავტორი ცნობილი მოქანდაკე გუსტავ ეიფელია
13. ქანდაკება მთლიანად საფრანგეთში დამზადდა
14. ქანდაკების ამერიკაში ჩატანას დაახლოებით 10 წელი დასჭირდა
15. თავისუფლების ქანდაკება იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი გახდა

ვისაუბროთ!

ქანდაკების ოფიციალური სახელია „თავისუფლება ანათლებს მსოფლიოს“. როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდეს მას ეს სახელი?
თავისუფლების ქანდაკება ამერიკის სიმბოლოდ იქცა. რატომ?
თქვენ რომელი ქალაქი და მასთან დაკავშირებული რა სიმბოლო/ფილმი გახსენდებათ?

თემა 5

განათლების სისტემის წარმატებული მაგალითი

კითხვები გამოწვევისთვის

რაზეა დამოკიდებული ადამიანის წარმატება?
რატომ არის განათლება მნიშვნელოვანი ცალკეული მოსწავლისათვის?
განათლების გარდა სხვა რა შეიძლება შევიძინოთ სკოლაში?
რა იცით რომელიმე სხვა ქვეყნის განათლების შესახებ?
თქვენი აზრით, რა ასაკში უნდა შედიოდნენ ბავშვები სკოლაში?
რას უნდა სწავლობდნენ დაწყებით კლასებში?
რა იცით თქვენი ქვეყნის განათლების სისტემის შესახებ? (მაგ., სწავლა რამდენ წელს გრძელდება, სკოლაში შესვლის მინიმალური ასაკი...)

იაპონელი ბავშვები

იაპონური აღზრდის მეთოდები და განათლების სისტემა ხელს უწყობს იაპონელი ბავშვების შემოქმედებითობას. იაპონელთა წარმატების საიდუმლოს გაგება მარტივია - ისინი ძალიან დიდ ძალისხმევას დებენ ბავშვების აღზრდაში, ცდილობენ მათი მეთოდები არა მხოლოდ სასარგებლო იყოს ბავშვებისათვის, არამედ სახალისოც. იაპონურ სკოლებში პირველი ოთხი წელი მოსწავლეები არანაირ გამოცდას არ აბარებენ, ეს პერიოდი ეთმობა არა მათ შეფასებას, არამედ მათი სოციალური ხასიათის ფორმირებას. 10 წლამდე მათ უნდა შეითვისონ კარგი მანერები. ბავშვებს ასწავლიან იყვნენ კეთილშობილი, პატივი სცენ სხვა ადამიანებს, უყვარდეთ ცხოველები და ბუნება. ცდილობენ მათ გაუღვივონ თანაგანცდა, სიკეთე, გამოავლინონ მათი გატაცება და ინტერესები. ასევე ბავშვებს ასწავლიან თვითკონტროლსა და სამართლიანობას.

იაპონიაში სასწავლო წელი პირველ აპრილს იწყება. სკოლაში სწავლის პერიოდი ემთხვევა ბუნების ისეთ ლამაზ მოვლენას, როგორიცაა ალუბლის ყვავილობა. სასწავლო წელი სამ ტრიმესტრად იყოფა. მოსწავლეები ზაფხულში 6 კვირა ისვენებენ. ასევე აქვთ ორი ორკვირიანი დასვენება ზამთარსა და გაზაფხულზე. მოსწავლეები თავად ასუფთავებენ სკოლას, ალაგებენ საკლასო ოთახს, ბუფეტს, ეზოსა და საპირფარეშოსაც კი. იაპონურ სკოლებში იშვიათად ქირაობენ დამლაგებლებს. დალაგებისას იაპონელი მოსწავლეები იყოფიან პატარა ჯგუფებად. ისინი განაწილებულნი არიან, სხვადასხვა საქმეზე როტაციული პრინციპით მუშაობენ. საკუთარი გარემოს დასუფთავებით იაპონელი მოსწავლეები სწავლობენ გუნდურ მუშაობას, ურთიერთდახმარებასა და ყველა საქმიანობის მიმართ პატივისცემას. მასწავლებლის მიმართ თავაზიანობის გამოხატვა აუცილებლი პირობაა იაპონელი მოსწავლეებისათვის. იაპონურ სკოლებში საკვები სტანდარტიზებულია. მოსწავლეების მენიუ უნდა იყოს ჯანმრთელი და დაბალანსებული. კლასელები მასწავლებელთან ერთად მიირთმევენ საკლასო ოთახში. მასწავლებელთან ერთად საუზმე პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

იაპონელ ბავშვებს ძალიან ადრეული ასაკიდან აჩვევენ დამოუკიდებლობას, მოსწავლეები მშობლების გარეშე დადიან სკოლაში ტრასპორტის გამოყენებითაც. 4 წლის ასაკიდან იაპონელი ბავშვები უკვე დამოუკიდებლად გადაადგილდებიან ქუჩებში.

იაპონელი ბავშვები დიდი მონდომებით სწავლობენ იაპონურ კალიგრაფიასა და პოეზიას, როგორც მათი ტრადიციის ნაწილს. იაპონელ ბავშვებს, როგორც წესი, აცვიათ სასკოლო ფორმები, რაც მიზნად ისახავს სოციალური ბარიერების დაძლევასა და ერთიანობის გრძნობის გაძლიერებას. ერთნაირი ფორმები მათ სამუშაო განწყობაზეც ახდენს გავლენას. სკოლაში დასწრება მოსწავლეების მხრიდან ძალიან მაღალია- 99 %-ზე მეტი. გაკვეთილების გაცდენა წარმოუდგენელია იაპონელი მოსწავლეებისათვის, 91% ამბობს, რომ თითქმის არასდროს გაუცდენია სასკოლო გაკვეთილები.

მხოლოდ ერთი გამოცდა წყვეტს მოსწავლის სასწავლო აკადემიურ კარიერას. მოსწავლე ირჩევს მხოლოდ ერთ უნივერსიტეტს, რომელიც გამოცდაში განსაზღვრულ ქულას ითხოვს. ამის შემდგომ იწყება ურთულესი პერიოდი. ამ პერიოდს ეძახიან საგამოცდო ჯოჯოხეთს. საუნივერსიტეტო პერიოდს კი უწოდებენ ცხოვრების არდადეგებს. უმძიმესი საგამოცდო ციებ-ცხელების შემდგომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდს მიიჩნევენ, საუკეთესო წლებად, ერთგვარ შვებულებად მუშაობის დაწყებამდე.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + /არასწორია -

1. იაპონიაში სასწავლო წელი გაზაფხულზე იწყება
2. მოსწავლეებს არდადეგები წელიწადში ორჯერ აქვთ
3. იაპონურ სკოლებში საერთოდ არ ჰყავთ დამლაგებელი
4. იაპონელი მოსწავლეები თითქმის არასდროს აცდენენ გაკვეთილებს
5. იაპონელი ბავშვებისათვის სასკოლო ფორმა აუცილებელი არაა
6. იაპონურ სკოლებს აქვთ მეურნეობა, რომლებშიც ბავშვები მუშაობენ
7. იაპონელი მოსწავლეები სხვადასხვა საქმეზე მორიგეობით მუშაობენ
8. იაპონიაში უნივერსიტეტში სწავლისათვის რამდენიმე გამოცდას აბარებენ
9. იაპონურ სკოლებს არ სჭირდებათ ბუფეტი
10. იაპონელი ბავშვები ადრეული ასაკიდან დამოუკიდებლები არიან

2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რატომ მიირთმევენ საკვებს მოსწავლეები და მასწავლებელი ერთად?
2. რა პერიოდით და რამდენჯერ ისვენებენ იაპონელი მოსწავლეები?
3. რამდენ ნაწილად იყოფა სასწავლო წელი იაპონურ სკოლაში?
4. რას ასწავლიან უპირატესად დაწყებით კლასებში იაპონელ ბავშებს?
5. რას სწავლობენ განსაკუთრებული ინტერესით იაპონელი ბავშები, როგორც ტრადიციის ნაწილს?
6. რატომ აცვიათ სასკოლო ფორმები მოსწავლეებს იაპონურ სკოლაში?
7. რას უწოდებენ საგამოცდო პერიოდს?
8. რა არის საჭირო უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ ტექსტის გათვალისწინებით:



--- ---

--- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები შესაბამის განმარტებასთან:

1. შეფასება	ა. ის, რაც ადამიანს აცვია
2. არდადეგები	ბ. სუფთად და ლამაზად წერის კულტურა
3. დამლაგებელი	გ. მოქმედების, ქცევის თავისებურება, ჩვევა.
4. კალიგრაფია	დ. თანაგრძნობა, სოლიდარობა
5. ტანსაცმელი	ე. სწავლაში წარმატების ნიშანი, აღიარება
6. წარმოუდგენელია	ვ. ემოციების მართვა/კონტროლი/რეგულაცია
7. საიდუმლო	ზ. ეხმარება
8. მანერა	თ. ის, ვინც ალაგებს
9. ჯგუფური	ი. პერიოდი, როცა მოსწავლეები, სტუდენტები არ სწავლობენ
10. თვითკონტროლი	კ. ის, რასაც ვერ წარმოიდგენ
11. ხელს უწყობს	ლ. რაც სხვებისგან დაფარულია, რაც არავის უნდა უთხრა
12. თანაგანცდა	მ. დავალება, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ერთად ასრულებს

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

5. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. ამ პერიოდს ეძახიან საგამოცდო ჯოჯოხეთს.

ა) სწადიათ; ბ) უწოდებენ; გ) უნდათ

2. მცირე ასაკიდან იაპონელი ბავშვები უკვე დამოუკიდებლად გადაადგილდებიან ქუჩებში.

ა) ათვალიერებენ; ბ) გადაირბენენ; გ) მოძრაობენ.

3. იაპონელმა მოსწავლეებმა თავად უნდა დაალაგონ საკლასო ოთახი.

ა) დახატონ; ბ) მოაწესრიგონ; გ) დაარიგონ.

4) მოსწავლეები თავად ასუფთავებენ სკოლას.

ა) თვითონ; ბ) მათ; გ) თავიანთ.

5. იაპონურ სკოლებში საკვები სტანდარტიზებულია.

ა) საშვები; ბ) საჭმელი; გ) სანთელი.

6. კლასელები მასწავლებელთან ერთად მიირთმევენ საკლასო ოთახში.

ა) იკვებებიან; ბ) ისვენებენ; გ) წაართმევენ

7. სკოლაში სწავლის პერიოდი ემთხვევა ბუნების ლამაზ მოვლენას.

ა) შემთხვევითია; ბ) თანაშემწეა; გ) თანადროულია;

8. იაპონელები ძალიან დიდ ძალისხმევას დებენ ბავშვების აღზრდაში.

ა) მონდომება; ბ) დაძალება; გ) ხმაური.

9. იაპონელები ცდილობენ გაუღვივონ ბავშვებს თანაგანცდისა და სიკეთის გრძნობა.

ა) გაღება; ბ) გაძლიერება; გ) უძლურება.

10. მოსწავლეები სხვადასხვა საქმეზე როტაციული პრინციპით მუშაობენ.

ა) თანდათან; ბ) მონაცვლეობით; გ) მონდომებით.

11. მშობლები ცდილობენ გამოავლინონ შვილების გატაცება და ინტერესები.

ა) წართმევა; ბ) იუმორი; გ) ჰობი.

12. მოსწავლეებს მოსწონთ დავალება, რომელსაც ჯგუფურად ასრულებენ.

ა) მარტო; ბ) ორნი; გ) რამდენიმე.

6. ვისაუბროთ!

გაიხსენეთ თქვენი სასკოლო გამოცდილება:

რით ჰგავს/არ ჰგავს იგი იაპონურ სკოლას?
რომელია ყველაზე უჩვეულო და განსხვავებული ტრადიცია/წესი, რომელიც იაპონურ სკოლაშია?
რატომ უკავშირებენ იაპონელების წარმატებას სასკოლო განათლებას?
იაპონურ სკოლაში არსებული წესებიდან რომელი მოგწონთ?
როგორი უნდა იყოს სკოლა?

სიტყვაწარმოება

7. ჩასვი საჭირო სიტყვა: იაპონიის, იაპონური თუ იაპონელი?

1. ---------- დამწერლობის სისტემა გამორჩეულია.
2. ---------- სტუმარი იაპონური ენისა და კულტურის ცენტრს ეწვია.
3. ---------- იმპერატორი აკიჰიტო უახლოეს წლებში ტახტს დატოვებს.
4. კედელზე ფრაგმენტი გამოჩნდა – წყლის პირას მჯდომი ---------- ქალი.
5. საკურას ხეივანში ---------- სილამაზის სიმბოლომ ყვავილობა დაიწყო.
6. 50 ძირი ---------- ალუბალი ბათუმის ხეივანში შარშან აპრილში აყვავდა.
7. სად მდებარეობს ---------- საელჩო თბილისში?
8. ---------- ყველაზე ცნობილი ჩანჩქერია ნაჩი.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
წინსვლა	წარმატება	წარუმატებლობა
ადვილი, იოლი	მარტივი	რთული, ძნელი
მონდომება/სიბეჯითე	ძალისხმევა	
	სასარგებლო	უსარგებლო, საზიანო
მხიარული/გასართობი	სახალისო	
დრო	პერიოდი	
ჩამოყალიბება	ფორმირება	
ზრდილობიანი	თავაზიანი	უხეში/უზრდელი
ჯანსაღი	ჯანმრთელი	ავადმყოფი/არაჯანსაღი
დადებითი	პოზიტიური	ნეგატიური/უარყოფითი

8. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

9. დროითი მიმართებების გამომხატველი სიტყვები

როდის? ზაფხულში/ზამთარში, პირველ აპრილს, კვირას, 7 საათზე... რა დროით? რა ხნით? რამდენი დღით? ორი კვირით, ერთი თვით, 3 საათით...

გაითვალისწინეთ! ორი კვირით= ორკვირიანი

შეადარეთ: მოსწავლეები ისვენებენ **ორი კვირით**

მოსწავლეებს აქვთ **ორკვირიანი** არდადეგები

როდის? რა დროით? სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ კითხვები და დაუსვით ჯგუფელებს/მეწყვილეს.

დააკვირდით!

წაიკითხეთ წინადადება და დააკვირდით გამოყენებულ კონსტრუქციას **არა მხოლოდ.... არამედ; არა მარტო.... არამედ;**

ისინი ძალიან დიდ ძალისხმევას დებენ ბავშვების აღზრდაში, ცდილობენ, მათი მეთოდები <u>არა მხოლოდ/არა მარტო</u> სასარგებლო იყოს ბავშვებისათვის, <u>არამედ</u> სახალისოც.

10. დავალება: შეადგინეთ რამდენიმე წინადადება **არა მხოლოდ.... არამედ; არა მარტო.... არამედ** კონსტრუქციის გამოყენებით.

დააკვირდით! ერთი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები:

I. **სამართალი** - სამართლიანი, უსამართლო, სამართლიანობა, უსამართლობა....
II. **დალაგება** -ალაგებს, დამლაგებელი, დალაგებული, დაულაგებელი...
III. **შეჩვევა** - ეჩვევა, შეჩვევა, აჩვევს, შეჩვეული, შეუჩვეველი.

11. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში საჭირო ადგილას (ზოგჯერ გასათვალისწინებელია სიტყვის ფორმა):

I. 1. უკმაყოფილო ადამიანები ამბობენ, რომ ეს ---------- გადაწყვეტილებაა.
2. ---------- და უსამართლობა საპირისპირო სიტყვებია.
3. ჩემთვის ყველაზე ძნელი საგანი სისხლის ---------- .
4. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის ---------- უფლება.
5. ასეთი ---------- ჯერ არავის უნახავს.

II. 1. დილას ოთახი მოუწესრიგებელი და ---------- რატომ დატოვე?
2. იაპონურ სკოლებში ხშირად არ ქირაობენ ---------- .
3. სტუდენტი ---------- თავის სამუშაო მაგიდას.
4. აქ მუშაობა სასიამოვნოა, რადგან ოთახი ყოველთვის ---------- .
5. სახლის ---------- არ დაგავიწყდეს!

III. 1. ---------- პატარები ხშირად ტირიან სკოლაში პირველად მისვლისას.

2. იაპონელი მშობელი შვილებს პატარაობიდანვე დამოუკიდებლობას ---------- .

3. სპორტსმენი არ იღლება, რადგან ---------- არის ბევრ ვარჯიშს.

4. ბავშვი ---------- დამოუკიდებლად მეცადინეობას.

5. ალკოჰოლმა და თამბაქომ შეიძლება ---------- გამოიწვიოს.

წაიკითხეთ დიალოგი!

- წელს ჩემი შვილი პირველად მიდის სკოლაში და ძალიან ვღელავ...
- რატომ? საბავშვო ბაღში დადიოდა?
- არა, არ დადიოდა, სამწუხაროდ... არაფრით არ დარჩა ბაღში, ცოტა თავისებური ბავშვია...
- თუ თავისებური ხასიათი აქვს, მაშინ ადვილი არ იქნება! სკოლა უკვე შეარჩიეთ?
- კი, შევარჩიეთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდა!
- მართალია, კარგი სკოლის ნახვა ადვილი არაა, კერძო სკოლა შეარჩიეთ თუ საჯარო?
- ბევრი ვიფიქრეთ და მაინც საჯარო სკოლა გადავწყვიტეთ.
- რის მიხედვით შეარჩიეთ სკოლა?
- ჩვენთვის მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, შორ მანძილზე გაგვიჭირდება სიარული. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლას ჰქონდეს კარგი ეზო და სპორტული დარბაზი, ასევე, საჭიროა ენების გაძლიერებულად სწავლა...
- ენების? პირველი კლასიდან?
- არა, რა თქმა უნდა, არა… პირველ კლასში ჯერ მშობლიურ ენას ეუფლებიან ბავშვები, მეორე კლასიდან იწყებენ ინგლისურს, მესამიდან ირჩევენ ფრანგულს ან რუსულს....
- კვება?
- კვება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია! სკოლაში დაწყებითი კლასებისათვის ცალკე ბუფეტი აქვთ, ჩიფსები და კრეკერები არ იყიდება, მხოლოდ ჯანმრთელი პროდუქტებია.
- პედაგოგები? მასწავლებელზე ბევრია დამოკიდებული... განსაკუთრებით საწყის ეტაპზე.
- ძალიან გაგვიმართლა, ერთ-ერთი საუკეთესო დაწყებითის მასწავლებელი ეყოლება ჩემს შვილს, სათნო და გულისხმიერი ადამიანი, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს.
- ძალიან კარგი! აბა, წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

12. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. დიალოგის მონაწილე შვილის სკოლაში შესვლის გამო:

   ა) ნერვიულობს; ბ) ბრაზობს; გ) ნანობს

2. სასურველი სკოლის შერჩევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა:

   ა) სწორია; ბ) არასწორია; გ) დიალოგში არ ჩანს

3. შერჩეულ სკოლაში მესამე კლასიდან ისწავლიან:

   ა) ინგლისურს ან ფრანგულს; ბ) ინგლისურს ან გერმანულს;

   გ) ფრანგულს ან რუსულს

4. სკოლას არ აქვს:

   ა) ბუფეტი; ბ) დიდი ეზო; გ) ენების ცენტრი

5. დიალოგის მონაწილეს შვილი შეჰყავს:

   ა) საჯარო სკოლაში; ბ) კერძო სკოლაში; გ)დიალოგში არ ჩანს

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

დიალოგის ერთ-ერთი მონაწილის შვილი პირველად მიდის სკოლაში. რას ურჩევთ მას?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

იაპონელი ბავშვები მთელ მსოფლიოს აოცებენ თავიანთი კარგი მანერებითა და გონიერებით. ფიქრობენ, რომ ამის საფუძველი კარგად აღზრდილი, ჭკვიანი თაობებია, რომლებმაც ყველაფერი საუკეთესო ოჯახიდან მიიღეს.

როცა იაპონელი ბავშვებზე საუბრობენ, ყოველთვის მიუთითებენ იაპონური აღზრდის 5 პრინციპზე.

პირველი პრინციპის მიხედვით, დედა-შვილი განუყრელნი არიან, სამყაროს ბავშვი დედასთან ერთად ეცნობა. შვილი დედისთვის იდეალურია. ის არასოდეს ექცევა მკაცრად შვილს, არ არსებობს შვილზე ძალადობა. ერთ-ერთი მკვლევარი წერს, რომ ,,იაპონია - ეს არის სამოთხე ბავშვებისთვის.“

მეორე პრინციპი: პატარა 5 წლამდე ღმერთია, 5 წლის შემდეგ კი მონა. პატარას 5 წლამდე ოჯახში მხოლოდ სითბოს და სიყვარულს უზიარებენ, უარს არაფერზე ეუბნებიან. ხუთი წლის შემდეგ ბავშვმა შრომა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება უნდა ისწავლოს. მას ეუბნებიან, რომ სიყვარული უნდა გასცეს, რომ არავინ სხვაზე მეტი არ არის.

იაპონიაში განათლების სისტემა კონკურენციის წინააღმდეგია. სწავლისას არ არსებობს არანაირი შეფასება, რადგან ინფორმაციას ყველა ინდივიდუალურად იგებს.

მესამე პრინციპი: ოჯახი ყველაზე დიდი სიწმინდეა. ბავშვის აღზრდაზე, როგორც წესი, დედა ზრუნავს. მშობლები შვილთან დიდ დროს ატარებენ. ყველამ იცის, რომ ოჯახი მას ყოველთვის მხარს დაუჭერს.

მეოთხე პრინციპი: პირადი მაგალითი. იაპონელი დედები შვილებს პირადი მაგალითით ასწავლიან. მაგალითად, ქალიშვილი დედის მაგალითზე სწავლობს, თუ სად რა უნდა ჩაიცვას, როგორ მოიქცეს და ა.შ.

მეხუთე პრინციპი: სხვისი გრძნობების გაზიარება - ეს არის მთავარი იაპონურ აღზრდაში. პატარამ თავიდანვე იცის, რომ ერთი დიდი სამყაროს, დედამიწის ნაწილია, სადაც მის გარდა უამრავი ადამიანი ცხოვრობს. იაპონელი ბავშვები სხვისი გრძნობების, მდგომარეობის გაზიარებას ბავშვობიდანვე სწავლობენ.

13. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

14. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია +/არასწორია -

1. იშვიათად ნახავთ იაპონელ მოზარდს, რომელიც საზოგადოებაში ცუდად იქცევა
2. იაპონელი ბავშვები ხშირად აწყობენ სკანდალებს
3. იაპონურ ოჯახებში 5 წლამდე პატარას ყველა აღმერთებს
4. მიიჩნევენ, რომ ჭკვიანმა იაპონელებმა ყველაფერი საუკეთესო ოჯახიდან მიიღეს
5. ყველა იაპონელი ფიქრობს, რომ იაპონია სამოთხეა ბავშვებისთვის
6. იაპონელებს ოჯახი მთელი ცხოვრება დაეხმარება და მხარს დაუჭერს
7. იაპონელი დედა არასდროს საყვედურობს თავის შვილს
8. იაპონელ ბავშვს ასწავლიან, რომ ის სამყაროში ყველაზე კარგია
9. იაპონიაში განათლების სისტემა კონკურენციას გამორიცხავს
10. იაპონელი ქალიშვილი დედის მაგალითზე სწავლობს ჩაცმას, მოქცევას...
11. იაპონელებისთვის პირადი მაგალითით სწავლება მიუღებელია
12. იაპონელები სხვისი გრძნობების გაზიარებას ბავშვობიდანვე სწავლობენ
13. სწავლისას ნიშნები არ იწერება, რადგან ინფორმაციას ყველა თავისებურად იგებს
14. იაპონელი მშობლები შვილთან დიდ დროს ატარებენ

ვისაუბროთ!

რატომ არიან იაპონელი ბავშვები განსაკუთრებულები?
რომელია, თქვენი აზრით, იაპონური აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრინციპი?
როგორ ექცევიან თანამედროვე ოჯახებში ბავშვებს, რით ჰგავს/არ ჰგავს იგი იაპონიის მაგალითს?

თემა 6
რასიზმი და აპარტეიდი

კითხვები გამოწვევისთვის

რა იცით რასიზმზე?
თქვენი აზრით, თანამედროვე ცხოვრებაში აქტუალურია რასიზმის თემა?
გაიხსენეთ რასიზმის თემაზე შექმნილი ნაწარმოები ან ფილმი.

აპარტეიდი და ნელსონ მანდელა

აპარტეიდი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო მოვლენაა. სიტყვა აპარტეიდი აფრიკანულ ენაზე ,,განცალკევებას“ ნიშნავს. ამ ენაზე აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობა საუბრობდა. თეთრკანიანები აფრიკის რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებში დასახლდნენ. ჰოლანდიელ კოლონიზატორებს შემდგომ ფრანგები, გერმანელები და ირლანდიელები დაემატნენ. მათ შთამომავლებს აფრიკანერები ეწოდებათ. სამხრეთ აფრიკაში 1948 წელს მოსულმა ნაციონალისტურმა პარტიამ რასობრივი დაყოფა შემოიღო. აპარტეიდის რასისტული რეჟიმი სამხრეთ აფრიკაში 1994 წლამდე არსებობდა. ქალაქებსა თუ სოფლებში „თეთრებსა“ და „შავებს“ ცალ-ცალკე ტერიტორიები ჰქონდათ გამოყოფილი. შავკანიანებს უფლება არ ჰქონდათ თეთრკანიანებთან ერთად ემგზავრათ საზოგადოებრივი ტრასპორტით, ესარგებლათ საავადმყოფოებით, საჯარო თუ კერძო დაწესებულებაში შესასვლელად შავკანიანებისათვის სპეციალური საშვები მოქმედებდა. მათ ჩამორთმეული ჰქონდათ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, არ ჰქონდა ბიზნესის წარმოების უფლება და არც პროფესიული განვითარების საშუალება. შავკანიანები ცხოვრობდნენ ელექტროენერგიისა და წყლის მომარაგების გარეშე. ამის საპირისპიროდ „თეთრებს“ ცხოვრების ყველა უპირატესობით შეეძლოთ ესარგებლათ. აპარტეიდის გამოცხადების დროს თეთრკანიანების რაოდენობა საერთო მოსახლეობის 17 %-ს შეადგენდა.

აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ ნელსონ მანდელა იქცა. მანდელა ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა წინააღმდეგობის მოძრაობას ჩაუდგა სათავეში. როგორც პოლიტიკურმა პატიმარმა, 27 წელი ციხეში გაატარა. როლიჰ ლალა მანდელა სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი ტომის ბელადის შვილი იყო. ნელსონი მას სკოლის მასწავლებლებმა დაარქვეს. მან იურიდული განათლება მიიღო, პრაქტიკასაც გადიოდა, თუმცა კანის ფერის გამო დაწინაურების შანსი არ ჰქონდა. 1964 წელს მანდელა დააკავეს. იგი ყველაზე ცნობილ „სინდისის პატიმრად“ იქცა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ იგი ნამდვილ გმირად მოევლინა ხალხს. მისი აქტიური მონაწილეობით 1994 წელს პირველი დემოკრატიული და მრავალრასობრივი არჩევნები გაიმართა სამხრეთ აფრიკაში. ნელსონ მანდელა რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი გახდა.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ნელსონ მანდელა პოლიტიკური პატიმარი იყო
2. ნელსონ მანდელა სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი ტომის ბელადის შვილი იყო
3. ციხიდან გამოსვლის შემდგომ მანდელა პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა
4. როლიჰ ლალა მანდელას ნელსონი სკოლის მასწავლებლებმა დაარქვეს
5. ნელსონს კანის ფერის გამო დაწინაურების შანსი არ ჰქონდა
6. სიტყვა აპარტეიდი აფრიკანულ ენაზე ,,განცალკევებას" ნიშნავს
7. აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობა ინგლისურ და ფრანგულ ენებზე საუბრობდა
8. თეთრკანიანები აფრიკის ამ რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებში დასახლდნენ
9. დაწესებულებებში შესასვლელად შავკანიანებს საშვები სჭირდებოდათ
10. შავკანიანებს ჰქონდათ პროფესიული განვითარების საშუალება
11. თეთრკანიანები ცხოვრების ყველა უპირატესობით სარგებლობდნენ
12. სამხრეთ აფრიკაში პირველი დემოკრატიული არჩევნები 1994 წელს გაიმართა

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას ნიშნავს აპარტეიდი?
2. როდის და სად გაჩნდა ეს მიდგომა?
3. ვის უწოდებდნენ აფრიკანელებს?
4. რომელი ქვეყნებიდან იყვნენ კოლონიზატორები?
5. აპარტეიდის გამოცხადებისას თეთრკანიანები მთლიანი მოსახლეობის რა ნაწილს შეადგენდნენ?
6. რისი უფლება არ ჰქონდათ შავკანიანებს?
7. ვინ გახდა აპარტეიდის წინააღდეგ ბრძოლის სიმბოლო?
8. რატომ დაიჭირეს ნელსონ მანდელა?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ:

--- --- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1.	აფრიკის	ა. დაყოფა
2.	შავკანიანი	ბ. წარმოება
3.	რასობრივი	გ. რეგიონი
4.	საზოგადოებრივი	დ. სარგებლობს
5.	რასისტული	ე. განვითარება
6.	ბიზნესის	ვ. მოსახლეობა
7.	სპეციალური	ზ. პატიმარი
8.	პროფესიული	თ. რეჟიმი
9.	უპირატესობით	ი. ტრანსპორტი
10.	პოლიტიკური	კ. საშვი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1.	პატიმარი	ა. უკეთესობა, უკეთესად მიჩნევა (ამჯობინებს)
2.	არჩევნები	ბ. განმარტოება, იზოლირება, ცალკე
3.	ციხე	გ. ფერმის პატრონი
4.	დაწინაურება	დ. დოკუმენტი - ადასტურებს სადმე შესვლის უფლებას
5.	ბელადი	ე. თეორია ადამიანთა «დაბალი» / «მაღალი» რასების შესახებ
6.	უპირატესობა	ვ. ვინც დაპატიმრებულია, დაჭერილი
7.	საშვი	ზ. უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა სამსახურში
8.	რასიზმი	თ. წინამძღოლი, მეთაური, აღიარებული ხელმძღვანელი
9.	შთამომავლობა	ი. ვინც/რაც არცხვენს, სათაკილო, სასირცხვო
10.	განცალკევება	კ. თანამდებობის პირის ხმის მიცემით არჩევ ა
11.	ფერმერი	ლ. შენობა - ათავსებენ პატიმრებს, საპატიმრო, საპყრობილე
12.	სამარცხვინო	მ. წარმოშობა, მემკვიდრეობით მიღებული თვისება

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

6. ვისაუბროთ!

რა ახალი ინფორმაცია შეიტყვეთ აპარტეიდისა და რასიზმის შესახებ?
რატომ უწოდებენ ამ მოვლენას სამარცხვინოს?
როგორ ფიქრობთ, არის თუ არა დღეს რასიზმის საფრთხე?
რა უწყობს რასიზმის გაღვივებას ხელს?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. 1994 წელს სამხრეთ აფრიკაში პირველი დემოკრატიული არჩევნები <u>გაიმართა</u>.

   ა) გაემართა; ბ) ჩატარდა; გ) ჩაიარა

2. მანდელას კანის ფერის გამო დაწინაურების <u>შანსი</u> არ ჰქონდა.

   ა) შესაძლებლობა; ბ) შერიგება; დ) განათლება

3. ნელსონი მას სკოლის მასწავლებლებმა <u>დაარქვეს</u>.

   ა) დაუძახეს; ბ) დააწინაურეს; გ) უწოდეს

4. მანდელა ახალგაზრდა იყო, როცა წინააღმდეგობის მოძრაობას <u>ჩაუდგა სათავეში</u>.

   ა) მეთაურობდა; ბ) სათაურობდა; გ) დასაწყისში

5. 1964 წელს მანდელა <u>დააკავეს</u> და ციხეში ჩასვეს, როგორც პოლიტიკური პატიმარი.

   ა) დაიკავეს; ბ) დააპატიმრეს; გ) აპატიეს

6. აპარტეიდი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე <u>სამარცხვინო</u> მოვლენაა.

   ა) სათაკილო; ბ) დამარცხებული; გ) საჭირო

7. ამ ენაზე აფრიკის თეთრკანიანი მოსახლეობა <u>საუბრობდა</u>.

   ა) წერდა; ბ) ლაპარაკობდა; გ) გამოხატავდა

8. მათ შთამომავლებს აფრიკანერები <u>ეწოდებათ</u>.

   ა) ჰქვიათ; ბ) წოდებითი; გ) მიმართვა

9. მათ <u>ჩამორთმეული</u> ჰქონდათ არჩევნებში ხმის მიცემის უფლება.

   ა) წაყვანილი; ბ) წართმეული; გ) მოტანილი

10. შავკანიანებს არ ჰქონდათ პროფესიული <u>განვითარების</u> საშუალება.

    ა) ვითარების; ბ) წინსვლის; გ) წაყვანის

11. ამის <u>საპირისპიროდ</u> „თეთრები“ ყველა უპირატესობით სარგებლობდნენ.

    ა) პირდაპირ; ბ) შემდეგ; გ) საწინააღმდეგოდ

12. მანდელა სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთი ტომის <u>ბელადის</u> შვილი იყო.

    ა) ექიმის; ბ) მეთაურის; გ) ფერმერის

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. აპარტეიდის წინააღმდეგ ---------- (ბრძოლა) სიმბოლოდ ნელსონ მანდელა იქცა.
2. ნელსონი მას სკოლის ---------- (მასწავლებლები) დაარქვეს.
3. მანდელა სამხრეთ ---------- (აფრიკა) ერთ-ერთი ტომის ---------- (ბელადი) შვილი იყო.
4. მანდელას კანის ---------- (ფერი) გამო ---------- (დაწინაურება) შანსი არ ჰქონდა.
5. ნელსონ მანდელა ყველაზე ცნობილ „სინდისის ---------- (პატიმარი“) იქცა.
6. შავკანიანებს უფლება არ ჰქონდათ ---------- (თეთრკანიანები) ერთად ემგზავრათ საზოგადოებრივი---------- (ტრანსპორტი).
7. ამის საპირისპიროდ „თეთრებს“ ---------- (ცხოვრება) ყველა ---------- (უპირატესობა) შეეძლოთ ესარგებლათ.
8. სამხრეთ ---------- (აფრიკა) 1948 წელს ნაციონალისტურმა ---------- (პარტია) რასობრივი დაყოფა შემოიღო.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
ფაქტი	მოვლენა	
ლაპარაკი	საუბარი	
	დაემატა	გამოაკლდა
ჰქვია	ეწოდება	
	შთამომავალი	წინაპარი
დამოუკიდებელი	თავისუფალი	დამოკიდებული
	შესასვლელი	გამოსასვლელი
საზოგადოებრივი	საჯარო	კერძო
საპირისპიროდ	საწინააღმდეგოდ	
	ახალგაზრდა	მოხუცი
დაპატიმრება/დაჭერა	დაკავება	გათავისუფლება

დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

სიტყვაწარმოება

9. **ჩასვი სიტყვები საჭირო ფორმით:**

აფრიკა, აფრიკული, აფრიკელი;

ჰოლანდია, ჰოლანდიური, ჰოლანდიელი.

1. კოლონიზატორები საუბრობდნენ ენაზე, რომელიც ---------- ჰგავს
2. ფართობის მიხედვით ---------- (აფრიკა) მეორე კონტინენტია მსოფლიოში.

3. ---------- სპორტსმენებმა შეჯიბრება მოიგეს.
4. ამ მაღაზიაში ---------- ყვავილები იყიდება.
5. გამარჯვებულის პატივსაცემად ---------- დროშა გამოფინეს.
6. თქვენს ---------- სტუმარს მოეწონა ქალაქი?

წაიკითხეთ დიალოგი!

- როგორ ხარ, მეგობარო?
- კარგად, შენ ?
- თან კარგად, თან ცუდად.... შეყვარებული ვარ!
- რა კარგია... თუ შეყვარებული ხარ, კარგად უნდა იყო!
- ჰო, ეს გრძნობა კი მახარებს, მაგრამ... იცი, ჩემი შეყვარებული შავკანიანია!
- უი, აი, თურმე რა გაწუხებს...
- შენ ფიქრობ, რომ ეს პრობლემაა?
- ჩემთვის არა, მაგრამ...
- ჰოო, ეჭვი მაქვს, რომ ჩემი ოჯახისათვის ამის მიღება ადვილი არ იქნება...
- რადგან შენ შეგაყვარა თავი, მაშინ შენს ოჯახსაც მოაწონებს თავს
- იმედი მაქვს... არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან განათლებული, ხალისიანი და კეთილშობილი. ნეტა იცოდე, როგორ მღერის...
- გასაგებია, სიმღერით შეგაყვარა თავი
- არა მხოლოდ. საოცრად თბილი ადამიანია...
- მე უკვე მომწონს!
- მიხარია, რომ შენთვის ეს არაა პრობლემა, მაგრამ ძალიან ბევრი ამას ცუდად იღებს და ისეთი მზერა აქვთ, ისე მიყურებენ...
- ნუ უყურებ სხვებს, მთავარი შენი გრძნობა და ურთიერთობაა
- დიდი მადლობა გაგებისათვის...
- ჩვენ ხომ ნამდვილი მეგობრები ვართ!

10. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. დიალოგის მონაწილე ნერვიულობს, რადგან:

   ა) ეჭვიანობს; ბ) შეყვარებულია; გ) გაბრაზებულია

2. შეყვარებულის შესახებ დიალოგის მონაწილის ოჯახმა:

   ა) ყველაფერი იცის; ბ) ჯერ არ იცის; გ) დიალოგში არ ჩანს

3. შეყვარებული ახალგაზრდა ფიქრობს, რომ ოჯახისთვის მისი სიყვარულის მიღება:

   ა) რთული იქნება; ბ) რთული არ იქნება; გ) დიალოგში არ ჩანს

4. მეგობარი შეყვარებულ ახალგაზრდას:

   ა) აშფოთებს; ბ) აკრიტიკებს; გ) აიმედებს

5. შეყვარებული ახალგაზრდა გამოხატავს მეგობრისადმი:

ა) მადლიერებას ბ) სინაზეს; გ) კადნიერებას

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე მეგობარს თავისი პრობლემის შესახებ ესაუბრება. თქვენ გსმენიათ მსგავსი ამბავი? რას ურჩევდით დიალოგის მონაწილეს?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

რუბი ბრიჯის ისტორია დღემდე არ კარგავს აქტუალობას და სამაგალითოა. რუბი ცნობილი გახდა, როგორც ყველაზე გამბედავი აფროამერიკელი ბავშვი. რუბი იყო პირველი შავკანიანი მოსწავლე, რომელიც თეთრკანიანთათვის განკუთვნილ სკოლაში წავიდა.

რუბი 1954 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიბადა. იმ დროისათვის საზოგადოება დაყოფილი იყო კანის ფერის მიხედვით. შავკანიანები ცალკე სკოლაში დადიოდნენ, რესტორნებიც ცალკე იყო მათთვის. ამ ფორმით ხდებოდა რასობრივი სეგრეგაცია.

1954 წელს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, სკოლები არ უნდა ყოფილიყო დაყოფილი რასობრივი ნიშნით. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით ყველა იმსახურებდა კარგ განათლებას, უსამართლობა იყო სკოლების ამგვარი დაყოფა. სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად 6 წელი დასჭირდა. 1960 წლის 14 ნოემბერი ისტორიულ დღედ იქცა რასიზმთან ბრძოლაში. ამ დღეს რუბი თეთრკანიანთა სკოლაში წავიდა. რუბის სკოლაში ამერიკის ფედერალური მარშალი აცილებდა. ამის მიუხედავად, პირველი დღე რუბისათვის მარტივი არ ყოფილა, მას შეურაცხმყოფელი შეძახილებით ხვდებოდნენ და ნივთებს ესროდნენ. რუბი მაინც ამაყად მიაბიჯებდა სკოლისაკენ და მაგალითს აძლევდა თანატოლებს. რუბის კლასში მხოლოდ ის და ერთი თეთრკანიანი მასწავლებელი იყო, რომელმაც უარი არ თქვა შავკანიან მოსწავლეზე. რუბის ოჯახიც განიცდიდა ზეწოლას იმის გამო, რომ გოგონა „შავკანიანების“ სკოლაში არ დადიოდა. რუბიმ ყველა წინააღმდეგობა დაძლია და წარმატებით დაასრულა სკოლა.

რუბი დღემდე რჩება სამოქალაქო აქტივისტად და იბრძვის სკოლაში ადამიანების უფლებების დასაცავად. მასზე არაერთი წიგნი დაიწერა და ფილმი შეიქმნა, რაც რასიზმის აქტუალობას დღესაც ადასტურებს.

11. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

12. მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. რუბის კლასში მხოლოდ ის და ერთი თეთრკანიანი მასწავლებელი იყო
2. რუბის მშობლებს აქებდნენ, რომ შვილი თეთრკანიანების სკოლაში წაიყვანეს
3. რუბიმ წინააღმდეგობა ვერ დაძლია და სკოლა მიატოვა
4. რუბი ამაყად მიაბიჯებდა სკოლისაკენ და მაგალითს აძლევდა თანატოლებს
5. რუბიზე არაერთი წიგნი დაიწერა და ფილმიც შეიქმნა
6. რუბი სამოქალაქო აქტივობებში აღარაა ჩართული
7. 1960 წლის 14 ნოემბერი ისტორიული დღეა რასიზმთან ბრძოლაში
8. რუბი დღესაც იბრძვის სკოლაში ადამიანების უფლებების დასაცავად
9. რუბი სკოლაში მშობლებმა და ნათესავებმა გააცილეს
10. 1954 წელს უზენაესმა სასამართლომ აკრძალა სკოლებში რასიზმი
11. რუბისთვის სკოლის პირველი დღე მარტივი არ ყოფილა
12. სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად 6 წელი დასჭირდა
13. რუბი იყო პირველი შავკანიანი მოსწავლე, რომელიც სკოლაში წავიდა
14. რუბის ისტორია გამორჩეულია, რადგან ის თეთრკანიანთათვის განკუთვნილ სკოლაში წავიდა

ვისაუბროთ!

როგორ ფიქრობთ, რატომ ასხვავებენ ადამიანებს ერთმანეთისგან?
თქვენი აზრით, დღეს არის სკოლებში რასიზმის შემთხვევები?
რა კამპანიას დაგეგმავდით რასიზმის წინააღმდეგ?

თემა 7

ჰოლოკოსტი და კოლექტიური პასუხისმგებლობა

კითხვები გამოწვევისთვის

რა იცით ან გსმენიათ ჰოლოკოსტის შესახებ?
რა შეხედულებები/სტერეოტიპები არსებობს ებრაელების შესახებ?
გაიხსენეთ ფილმი/ნაწარმოები, რომელიც ებრაელთა მასობრივ განადგურებას ეხება საკონცენტრაციო ბანაკებში.

ჰოლოკოსტი

ჰოლოკოსტი ლათინური სიტყვაა და ,,სრულ დაწვას" ნიშნავს. ამ სიტყვით აღინიშნება ხალხის მასობრივი განადგურება და გენოციდი მეოცე საუკუნეში. ნაცისტურმა რეჟიმმა (1933-1945) 11 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ადამიანებს მასობრივად ანადგურებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ გეტოებში. არაადამიანურმა იდეოლოგიამ ფიზიკურად გაანადგურა ებრაელი ხალხის დიდი ნაწილი. ჰოლოკოსტს ევროპის ებრაელთა 60 %, დაახლოებით 6 მილიონი ადამიანი ემსხვერპლა, აქედან მილიონ-ნახევარი ბავშვი. ებრაელების გარდა რეჟიმმა ბოშების 1/3 მთლიანად გაანადგურა. ისინი არ ინდობდნენ სულიერად ავადმყოფებსა და შრომის უუნაროებს. 2 მილიონამდე საბჭოთა ტყვე შიმშილით დაიხოცა. ნაცისტური რეჟიმის მსხვერპლი გახდა 10 000-ზე მეტი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანი.

მასობრივი მკვლელობები ეწყობოდა სპეციალურ საკონცენტრაციო ბანაკებში. პირველი ბანაკის მშენებლობა ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო, 1933 წელს. ყველაზე დიდი ბანაკის აუშვიცის (ოსვენციმის) მშენებლობა პოლონეთის ტერიტორიაზე 1940 წელს დასრულდა. სულ საკონცენტრაციო ბანაკების რაოდენობა 7000-ს აღემატებოდა. ბანაკებში მოწყობილი იყო გაზის კამერები და კრემატორიუმები. ბანაკებში ადამიანებზე ატარებდნენ სამედიცინო ექსპერიმენტებს და ცდებს. საკონცენტრაციო ბანაკებში გაუსაძლისმა პირობებმა და ანტისანიტარიამ მსხვერპლის რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა.

1945 წლის 27 იანვარს ალიანსის ჯარებმა საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაათავისუფლეს დარჩენილი ტყვეები. ამით დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მოვლენა - ჰოლოკოსტი.

2005 წელს გაერომ 27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლის გახსენების დღედ გამოაცხადა. ამ დღეს მსოფლიო იხსენებს საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულებს, პატივს მიაგებს მათ და იმედოვნებს, რომ მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდება. ჰოლოკოსტის შესახებ ინფორმირებულობა შეიძლება იყოს ერთგვარი პრევენცია, მსოფლიომ თავიდან აირიდოს ახალი გენოციდი.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ადამიანებს მასობრივად ანადგურებდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ გეტოებში
2. არაადამიანურმა იდეოლოგიამ ფიზიკურად გაანადგურა ებრაელი ხალხის დიდი ნაწილი
3. ნაცისტური რეჟიმი ებრაელ ბავშვებს არ კლავდა
4. ებრაელების გარდა რეჟიმმა ბოშების 1/3 მთლიანად გაანადგურა
5. ნაცისტური რეჟიმი ინდობდა სულიერად ავადმყოფებს და შრომის უუნაროებს
6. ნაცისტური რეჟიმის გამო ნახევარ მილიონამდე საბჭოთა ტყვე შიმშილით დაიხოცა
7. ნაცისტური რეჟიმმა იმსხვერპლა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები
8. ყველაზე დიდი ბანაკი აუშვიცი (ოსვენციმი) პოლონეთის ტერიტორიაზე იყო
9. ბანაკებში ავადმყოფ ადამიანებს მკურნალობდნენ
10. საკონცენტრაციო ბანაკების რაოდენობა 7000-ზე მეტი იყო
11. საკონცენტრაციო ბანაკებში გაუსაძლისი პირობები და ანტისანიტარია იყო
12. კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი მოვლენა - ჰოლოკოსტი 1945 წელს დასრულდა
13. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე ერთგვარი პრევენციაა მსგავსი ბოროტების თავიდან ასაცილებლად
14. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე 27 იანვარს აღინიშნება

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როდის აღნიშნავენ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს?
2. რომელმა ორგანიზაციამ დააწესა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა გახსენების დღე?
3. როდის შეწყდა საკონცენტრაციო ბანაკების არსებობა?
4. რას ნიშნავს სიტყვა ,,ჰოლოკოსტი?“
5. რისთვის შეიქმნა საკონცენტრაციო ბანაკები?
6. ყველაზე მეტად რომელი ერი დაზარალდა ნაცისტური რეჟიმის გამო?
7. ებრაელების გარდა ნაცისტურ რეჟიმს ვინ ემსხვერპლა?
8. როდის დაიწყეს გერმანელმა ნაცისტებმა საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობა?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ:

--- --- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. მასობრივი	ა. პირობები
2. საკონცენტრაციო	ბ. ავადმყოფი
3. ნაცისტური	გ. მკვლელობა
4. სულიერად	დ. ბანაკი
5. შრომის	ე. ექსპერიმენტი
6. მასობრივი	ვ. რეჟიმი
7. გაზის	ზ. მიაგებს
8. სამედიცინო	თ. უუნარო
9. გაუსაძლისი	ი. განადგურება
10. პატივს	კ. კამერა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. მასობრივი	ა. ომის დროს მტრის მიერ შეპყრობილი მებრძოლი/ადამიანი
2. გენოციდი	ბ. რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური ნიშნით მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა, განადგურება
3. გეტო	გ. გაფრთხილება, წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცდენად.
4. ტყვე	ე. საყოველთაო; რაც დიდი რაოდენობით ხდება; ხშირი.
5. შიმშილი	ვ. უსუფთაობა, სიბინძურე
6. მსხვერპლი	ზ. ოთახი საპატიმროში, სადაც არის პატიმარი, საკანი
7. აღემატება	თ. რისი გაძლებაც შეუძლებელია, აუტანელი
8. კრემატორიუმი	ი. ვისაც რისამე უნარი არ აქვს
9. გაუსაძლისი10.	კ. მეტია რამეზე, აჭარბებს
ანტისანიტარია	ლ. უჭმელობა, უჭმელობით გამოწვეული შემაწუხებელი
11. პრევენცია	გრძნობა
12. კამერა	მ. უბანი/ადგილი, სადაც იძულებით ცხოვრობს ადამიანთა გარკვეული ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფი
13. სასტიკი	ნ. უსამართლობის გამო დაზარალებული/დაღუპული
14. რეჟიმი	ო. ადამიანისთვის შეუძლებელი, აუტანელი; შეუფერებელი
15. არაადამიანური	პ. მმართველობის წესი, სახელმწიფო წყობილება.
16. უუნარო	ჟ. მკაცრი, ულმობელი, შეუბრალებელი.
	რ. სპეციალური ღუმელი მიცვალებულთა გვამების დასაწვავად

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

6. ვისაუბროთ!

რა ახალი ინფორმაცია შეიტყვეთ ჰოლოკოსტისა და ანტისემიტიზმის შესახებ?

თქვენი აზრით, როგორია დამოკიდებულება დღეს ებრაელების მიმართ?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. გაერომ 27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლის გახსენების დღედ <u>გამოაცხადა</u>.

   ა) გააცხელა; ბ) დააწესა; გ) გამოაჩინა

2. ამ დღეს მსოფლიო იხსენებს საკონცენტრაციო ბანაკებში <u>დაღუპულებს</u>.

   ა) დახოცილებს; ბ) დასველებულებს; გ) მოწყენილებს

3. ალიანსის ჯარებმა საკონცენტრაციო ბანაკებიდან <u>გაათავისუფლეს</u> ტყვეები.

   ა) გაუშვეს; ბ) დატოვეს; გ) დაიჭირეს

4. დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე <u>სასტიკი</u> მოვლენა.

   ა) სევდიანი; ბ) სათანადო; გ) შეუბრალებელი

5. საკონცენტრაციო ბანაკების პირობებმა და <u>ანტისანიტარიამ</u> მსხვერპლი გაზარდა.

   ა) ანტიკამპანიამ; ბ) სიბინძურემ; გ) სისუფთავემ

6. აუშვიცის (ოსვენციმის) მშენებლობა 1940 წელს <u>დასრულდა.</u>

   ა) გაუქმდა; ბ) დამთავრდა; გ) შეასრულა

7. საკონცენტრაციო ბანაკების რაოდენობა 7000-ს <u>აღემატებოდა</u>.

   ა) თანაბარია; ბ) ცოტაა; გ) აჭარბებდა

8. მკვლელობები ეწყობოდა <u>სპეციალურად</u> მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკებში.

   ა) საგანგებოდ; ბ) სახალხოდ; გ) სასწრაფოდ

9. ბანაკებში ადამიანებზე ატარებდნენ სამედიცინო <u>ექსპერიმენტებს</u>.

   ა) ექსკლუზივს; ბ) ცდებს; გ) ლოდინს

10. ორ მილიონამდე საბჭოთა ტყვე <u>შიმშილით</u> დაიხოცა.

    ა) უჭმელობით; ბ) შიშით; გ) სიცივით

11. ისინი არ <u>ინდობდნენ</u> სულიერად ავადმყოფებს, უუნაროებს.

    ა) უნდოდათ; ბ) ებრალებოდათ; გ) აბრალებდნენ

12. ჰოლოკოსტი -ამ სიტყვით აღინიშნება ხალხის მასობრივი <u>განადგურება</u>.

    ა) დახოცვა; გ) განიარაღება; გ) დაბინავება

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. ნაცისტურმა ---------- (რეჟიმი) 11 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.
2. არაადამიანურმა ---------- (იდეოლოგია) ფიზიკურად გაანადგურა ებრაელი ---------- (ხალხი) დიდი ნაწილი.
3. ებრაელების გარდა რეჟიმმა ---------- (ბოშები) 1/3 მთლიანად გაანადგურა.
4. მილიონამდე საბჭოთა ტყვე ---------- (შიმშილი) დაიხოცა.
5. მკვლელობები ეწყობოდა საკონცენტრაციო ---------- (ბანაკები).
6. ყველაზე დიდი ---------- (ბანაკი) მშენებლობა პოლონეთის ---------- (ტერიტორია) 1940 წელს დასრულდა.
7. ბანაკებში ---------- (ადამიანები) ატარებდნენ სამედიცინო ---------- (ექსპერიმენტები) და ცდებს.
8. ბანაკებში გაუსაძლისმა ---------- (პირობები) და ანტისანიტარიამ ---------- (მსხვერპლი) რაოდენობა კიდევ უფრო გაზარდა.
9. ალიანსის ---------- (ჯარები) საკონცენტრაციო ---------- (ბანაკები) გაათავისუფლეს დარჩენილი ტყვეები.
10. 27 იანვარი ჰოლოკოსტის მსხვერპლის გახსენების ---------- (დღე) გამოაცხადა.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
მოსპობა/მოკვლა	განადგურება	
	სიცოცხლე	სიკვდილი
სასტიკი/ულმობელი	არაადამიანური	ადამიანური
შებრალება	დანდობა	
სნეული/დაავადებული	ავადმყოფი	ჯანმრთელი
	ტრადიციული	არატრადიციული
აჭარბებს	აღემატება	
ექსპერიმენტი	ცდა	
აუტანელი	გაუსაძლისი	
დამთავრება	დასრულება	დაწყება

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისგან ნაწარმოები სიტყვები:

I. წვავს, დაწვა, დამწვარი

II. ანადგურებს, განადგურება, განადგურებული

III. კლავს, მკვლელობა, მკვლელი

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში საჭირო ფორმით:

I. 1. ზაფხულში მზემ ბალახები ----------.

2. ---------- ტყის ადგილას ხეების დარგვა დაიწყეს.

3. ბაბუა ბაღში გემრიელ მწვადს ---------- .

II. 1. ნაცისტებმა ბევრი ებრაელის სიცოცხლე ----------.

2. ომის დროს ---------- სახლების აღდგენა აუცილებელია.

3. ტყეების ---------- დიდი დანაშაულია.

III. 1. კვირას მომხდარი ---------- უკვე გამოიძიეს.

2. საწამლავი ადამიანს ---------- .

3. სასტიკი---------- პოლიციამ უკვე დააკავა.

წაიკითხეთ დიალოგი!

- დედა, იცი ვინ ჩამოდის კვირის ბოლოს? ჩვენი მეზობელი ტიტე რომ იყო, გახსოვს?
- ვერ ვიხსენებ... საიდან ჩამოდის?
- ისრაელიდან... როგორ არ გახსოვს, 1990 წელს მთელი ოჯახი რომ წავიდა. არ გახსოვს? მთელი ეზო ტიროდა....
- უი, გამახსენდა.... ფეისბუკზე დამიმატა მეგობრებში. დიდი სიყვარულით მოგვიკითხა ყველა, ძალიან მენატრებითო... მარტო ჩამოდის?
- თავის საცოლესთან ერთად.
- ჰო, აბა, უკვე საცოლეც ეყოლება... როგორი პატარა მახსოვს. ძალიან საყვარელი ბავშვი იყო, ოქროსფერთმიანი... ძალიან გამიხარდება მისი ნახვა.
- მეც ძალიან მიხარია
- ხომ გვეწვევა?
- რა თქმა უნდა. მითხრა, ძალიან მაინტერესებს მანდ რა და როგორ შეიცვალაო...
- ბევრი რამ შეცვალა
- მე ვერ ვგრძნობ... მაინც რა შეიცვალა?
- ძალიან ბევრი... სულ სხვანაირი მეზობლობა გვქონდა, კარებს არც კი ვკეტავდით. გვიხაროდა ერთმანეთის დანახვა. ყველამ იცოდა, ვის რა კერძი ჰქონდა სადილად!!
- მერე ეგ კარგი იყო?
- კარგი იყო, აბა რა!
- მოკლედ, უნდა მოვემზადოთ და ტიტეს დავხვდეთ. მინდა სიურპრიზებიც დავახვედრო, რამდენი წელია საქართველოში არ ყოფილა. ყველა ძველი მეზობელი დავპატიჟოთ და დიდი სუფრა გავშალოთ საერთო აივანზე.
- რა კარგი იდეაა, შვილო!
- აბა, შენი იმედი მაქვს, დედა!

11. აირჩიეთ სწორი პასუხი:

1. ძველი მეზობელი ტიტე ჩამოდის:
   ა) იორდანიიდან; ბ) იტალიიდან; გ) ისრაელიდან
2. ტიტეს ოჯახის წასვლა მეზობლებს:
   ა) უხაროდათ; ბ) სწყინდათ; გ) დიალოგში არ ჩანს
3. ტიტე გეგმავს სტუმრად მისვლას ძველ მეზობლებთან
   ა) სწორია; ბ) არასწორია; გ) დიალოგში არ ჩანს
4. ცვლილებები, რომლებზეც დედა საუბრობს, შვილს:
   ა) მოსწონს; ბ) არ მოსწონს; გ) დიალოგში არ ჩანს
5. ტიტეს ოჯახი ისრაელში წავიდა:
   ა) დროებით; ბ) სამუდამოდ; გ) დიალოგში არ ჩანს

დიალოგი დაასათაურეთ! შემდეგ მეწყვილესთან ერთად წარმოადგინეთ როლური თამაშის სახით.

ვისაუბროთ!

დიალოგის მონაწილე დედა და შვილი ისრაელიდან ჩამოსული სტუმრის დასახვედრად ემზადებიან. თქვენ გყავთ ახლობელი/ნაცნობი საზღვარგარეთ?

როგორ ემზადებით მის დასახვედრად? რას გეგმავთ ხოლმე?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები

ანტისემიტიზმი უცხო არ ყოფილა ევროპისათვის, ის სხვადასხვა დროს განსხვავებული მიზეზით ჩნდებოდა. ებრაელების დევნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქრისტეს წამებაში მათი მონაწილეობის ბრალდება იყო. ებრაელებზე ვრცელდებოდა სტერეოტიპები, თითქოს ისინი ძუნწი, უემოციო და დაუნდობელი ვაჭრები იყვნენ. ანტისემიტიზმის ყველაზე მძიმე და საგანგაშო გამოვლინება ჰოლოკოსტი იყო. ჰოლოკოსტის ადამიანური მსხვერპლის მასშტაბებმა მსოფლიო დააფიქრა - ეს როგორ უნდა მომხდარიყო?

საკონცენტრაციო ბანაკებში გადარჩენილი ტყვეები ჰყვებიან სულისშემძვრელ ფაქტებს. მათ შორის გმირებზე, რომლებიც რისკის ფასად ეხმარებოდნენ ებრაელებს. ამის ყველაზე ცნობილი მაგალითი გერმანელი მეწარმე ოსკარ შინდლერი იყო. იგი ებრაელებს არალეგალურად ამუშავებდა თავის ქარხანაში და სიცოცხლეს უნარჩუნებდა მათ. საკუთარი სიცოცხლე გაწირა პოლონეთში მოღვაწე მღვდელმა გრიგოლ ფერაძემ. იგი გაზის კამერაში ებრაელი ქალისა და ბავშვის ნაცვლად შევიდა.

საინტერესოა არამხოლოდ ცალკეული ადამიანის გმირობა, არამედ ხალხისაც. დანიელები ძალიან ამაყობენ, რადგან დასაღუპად განწირული ებრაელების დახმარება შეძლეს. მათი უდიდესი ნაწილი გემებით გადაიყვანეს დანიიდან შვედეთში. ფაქტია, რომ

დანიაში მცხოვრები ძალიან ცოტა ებრაელი ემსხვერპლა ნაცისტურ რეჟიმს - დაახლოებით 200 ადამიანი. ევროპის სხვა ქვეყნებში კი ათასობით და ათიათასობით ებრაელი დაიღუპა. დანიელი ხალხის სოლიდარობაზე ებრაელების მიმართ ლეგენდებიც კი შეიქმნა. მაგალითად, როდესაც დანიელ ებრაელებს გერმანელებმა მოსთხოვეს დავითის ექვსკუთხა ვარსკვლავიანი სამკლაურები ეტარებინათ, მეორე დღეს კოპენჰაგენის ქუჩებში ყველა მოქალაქე სამკლაურით გამოჩნდა. მათ შორის დანიის მეფე და დედოფალი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი ისტორიულად არ დასტურდება, მაინც მნიშვნელოვანია მისი არსებობა.

მსოფლიო საზოგადოებისათვის ჰოლოკოსტის მსხვერპლის გახსენებასთან ერთად მნიშვნელოვანია დადებითი მაგალითების წარმოჩენაც, უკეთესი და უსაფრთხო მომავლისათვის.

11. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ანტისემიტიზმი ევროპაში სხვადასხვა დროს განსხვავებული მიზეზით ჩნდებოდა
2. საკონცენტრაციო ბანაკებში გადარჩენილი ტყვეები ჰყვებიან სულისშემძვრელ ფაქტებს
3. ებრაელების დევნის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ისინი ვაჭრები იყვნენ
4. ანტისემიტიზმის ყველაზე მძიმე და საგანგაშო გამოვლინება ჰოლოკოსტი იყო
5. ებრაელებს ყველა საკუთარი ბიზნესის გამო ეხმარებოდა
6. ოსკარ შინდლერი ჰოლანდიელი მეწარმე იყო
7. ოსკარ შინდლერი ებრაელებს არალეგალურად ამუშავებდა თავის ქარხანაში
8. შინდლერმა ბევრი ებრაელის გადარჩენა შეძლო
9. გრიგოლ ფერაძე პოლონეთში მოღვაწე მღვდელი იყო
10. გრიგოლ ფერაძე ებრაელი ქალისა და ბავშვის ნაცვლად გაზის კამერაში შევიდა
11. დანიელები არ დაეხმარნენ ებრაელებს, რადგან დასჯის შეეშინდათ
12. დანიელებმა ებრაელების უდიდესი ნაწილი გემებით გადაიყვანეს შვედეთში
13. მსოფლიო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია დადებითი მაგალითების წარმოჩენა
14. ისტორიულად დასტურდება, რომ ექვსკუთხა ვარსკვლავიანი სამკლაური დანიის მეფესა და დედოფალს ეკეთათ

ვისაუბროთ!

თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის შესახებ ინფორმაციის გავრცელება?

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე გაიხსნა მუზეუმი, რომელსაც ფაშისტური სისასტიკის, სიკვდილის ბანაკს უწოდებენ. თქვენი აზრით, რატომ გაიხსნა ეს მუზეუმი? უნდა არსებობდეს ასეთი მუზეუმები?

გაიხსენეთ ან მოიძიეთ ინფორმაცია ადამიანზე, რომელიც ებრაელებს დაეხმარა მათთვის მძიმე პერიოდში.

თემა 8

უცნობი და ნაცნობი ჩინური კულტურა

კითხვები გამოწვევისათვის

თქვენი აზრით, რით არიან ჩინელები გამორჩეული სხვებისაგან?
რა გახსენდება, როდესაც საუბარია ჩინეთზე?
რა გსმენიათ ჩინური ტრადიციების შესახებ?
იცით რომელიმე სიტყვა ჩინური ენაზე?
საიდან გაქვთ ინფორმაცია ჩინეთის შესახებ?

რა ვიცით და არ ვიცით ჩინეთის შესახებ?

ჩინეთი ცნობილია მზარდი ეკონომიკით, ჭარბი მოსახლეობითა და უძველესი კულტურით. ქვეყანას ისტორიულად საიმპერატორო დინასტიები მართავდნენ, ახლა კი კომუნისტური პარტია. ამის გამო ჩინეთი ათეისტურ სახელმწიფოდ ითვლება. კონსტიტუციით ჩინეთში რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებაა, მაგრამ ბუდიზმის, ტაოიზმის, კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის გარდა ყველა რელიგია არალეგალურად ითვლება. ჩინეთის მოსახლეობის 52 % თავს არარელიგიურად მიიჩნევს. ქვეყანაში ჩინური ენის შვიდ დიალექტსა და მის უამრავ ნაირსახეობაზე საუბრობს დაახლოებით 1.375 ბილიონი ადამიანი. ჩინეთში ერთ ბილიონზე მეტი მოსახლეობა წარმოადგენს 56 ეთნიკურ უმცირესობას. ჩინეთის დედაქალაქია ბეიჯინი, იგივე პეკინი. თავად სახელი ჩინეთი კი მე-17 საუკუნის ევროპელ ისტორიკოსს უკავშირდება. ჩინეთს ყვავილების ქვეყანას უწოდებენ.

ჩინეთი აღმოჩენების სამშობლოდ მიიჩნევა. პირველად ჩინეთში გამოიგონეს ქაღალდის ფული, დენთი, აბრეშუმის ქსოვილის დამზადების ტექნოლოგია, ჩაის კულტურა და სხვა მრავალი. არის მოსაზრება, რომ ფეხბურთიც ჩინელების მოგონილია, თუმცა ჩინეთში ყველაზე პოპულარული სპორტი მაგიდის ჩოგბურთია.

მსოფლიოში არ მოიძებნება კუთხე, სადაც ჩინურ საქონელს არ მიეღწიოს. ყველას გვაქვს ჩინეთში წარმოებული ჩასაცმელი, სათამაშო თუ ტექნიკა. ჩინეთზე ბევრი გვსმენია, თუმცა მაინც არის ისეთი რამ, რაც შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს. მაგალითად, 30 მილიონი ჩინელი დღეს გამოქვაბულში ცხოვრობს ელექტროენერგიის და სხვა თანამედროვე ცხოვრების პირობების გარეშე. ჩინეთის იმპერიაში მდიდარი ქალბატონები იზრდიდნენ ნეკა თითის ფრჩხილს. რაც უფრო გრძელი იყო ფრჩხილი, მით მაღალი იყო ქალბატონის სოციალური სტატუსი. გრძელი ფრჩხილი ნიშნავდა განუსაზღვრელ სიმდიდრეს, იმას, რომ მათ თითის განძრევაც არ სჭირდებათ. ჩინეთში ერთი შვილის ყოლის პოლიტიკამ გამოწვია ის, რომ მშობლების დიდმა ნაწილმა უპირატესობა ვაჟის ყოლას მიანიჭა. ამის გამო მილიონობით ჩინელს უჭირს საცოლის პოვნა. ჩინური მატარებელი მსოფლიოში ყველაზე სწრაფია ხმელეთის ტრანსპორტს შორის. ჩინეთში ყოველდღიურად 274 საპროტესტო აქცია იმართება. ჩინური იეროგლიფებით ამერიკა ითარგმნება, როგორც ,,ლამაზი ქვეყანა.“ ბრიტანეთი - როგორც ,,მამაცების მიწა“, შვედეთი - ძალიან წარმატებული ჯარისკაცი. ,,მიწა“ (ლენდ) ჩინურად იწერება, როგორც

ორქიდეა. შესაბამისად, ირლანდია - ,,გიყვარდეს შენი ორქიდეა“, პოლონეთი - ორქიდეის რხევა და ა.შ. დიდ კედელთან ერთად ჩინეთში ყველაზე შთამბეჭდავია ტერაკოტის არმია, რომელიც შემთხვევით აღმოაჩინეს. იმპერატორ ცინ შიხუანდის კერამიკულ არმიაში 8000 ჯარისკაცის უნიკალური სკულპტურაა.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ჩინეთს საიმპერატორო დინასტია მართავს
2. ჩინეთს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჭარბი მოსახლეობა ჰყავს
3. ჩინეთში აკრძალულია ყველა რელიგია
4. ჩინეთის მოსახლეობის 52% ღმერთს არ აღიარებს
5. ჩინეთში არ ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები
6. ჩინურ ენაში შვიდი დიალექტია
7. სახელი ჩინეთი მე-17 საუკუნის ამერიკელ მეცნიერს უკავშირდება
8. ფიქრობენ, რომ ფეხბურთი ჩინელების მოგონილია
9. ჩინეთს ყვავილების ქვეყანას უწოდებენ
10. ჩინეთის იმპერიაში ყველა ქალი იზრდიდა ნეკა თითზე ფრჩხილს
11. ჩინეთში ერთი შვილის ყოლის პოლიტიკამ დაქორწინება გაართულა
12. ჩინური იეროგლიფებით ამერიკა ითარგმნება ,,მამაცების მიწა“
13. კერამიკული კარისკაცების არმია ჩინეთში აღმოაჩინეს
14. ჩინური მატარებელი მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ხმელეთის ტრანსპორტია

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რითია ცნობილი ჩინეთი?
2. რას ნიშნავს ჩინურად ირლანდია?
3. რატომ უჭირთ ჩინელ მამაკაცებს საცოლის პოვნა?
4. რატომ იზრდიდნენ ჩინეთის იმპერიაში ქალები ნეკა თითზე ფრჩხილს?
5. რატომ ცხოვრობს 30 მილიონი ჩინელი გამოქვაბულში?
6. ვინ მართავს დღეს ჩინეთს?
7. რა წერია ჩინეთის კონსტიტუციაში რელიგიის შესახებ?
8. სპორტის რომელი სახეობაა ჩინეთში პოპულარული?
9. რამდენ დიალექტზე საუბრობენ ჩინეთში?
10. რომელი აღმოჩენები უკავშირდება ჩინეთს?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით:

--- --- ---

--- --- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. ქაღალდის
2. აბრეშუმის
3. ჩაის
4. თანამედროვე
5. უნიკალური
6. ჩინური
7. ნეკა
8. სოციალური
9. საიმპერატორო
10. უპირატესობის

ა. სკულპტურა
ბ. დინასტია
გ. თითი
დ. იეროგლიფი
ე. ფული
ვ. ცხოვრება
ზ. კულტურა
თ. მინიჭება
ი. ქსოვილი
კ. სტატუსი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. უნიკალური
2. დენთი
3. გამოწვევა
4. მზარდი
5. უპირატესობა
6. ჭარბი
7. ათეიზმი
8. დინასტია
9. შთამბეჭდავი
10. აღმსარებლობა
11. ჩასაცმელი
12. საცოლე
13. გამოქვაბული
14. კონსტიტუცია

ა. აღმავალი, განვითარებადი, ვინც/რაც იზრდება
ბ. მომეტებული, ზომაზე მეტი
გ. კლდეში გამოთხრილი ადგილი, მღვიმე
დ. ის, რაც უნიკუმს წარმოადგენს, ძალიან იშვიათი
ე. ის, რაც /ვინც შთაბეჭდილებას ახდენს
ვ. თოფის წამალი
ზ. ვინც ცოლად უნდა მოიყვანონ
თ. ის, რასაც ვიცვამთ
ი. ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობა, აღიარება
კ. უკეთესად მიჩნევა, წინ დაყენება
ლ. სახელმწიფოს ძირითადი კანონი
მ. ღვთის არსებობის, ყოველგვარი რელიგიის უარყოფა
ნ. რაიმეს წარმოქმნა, მიზეზად გახდომა
ო. ერთი გვარის მეფეები, რომელნიც მემკვიდრეობით ადიან ტახტზე

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

6. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. არის მოსაზრება, რომ ფეხბურთიც ჩინელების მოგონილია.

   ა) აზროვნებენ; ბ) ფიქრობენ; გ) არიან

2. მსოფლიოში არ მოიძებნება კუთხე, სადაც ჩინურ საქონელს არ მიეღწიოს.

   ა) არსებობს; ბ) დადის; გ) ადგილი

3. მსოფლიოს ყველა კუთხეში ნახავთ ჩინურ საქონელს.

   ა) ადგილას; ბ) საკანში; გ) სახურავზე

4. ყველას აქვს ჩინეთში წარმოებული ჩასაცმელი

   ა) სათამაშო; ბ) ტანსაცმელი; გ) ყურსასმენი

5. თანამედროვე ცხოვრება ბევრ სიურპრიზს გვთავაზობს.

   ა) დღევანდელი; ბ) მეორადი; გ) თანმიმდევრული

6. გრძელი ფრჩხილი განუსაზღვრელ სიმდიდრეს ნიშნავდა.

   ა) საზღვრის; ბ) უსაზღვრო; გ) განსაზღვრა

7. ამ ქალბატონებს თითის განძრევაც არ სჭირდებათ.

   ა) შრომა; ბ) მითითება; გ) სიარული

8. ტერაკოტის არმია შემთხვევით აღმოაჩინეს.

   ა) მოულოდნელად; ბ) შეხვედრა; გ) შესაბამისად

9. ჩინეთის დიდი კედელი შთამბეჭდავი სანახაობაა.

   ა) გრანდიოზული; ბ) საოცარი; გ) შორეული

10. ჩინეთში ყოველდღიურად 274 საპროტესტო აქცია იმართება.

    ა) ტარდება; ბ) გაამართლებს; გ) გამტყუნება.

11. გრძელი ფრჩხილი ნიშნავდა განუსაზღვრელ სიმდიდრეს.

    ა) აშენებს; ბ) მიუთითებს; გ) აფასებს

12. ჩინეთში ბევრი რამ შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს.

    ა) ცნობილი; ბ) უჩვეულო; გ) ჩვეულებრივი

7. ვისაუბროთ!

როგორ ფიქრობთ, რომელია ჩინეთთან დაკავშირებული ყველაზე უცნაური ტრადიცია?
ისურვებდით ჩინეთში სწავლას?
რას ნახავთ, თუ ჩინეთში მოხვდებით?
რატომ არ არის სასურველი ერთ შვილზე მეტის ყოლა ჩინეთში?

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
სახელგანთქმული/პოპულარული	ცნობილი	უცნობი
მოსაზრება/შეხედულება	აზრი	
უჩვეულო	უცნაური	
შეძლებული	მდიდარი	ღარიბი
ჩქარი	სწრაფი	ნელი
ქანდაკება	სკულპტურა	
	მაღალი	დაბალი
	წარმატებული	წარუმატებელი
მოძრაობა	განძრევა	
გაგონება	მოსმენა	
კანონიერი	ლეგალური	არალეგალური/არაკანონიერი
მოულოდნელად	შემთხვევით	
	გრძელი	მოკლე
გამბედავი/გულადი	მამაცი	მშიშარა
ლაპარაკი	საუბარი	
	უმცირესობა	უმრავლესობა

8. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

9. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები საჭირო ფორმით:

1. დიდ ---------- (კედელი) ერთად ჩინეთში ყველაზე შთამბეჭდავია ---------- (ტერაკოტი) არმია.
2. ჩინური ---------- (იეროგლიფები) ამერიკა ნიშნავს, ლამაზ ქვეყანას.“
3. ჩინური მატარებელი ---------- (მსოფლიო) ყველაზე სწრაფია ხმელეთის ---------- (ტრანსპორტი) შორის.
4. გრძელი ფრჩხილი მიუთითებდა ---------- (ქალბატონი) სოციალურ ---------- (სტატუსი).
5. 30 მილიონი ჩინელი გამოქვაბულში ცხოვრობს თანამედროვე ---------- (ცხოვრება) პირობების გარეშე.
6. ჩინეთი ცნობილია მზარდი ეკონომიკით, ჭარბი ---------- (მოსახლეობა) და უძველესი ---------- (კულტურა).
7. ჩინეთი ათეისტურ ---------- (სახელმწიფო) ითვლება.
8. ჩინეთში შვიდ ---------- (დიალექტი) და მის უამრავ ---------- (ნაირსახეობა) საუბრობენ.

დაიმახსოვრეთ!

მართვა: 1. ხელმძღვანელობა, გამგებლობა; 2. წაყვანა, მანქანის მართვა.

საქონელი: 1. შინაური ჩლიქოსანი ცხოველები; 2. პროდუქტი გასაყიდად, გასაცვლელად.

10. დავალება: დააკვირდი წინადადებებს და აღნიშნე, რომელი მნიშვნელობითაა გამოყენებული <u>მართვა</u> და <u>საქონელი</u>.

1. სამეფოს ვახტანგის დედა მართავდა, რადგან უფლისწული პატარა იყო.
2. ძველ ზღვაოსნებს უსწავლიათ ნავებისა და ხომალდების მართვა.
3. მალე ნიკა მართვის მოწმობას აიღებს.
4. მწყემსებმა გარეკეს მთებისაკენ საქონელი.
5. არსებობს სამრეწველო დანიშნულების საქონელი.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია. დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - ეგ რა ჩემი საქმეა... კიდევ რა არ უნდა ვქნა?
ბ. - არც მე მიყვარს...
გ. - კი, მინდა მოგინახულო... 10 ოქტომბერს, სულ რაღაც ორ დღეში, ჩინეთში მივდივარ მაგისტრატურაში.
დ. - ჩანგლით რომ ვჭამო? სულ არ მოვკიდებ ხელს მაგ ჯოხებს...
ე. - ჯერ ერთი წლით, მერე ვნახოთ... შენ ხუთი წელი იყავი ჩინეთში, რამე რჩევას ხომ არ მომცემ, რა უნდა გავაკეთო?
ვ. - პირველი, არ ილაპარაკო პოლიტიკაზე, ეს აღიზიანებთ. არ უყვართ ლაპარაკი იაპონელებისა და კორეელების „გამოგონებებზე“, ხომ იცი ყველაფერი ჩინეთიდან იწყება...
ზ. - სერგი, სახლში ხარ?
თ. - მეორე, არ უნდა შეეხო ფიზიკურად, ჩახუტება, ხელის გადახვევა, თავზე მოფერება, გადაკოცნა არ უყვართ!
ი. - საღამოს ვიქნები, ნიკო, რა ხდება ? ხომ მშვიდობაა ?
კ. - საჭმელი ჯოხები არ უნდა იქნიო ჭამის დროს და არავითარ შემთხვევაში არ ჩაასო საჭმლის ჯამში, ეს უხეშობაა.
ლ. - რა მაგარია... ერთი წლით მიდიხარ თუ ორით?
მ. - მაინც მოგიწევს სტუმრად რომ დაგპატიჟებენ. იმათ უყურე და შენც ისე მოიქეცი.
ნ. - კარგი, ყურადღებით ვიქნები... კიდევ?
ო. - დიდი მადლობა, მეგობარო, სასარგებლო რჩევებისათვის! საღამოს შემოგივლი!
პ. - ეს მარტივია! არ დავუტოვებ...
ჟ. - და ბოლოს... რაც არ უნდა მოხდეს, ხმაური არ ატეხო, აზრი არ აქვს, მხარს არავინ დაგიჭერს. ქუჩაში ხმაური ცუდი ტონია და დამნაშავე ისაა, ვინც ხმაურობს.
რ. - არ დატოვო „ჩაი“ კაფეში ან რესტორანში, ეს არ ესმით და აზრი არ აქვს.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

ვისაუბროთ!

დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე ჩინეთის შესახებ თავის გამოცდილებას უზიარებს მეგობარს. რა ახალი დეტალები შეიტყვეთ ჩინეთის შესახებ?
თქვენ რას ურჩევთ ჩამოსულ სტუმარს ჩვენი ქვეყნის ტრადიციის შესახებ?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

ჩინელებს სჯერათ, რომ ციფრი რვა მათ იღბალს მოუტანს. მათ მოსწონთ ყველაფერი, სადაც ციფრი რვა ფიგურირებს. ჩინელები ცდილობენ, ტელეფონის ნომერში აუცილებლად იყოს ციფრი რვა, საცხოვრებლად აირჩიონ მერვე სართული და იცხოვრონ ქუჩაზე რვა ნომერში. მათთვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ რვა, არამედ რვის კომბინაცია, საუკეთესოდ ითვლება რიცხვი სამოცდარვა. რვიანს უნდა შეიცავდეს მანქანის ნომერიც. ამის საპირისპიროდ, ჩინელებისათვის ციფრი ოთხი უბედურებისა და ბოროტების მომტანად ითვლება. ყველა ერიდება ოთხს, მეოთხეს, იმდენად, რომ ლიფტში გამოტოვებულია ღილაკები 4 და 14. ოთხ საათზე არ დანიშნავენ შეხვედრას და 4 ცალს არაფერს შეიძენენ მაღაზიაში. ჩინელისათვის ციფრი ოთხი ასოცირდება დანაკარგთან და უბედობასთან.

ჩინელები განსაკუთრებულ ყურადღებას საჩუქრების ჩუქებას აქცევენ. დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის და რას ჩუქნი. თუ გინდა, რომ ჩინელი მეგობარი არ გაანაწყენო, არ აჩუქო საათი. მიიჩნევა, რომ საათის ჩუქებით მას სიკვდილს უსურვებ და, შესაბამისად, არავის ესიამოვნება ასეთი საჩუქრის მიღება. ჩინელები ფიქრობენ, რომ არ შეიძლება ადამიანს ფეხსაცმელები აჩუქო. თუ ახლობელს ფეხსაცმელებს აჩუქებ, ის შენგან წავაო. თუ მაინც გინდა, ფეხსაცმელი, რომელიც შენ არ მოგერგო, ჩინელ მეგობარს აჩუქო, მაშინ ერთი დოლარი გამოართვი, ვითომ მიჰყიდე.

თითქმის ყველა სუპერმარკეტსა თუ მაღაზიაში შეხვდებით კატას, რომელიც მარცხენა თათს იქნევს. ეს კატა ბარაქისა და წარმატების მომტანად ითვლება და ხშირად რამდენიმე მათგანს ერთად ალაგებენ ხოლმე სალაროსთან.

სახლში ქოლგის გაშლა ცუდის ნიშანია და არავინ გააკეთებს ამას შეგნებულად. ასევე ცუდის ნიშანია მსხლის განაწილება. ამ ხილის განაწილებით შეიძლება დაიშალოს ან დაინგრეს ურთიერთობები და კავშირები. და ბოლოს, ბრინჯის ჯამში საჭმელი ჩხირები არ უნდა ჩაარჭო ვერტიკალურად, ეს ძალიან უსიამოვნო იქნება ჩინელებისათვის. ბრინჯის საჭმელში ჩხირებს, როგორც წესი, მიცვალებულებისათვის არჭობენ და ამით პატივს მიაგებენ. ცოცხალი ჩინელისათვის სასიამოვნო არაა ამის ნახვა მიზეზის გარეშე.

11. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია+ / არასწორია -

1. ჩინელებს სწამთ, რომ ციფრი 8 მათ ბედნიერებას მოუტანს
2. ჩინელებს უნდათ ტელეფონისა და მანქანის ნომერში იყოს 8
3. ჩინელები ამჯობინებენ ცხოვრებას მე-4 სართულზე
4. ჩინელების აზრით, საუკეთესო კომბინაციაა რიცხვი 68
5. ჩინეთში ვერ ნახავთ ლიფტში ღილაკებს 8, 14
6. თუ ჩინელს შეხვედრას 4 საათზე დაუნიშნავთ, არ დაგეთანხმებათ
7. ჩინელებისთვის ციფრი 4 უბედურებასთან ასოცირდება
8. თუ გსურთ, ჩინელი მეგობარი გაახაროთ, საათი აჩუქეთ
9. ჩინელების აზრით, ფეხსაცმლის ჩუქება არ შეიძლება
10. თუ ჩინელ მეგობარს ფეხსაცმელს აჩუქებ, დოლარიც უნდა მისცე
11. მსხლისა და ვაშლის განაწილება ჩინელების აზრით, ურთიერთობას ანგრევს
12. ჩინეთში ბრინჯში ვერტიკალურად ჩარჭობილი ჩხირი სიკვდილთან ასოცირდება
13. კატა, რომელიც მარცხენა თათს იქნევს, წარმატების სიმბოლოა
14. ჩინელებს მოსწონთ ქოლგების სახლში გაშლა.

ვისაუბროთ!

როგორი დამოკიდებულება აქვთ ჩინელებს ციფრებთან?
თქვენი აზრით, ციფრები მოქმედებენ ადამიანის ბედზე?
თქვენ გაქვთ გამორჩეული რიცხვი? რას უკავშირდება იგი?
ჩინური ტრადიციიდან რომელიმე ჰგავს თქვენს კულტურაში არსებულ წესებს?
რატომ სჯერათ ადამიანებს ცრურწმენების?

თემა 9

უძველესი კულტურის კვალი ირანში და თანამედროვე გამოწვევები

კითხვები გამოწვევისთვის

რა იცით ირანის შესახებ?

რა შეხედულებები არსებობს ირანთან დაკავშირებით? რა განაპირობებს ირანის მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას?

რატომ იზიდავს ირანი დამთვალიერებლებს?

ირანი

ირანი უდიდესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყანაა. ირანის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება და უდიდეს ცივილიზაციებთან კონტაქტისა და თანაცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. თანამედროვე ირანის წინააღმდეგობრივი სახის ჩამოყალიბება კი მეოცე საუკუნეში ხდება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ირანი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამერიკელების აქტიური მონაწილეობით ხელისუფლებაში შაჰი რეზა ფეჰლევი მოვიდა. მან დასავლეთის მხარდაჭერით სეკულარული რეფორმები გაატარა. მას სურდა ირანის ევროპული ტიპის ისლამურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. რეფორმებმა ხალხს კეთილდღეობა ვერ მოუტანა. ხალხის უკმაყოფილებას კი შაჰმა რეპრესიებით უპასუხა. ათიათასობით პოლიტპატიმარი ციხეებში და წინააღმდეგობის ზრდა ირანში ისლამური რევოლუციის მიზეზი გახდა. შაჰისა და დასავლეთის მიმართ საპროტესტო მოძრაობას საფრანგეთში მყოფი სულიერი ლიდერი აიათოლა ჰომეინი მეთაურობდა. 1979 წელს შაჰი იძულებული გახდა, ირანიდან წასულიყო. ირანის უკანასკნელი შაჰის მიღება ერთადერთმა ისლამურმა ქვეყანამ - ეგვიპტემ შეძლო. ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა და შარიათის კანონებს დაექვემდებარა. სეკულარული ირანი თეოკრატიულ რესპუბლიკად გარდაიქმნა. აიათოლა უმაღლესი ხელისუფალი გახდა. ამერიკა სატანის უპირველეს მსახურად, ამერიკელი ხალხი კი ისლამის მტრად დასახელდა. ირანში რევოლუციის შემდგომ ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. მათ შორის კალენდარიც. ირანში ახლა XIV საუკუნეა, 1397 წელი. ირანის მუსლიმურ სამართალზე გადაწყობა უამრავ აკრძალვას მოიცავს. ირანში ქალებისათვის აკრძალულია ჩადრის გარეშე სიარული. საჯარო სივრცეში ქალები ნაკლებად ჩანან. თუმცა ირანის უნივერსიტეტებში პროცენტულად ქალების რაოდენობა აღემატება ვაჟებისას. ირანში აკრძალულია ალკოჰოლი, დისკოთეკა და მუსიკის ჟანრები: როკი, რეპი, ჰიპ-ჰოპი და ა.შ. ამის მიუხედავად „დასავლური მუსიკა“ მაინც პოპულარულია.

ირანის პოლიტიკური ამბიციები ამძაფრებს დაპირისპირებას ამერიკასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებთან. ირანი აქტიურად მუშაობს ბირთვულ იარაღზე. მათი თქმით, მასზე მუშაობა პრაქტიკულად დასრულებულია. ირანი ემუქრება ამერიკასა და ისრაელს. ამის გამო მის მიმართ მუდმივად აწესებენ სანქციებს. თუმცა სანქციებს სასურველი შედეგი მაინც არ მოაქვს.

თანამედროვე ირანთან დაკავშირებით უამრავი სტერეოტიპი არსებობს, რაც მისდამი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. როგორც ამბობენ, იმისთვის, რომ ირანი გაიგო, საჭიროა, იქ ჩახვიდე და ნახო. ირანის ღრმა და შინაარსიანი კულტურა სხვადასხვა ფორმით შეიგრძნობა ირანის სხვადასხვა კუთხეში. აკრძალვები კი ხელოვნებითა და პიროვნული აღმოჩენებით კომპენსირდება.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ისტორიულად ირანს უდიდეს ცივილიზაციებთან ჰქონდა კონტაქტი
2. ირანმა წინააღმდეგობრივი და კონტრასტული სახე მე-20 საუკუნეში მიიღო
3. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ირანის ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა
4. შაჰი რეზა ფეჰლევი ამერიკის აქტიური მონაწილეობით მოვიდა ქვეყნის სათავეში
5. შაჰს ირანის შარიათის კანონებით მართვა სურდა
6. აიათოლა ჰომეინი შაჰისა და ამერიკის მიმართ მტრულად იყო განწყობილი
7. შაჰი ირანიდან თავისი სურვილით წავიდა
8. აიათოლას მმართველობისას ირანი თეოკრატიულ რესპუბლიკად იქცა
9. ირანის უმთავრეს მტრად ამერიკა დასახელდა
10. ირანის უნივერსიტეტებში კაცების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ქალების
11. ირანის მიმართ დაწესებულ სანქციებს სასურველი შედეგი მოაქვს
12. ირანში აკრძალულია ალკოჰოლის და დისკოთეკა

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა სურდა შაჰს, რა მიზანი ჰქონდა მას?
2. როგორ უპასუხა შაჰმა ხალხის პროტესტს და უკმაყოფილებას?
3. რა ცვლილებები მოხდა ირანში ისლამური რევოლუციის შემდეგ?
4. რა ძირითადი წესებს მოქმედებს ირანში?
5. რომელი საუკუნე და წელია ირანში ახლა?
6. რა არის აკრძალული ქალებისთვის ირანში?
7. რატომ მუშაობს ბირთვულ იარაღზე ირანი?
8. რა არის საუკეთესო გზა ირანის გასაცნობად?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ:

--- --- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. ეკონომიკურ	ა. მოვიდა
2. შორეული	ბ. გახდა
3. აქტიური	გ. ზრდის
4. ხელისუფლებაში	დ. მდგომარეობაში
5. საპროტესტო	ე. ლიდერი
6. მიზეზი	ვ. წარსული
7. ინტერესს	ზ. მონაწილეობა
8. სულიერი	თ. მოძრაობა

1	2	3	4	5	6	7	8

5. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. თეოკრატია	ა. მმართველობა, როცა ქვეყანას უმაღლესი სასულიერო პირები მართავენ
2. რადიკალური	ბ. სახელმწიფოს მიერ მიღებული დამსჯელობითი ზომა
3. წინააღმდეგობრივი	გ. კარგი, ბედნიერი ცხოვრება, სასურველი მდგომარეობა
4. სეკულარული	დ. დანაკარგის ანაზღაურება
5. რეფორმა	ე. გარდაქმნა, გადაკეთება
6. კეთილდღეობა	ვ. კონტრასტული, საპირისპირო
7. რეპრესია	ზ. გადამწყვეტი, უკიდურესი, ძირფესვიანი
8. პოლიტპატიმარი	თ. ხელისუფლების მქონე, მმართველი, მბრძანებელი
9. სტერეოტიპი	ი. ვინც ვისმე/რასმე ემსახურება
10. კომპენსაცია	კ. სარწმუნოების თავისუფლება
11. მსახური	ლ. საყოველთაოდ ცნობილი, შაბლონური
12. ხელისუფალი	მ. პოლიტიკური პატიმარი
13. სანქცია	ნ. დაშინების ცდა, ავის ქმნის დაპირება
14. მუქარა	ო. სახელმწიფოებრივი იძულებითი ზომები კანონის დამრღვევის მიმართ

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

6. ვისაუბროთ!

მიღებული ინფორმაციიდან რა იყო თქვენთვის ცნობილი/ახალი?
კიდევ რა გაინტერესებთ ირანის შესახებ?

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. ირანის ისტორია უდიდეს ცივილიზაციებთან თანაცხოვრების შესახებ <u>მოგვითხრობს</u>.

   ა) გვიყვება; ბ) წერს; გ) თხრის

2. თანამედროვე ირანის წინააღმდეგობრივი სახე მე-20 საუკუნეში <u>ჩამოყალიბდა</u>.

   ა) ჩამოვიდა; ბ) შეიქმნა; გ) ჩაიხატა

3. თანამედროვე ირანის <u>კონტრასტული</u> სახე მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა.

   ა) კონკრეტული; ბ) წინასწარ; გ) წინააღმდეგობრივი

4. ომის შემდგომ ირანი <u>მძიმე</u> ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

   ა) მსუბუქ; ბ) უზარმაზარ; გ) რთულ

5. ამერიკელების <u>მონაწილეობით</u> ხელისუფლებაში შაჰი რეზა ფეჰლევი მოვიდა.

   ა) ხელშეწყობით; ბ) ნაწილდება; გ) ხელახლა

6. აიათოლა უმაღლესი <u>ხელისუფალი</u> გახდა.

   ა) მმართველი; ბ) თავისუფალი; გ) დამოუკიდებელი

7. რევოლუციის შემდგომ ყველაფერი <u>რადიკალურად</u> შეიცვალა.

   ა) რასობრივად; ბ) უკიდურესად; გ) უკანასკნელად

8. <u>საჯარო</u> სივრცეში ქალები ნაკლებად ჩანან.

   ა) ჯარის; ბ) საზოგადოებრივ; გ) საგზაო

9. ირანის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო <u>იზრდება</u>

   ა) ღრმავდება; ბ) ზარალდება; გ) ღარიბდება

10. ირანის პოლიტიკური ამბიციები <u>ამძაფრებს</u> დაპირისპირებას

    ა) აძლიერებს; ბ) აძალებს; გ) აზიანებს

11. მათი თქმით, მასზე მუშაობა პრაქტიკულად <u>დასრულებულ</u>ია.

    ა) დაწყებულია; ბ) დამთავრებულია; გ) გადადებულია

12. ამის გამო მის მიმართ <u>მუდმივად</u> აწესებენ სანქციებს.

    ა) გამუდმებით; ბ) არსად; გ) ზოგჯერ

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. ირანის ისტორია შორეული ---------- (წარსული) იწყება და უდიდეს ---------- (ცივილიზაციები) კონტაქტისა და ----------(თანაცხოვრება) შესახებ მოგვითხრობს.

2. ათიათასობით პოლიტპატიმარი ---------- (ციხეები) და წინააღმდეგობის ზრდა ---------- (ირანი) ისლამური რევოლუციის მიზეზი გახდა.

3. ამერიკა ---------- (სატანა) უპირველეს ---------- (მსახური), ამერიკელი ხალხი კი ისლამის ---------- (მტერი) დასახელდა.

4. ირანში ---------- (ქალები) აკრძალულია ---------- (ჩადრი) გარეშე სიარული.

5. ირანის პოლიტიკური ამბიციები ამძაფრებს ---------- (დაპირისპირება) ამერიკასა და დასავლეთის სხვა ---------- (ქვეყნები).

6. თანამედროვე ---------- (ირანი) დაკავშირებით უამრავი სტერეოტიპი არსებობს.

7. ირანის ---------- (უნივერსიტეტები) პროცენტულად ---------- (ქალები) რაოდენობა აღემატება ვაჟებისას.

8. ირანის ღრმა და შინაარსიანი კულტურა სხვადასხვა ---------- (ფორმა) შეიგრძნობა ირანის სხვადასხვა ---------- (კუთხე).

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
	იწყება	მთავრდება
	უდიდესი	უმცირესი
	მძიმე	მსუბუქი
	აქტიური	პასიური
	გაზრდა	შემცირება
საზოგადოებრივი	საჯარო	
საფუძველი/საბაბი	მიზეზი	
	სასურველი	არასასურველი

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისგან ნაწარმოები სიტყვები:

I. მონაწილეობა, მონაწილეობს, მონაწილე
II. ჩამოყალიბება, აყალიბებს, ჩამოყალიბებული
III. აკრძალვა, კრძალავს, აკრძალული

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში საჭირო ფორმით:

I. 1. კონფერენციაში ბევრი სტუდენტი ----------

2. ბევრმა სტუდენტმა მიიღო ---------- შეჯიბრებაში.

3. ყველაზე პატარა ---------- მხოლოდ 12 წლის იყო.

II. 1. შეჯიბრებისათვის ---------- უნდა იყოს ჯგუფები

2. ირანის წინააღმდეგობრივი სახის ---------- მე-20 საუკუნეში მოხდა.

3. სკოლა და ოჯახი ბავშვს ---------- .

III. 1. ირანში ალკოჰოლი და დისკოთეკა ----------

2. კანონი ---------- ქალების სიარულს ჩადრის გარეშე.

3. მრავალი ---------- ხელოვნებითა და პიროვნული აღმოჩენებით კომპენსირდება.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია. დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - წარმომიდგენია... გაიცანი ჩვენი ფერეიდნელი ძმები?

ბ. - ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერ მოვახერხე. აბა რა ხდებოდა?

გ. - უკვე ასწავლეს ხომ თამადობაც? კიდევ მომიყევი რამე ფერეიდანზე...

დ. - რატომ არ წამოხვედი გუშინ გურამთან?

ე. - გავიცანი და ასე მგონია, ისტორიაში ვიმოგზაურე. წარმოიდგინე XVII საუკუნის ქართული ენა... ირანში შენახული ქართული... მათი სიმღერები...

ვ. - სუფრა იქნებოდა გაშლილი...

ზ. - რა თქმა უნდა, სუფრის თამადა ჩვენი ფერეიდნელი მეგობარი იყო... ღვინოს არ სვამდა, მაგრამ სადღეგრძელოებს ამბობდა...

თ. - აუ, რა მაგარი იქნებოდა... გესმოდა? რას ლაპარაკობდით? თან ფერეიდანი მგონი ირანის შუაგულშია, ხომ? მომიყევი რა ყველაფერი!

ი. - ფერეიდანი, სადაც შაჰ აბასმა ჩვენი კახელები 400 წლის წინ გადაასახლა, ისპაჰანის პროვინციაშია. ისპაჰანი კი ირანის გულია. ჩვენი ფერეიდნელების კი, რა თქმა უნდა, გვესმოდა. თან როგორ მღერიან?!

კ. - საოცარი საღამო იყო, ასეთი ბედნიერი დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.

ლ. - ფერეიდანში 14 სოფელი ყოფილა ქართველების და იცი რა ჰქვია სოფლებს? თელავი, მარტყოფი, ნინოწმინდა, ვაშლოვანი და სხვა...

მ. - ხვალ მიდიან უკან ირანში, მაგრამ ერთ წელიწადში ისევ ჩამოვლენ ფესტივალზე!

ნ. - საიდანაც მათი წინაპრები იყვნენ, იმ სოფლების სახელები დაარქვეს ფერეიდანში სოფლებს!

ო. - შემდეგ შეხვედრას არაფრით გამოვტოვებ!

პ. - ეგ როგორ?

ჟ. - გასაგებია... მეც აუცილებლად უნდა გავიცნო ეგ ხალხი. როდის ბრუნდებიან უკან?

რ. - აბა, ღმერთს ვებარებოდეთ, როგორც ჩვენი ფერეიდნელი ძმები ამბობენ!

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

ვისაუბროთ!

დიალოგის მონაწილეები ფერეიდნიდან ჩამოსული სტუმრების შესახებ საუბრობენ. რა ახალი ინფორმაცია გაიგეთ ირანისა და კონკრეტულად, ფერეიდნის შესახებ?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

ძველი თბილისი კულტურათა შეხვედრების ადგილია. საუკუნეების მანძილზე განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების ხალხი კვალს თბილისის ძველ უბნებში ტოვებს. მათ შორისაა ზოროასტრული ტაძარი, ათეშგა. ათეშგა სპარსული სიტყვაა და ,,ცეცხლის ადგილს“ ნიშნავს. ზოროასტრიზმს, მაზდეანობას ცეცხლთაყვანისცემასაც უწოდებენ. ჩაუქრობელი ცეცხლის ტაძარი მსოფლიოს სულ რამდენიმე ადგილზეა შემორჩენილი. ზოროასტრიზმის სამშობლოდ ირანი ითვლება. დღეს ირანში ზოროასტრული ტაძრების კვალის ძიება მხოლოდ მიუვალ ადგილებშია შესაძლებელი. ცეცხლის ტაძარი შემორჩენილია ბაქოშიც, მას განსაკუთრებულად უფრთხილდებიან და უვლიან. ბაქოს ათეშგა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია ტურისტებისათვის.

თბილისის ათეშგის შესახებ ცნობებს სხვადასხვა მოგზაურის ჩანაწერებიდან და ჩანახატებიდან ვიგებთ. თბილისის ათეშგაში მისვლა ბეთლემის უბანში, გომის ქუჩიდან არის შესაძლებელი. იქ მისასვლელად კერძო პირის სახლი უნდა გაიაროთ. თბილისის ათეშგა 2007-2009 წლებში გაიწმინდა და ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა. კუბის ფორმის შენობა მთლიანად აგურითაა აშენებული და მრგვალი გუმბათი უნდა ჰქონოდა. დღეს გუმბათი აღარ არის შემორჩენილი და ძეგლი რომ არ დაზიანდეს, მინის კონსტრუქციითაა დაფარული.

თბილისის ათეშგის ზუსტი ისტორიის აღდგენა რთულია. თუმცა ვიცით, რომ 628 წელს ბიზანტიელების ლაშქრობის შემდგომ ათეშგამ ფუნქციონირება შეწყვიტა. მისი გადაკეთება მეჩეთად კი არაბების შემოსევის დროს მომხდარა. მოგვიანებით ის ისევ აღდგა, გადაკეთდა და ისევ გაუქმდა.

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, თბილისის გარდა საქართველოში ათეშგა უნდა ყოფილიყო ნეკრესში, ნიქოზსა და მცხეთაში. თუმცა მათი კვალი თბილისის გარდა ჯერ სხვაგან საქართველოში არ აღმოჩენილა.

11. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. საუკუნეების მანძილზე თბილისში განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების ხალხი თავის კვალს ტოვებდა
2. ქართული ისტორიული წყაროებით, თბილისის გარდა საქართველოში ათეშგა უნდა ყოფილიყო ნეკრესში და ქუთაისში
3. თბილისის ათეშგის ზუსტი ისტორია ცნობილია
4. ბიზანტიელების ლაშქრობის შემდგომ ათეშგამ ფუნქციონირება შეწყვიტა
5. თბილისის ათეშგა კუბის ფორმის აგურის შენობაა
6. დღეს ათეშგის გუმბათი დაუზიანებლადაა შემორჩენილი
7. თბილისის ათეშგას ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა
8. თბილისის ათეშგის შესახებ ცნობებს მოგზაურების ჩანაწერებისა და ჩანახატებიდანაც ვიგებთ
9. თბილისის ათეშგა ბეთლემის უბანში, გომის ქუჩაზე მდებარეობს
10. ათეშგა ზოროასტრული ტაძარია
11. ათეშგაში მისასვლელად კერძო პირის სახლი უნდა გაიაროთ
12. ზოროასტრიზმის სამშობლოდ არაბეთი ითვლება
13. ცეცხლის ტაძარი მსოფლიოს სულ რამდენიმე ადგილზეა შემორჩენილი
14. დღეს ზოროასტრული ტაძრების კვალის ნახვა ირანის ყველა ცენტრალურ ადგილას შეიძლება
15. ბაქოს ათეშგა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია ტურისტებისათვის
16. ძველი ცეცხლის ტაძარი შემორჩენილია განჯაშიც

ვისაუბროთ!

რა საინტერესო ფაქტები შეიტყვეთ ირანის შესახებ?
იმოგზაურებდით ირანში?
რის ნახვას შეეცდებოდით ირანში?
თქვენი აზრით, რატომ ენთო ცეცხლი ზოროასტრულ ტაძრებში?

თემა 10
ინდური კულტურა და ეკოსისტემა

კითხვები გამოწვევისთვის

თქვენი აზრით, როგორ, რა ნიშნით არჩევენ ადამიანები საკვებს?
როგორ ფიქრობთ, რომელ საკვებს მოიხმარს ადამიანთა უმრავლესობა?
თქვენი აზრით, ადამიანის რელიგიური წარმოდგენები ახდენს გავლენას კვების წესზე?
რა იცით ჩვენი ქვეყნის ტრადიციული კერძების შესახებ?
როგორია თქვენი ვარაუდი, რატომ არ ჭამენ ინდოელები ძროხის ხორცს?

წმინდა ძროხა

მას შემდეგ, რაც ბრიტანელმა კოლონიზატორებმა დაიკავეს ინდოეთი, ინგლისური გამოთქმა „წმინდა ძროხა“ ირონიულ ტერმინად იქცა. ამ გამოთქმაში გულისხმობდნენ ძროხის ხელშეუხებლობის არარაციონალურ ტრადიციას. ბრიტანელების აზრით, ამ ტრადიციის შეცვლის საკმარისი საფუძველი არსებობდა, მაგრამ ინდოელები მას მაინც ინარჩუნებდნენ.

ძროხა ინდური რელიგიური სამყაროს მნიშვნელოვანი ელემენტია. ის წმინდა ცხოველად მიიჩნევა. ძროხა არის კეთილშობილების, სიცოცხლისა და მთლიანად ინდოეთის სიმბოლო. ინდოელთა წარმოდგენით, ძროხა სამყაროს შემოქმედია. ეს ცხოველი ყოველი ინდოელისათვის ნამდვილ დედად მიიჩნევა. დღემდე ახალმოსახლე ინდოელი სახლში არ შევა, სანამ ძროხას არ შეიყვანს შინ და რელიგიური რიტუალს არ აღასრულებს. ძროხების მოვლა და დაცვა ყველა ინდოელის წმინდა მოვალეობა. მოსახლეობას ძროხების მოვლასა და დაცვას ინდოეთის კონსტიტუციაც ავალდებულებს. ძროხის მოკვლა არ შეიძლება, მეტიც - არავის აქვს უფლება, შეურაცხყოფა მიაყენოს მას. თანამედროვე ინდოეთის ქუჩებში ძროხები თავისუფლად გადაადგილდებიან და თავად მოიპოვებენ საკვებს.

ბრიტანელებისათვის ძროხის ხორცი ტრადიციულად მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია. შესაბამისად, მათთვის რთული გასაგებია საზოგადოება, რომელიც უკიდურესად გაჭირვებულია, შიმშილობს, მაგრამ საკვებად მაინც არ იყენებს ძროხებს.

მარვინ ჰარისს (1974) კი სჯეროდა, რომ ცხოვრების მატერიალური მდგომარეობა უფრო მეტად ახდენს გავლენას იდეოლოგიაზე, ვიდრე იდეოლოგია ცხოვრების ყოფით მხარეებზე. მისი აზრით, ძროხის პატივისცემა ინდური ტრადიციული ცხოვრების საგულისხმო ნაწილია და ინდურ საზოგადოებაში ძროხის ხორცის მოხმარება უფრო მეტ პრობლემას წარმოქმნიდა, ვიდრე მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს გადაჭრიდა.

დასაკლავი ძროხების გამოკვებასა და მოვლა-პატრონობას შესაბამისი მიწის ნაკვეთები და რესურსი სჭირდება. თუ ინდოეთში დაიწყებენ ძროხის ხორცის წარმოებას, მაშინ ინდუსტრიის ეს ფორმა ჩაანაცვლებს მარცვლეულის მოყვანას. ამგვარი ცვლილება კი ინდოეთში მილიონობით ფერმერს უმუშევარს დატოვებს, გაიზრდება ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი ადამიანი იშიმშილებს.

ინდოელი ფერმერები ღამით ამწყვდევენ ძროხებს, დღე კი საშუალებას აძლევენ, თავიანთ ნებაზე იხეტიალონ ქუჩებში და თავად მოიპოვონ საკვები. ინდოელ ძროხებს

თავი გააქვთ სარეველა ბალახებითა და მცენარეებით, რომლებიც შეიძლება შეხვდეთ გზებზე. ძროხები მიირთმევენ ნარჩენებს, რომლებსაც ადამიანები აღარ იყენებენ საკვებად. ამგვარად, ძროხები ათავისუფლებენ ღარიბ ფერმერებს მოვალეობისაგან, გამოკვებონ ისინი.

ინდოეთში ძროხა მეპატრონისათვის, რა თქმა უნდა, საკვები არ არის. ის საჭიროა ფერმერის მეურნეობისათვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკვების შექმნაში. ხარებს იყენებენ მიწის დასამუშავებლად, ძროხებს წველიან, რძის ნაწილი მეპატრონეს, ნაწილი კი მწველავს რჩება. საქონლის ნაკელი გამოიყენება გათბობისათვის და მიწის გასანოყიერებლად. საბოლოოდ კი, ბუნებრივი სიკვდილის შემდეგ, ძროხის ხორცს საკვებად იყენებენ დაბალი კასტის წარმომადგენლები.

შესაძლოა ოდესმე ინდოეთშიც გამოიყენონ ძროხის ხორცი ყოველდღიურ საკვებ რაციონში, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით ძროხის ხორცის არჭამა გაცილებით რაციონალური და მომგებიანია. ძროხის საკრალიზაცია და ტაბუ მის საკვებად მოხმარებაზე სრულად პასუხობს თანამედროვე ინდოეთის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ბუნებრივად აისახება რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ინდოელ ძროხებს თავი გააქვთ სარეველა ბალახებითა და მცენარეებით, ნარჩენებით
2. ძროხის პატივისცემა ინდური ტრადიციული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია
3. მარვინ ჰარისი ფიქრობდა, რომ იდეოლოგია უფრო მეტად ახდენს გავლენას ცხოვრების მატერიალური მდგომარეობაზე
4. ინდოეთის ქუჩებში ძროხები ისე დადიან, როგორც სურთ
5. ბრიტანელების აზრით, ინდოელების ტრადიცია გაუგებარი და აუხსნელია
6. მარვინ ჰარისის აზრით, თუ ინდოელები ძროხის ხორცის გამოყენებას დაიწყებენ, მათი პრობლემა გადაიჭრება
7. ინდოეთში ფერმერები მარცვლეულის მოყვანას მისდევენ
8. ინდოელი ძროხები დღისა და ღამის მანძილზე თავისუფლად მოძრაობენ ქუჩებში
9. დღევანდელი მდგომარეობით ინდოეთში ძროხის ხორცის არჭამა უფრო გონივრული და მიზანშეწონილია
10. ფერმერისთვის ძროხა ძალიან მნიშვნელოვანია მეურნეობასა და საკვების მოპოვებაში.

2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როდის და რატომ გახდა გამოთქმა ,,წმინდა ძროხა“ ირონიული ტერმინი?
2. რატომ არის ინდოელებისათვის ძროხა წმინდა ცხოველი?
3. რა ადასტურებს იმას, რომ ძროხა ძალიან მნიშვნელოვანია ინდოელის ცხოვრებაში?
4. რატომ არის პატრონისათვის მომგებიანი ძროხის ქუჩაში თავისუფლად გაშვება?
5. რატომ არ ესმოდათ ბრიტანელებს ინდოელების ტრადიციის?
6. რას ფიქრობდა მეცნიერი მარვინ ჰარისი ინდურ საზოგადოებასა და ძროხის ხორცის მოხმარებაზე?
7. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ინდოეთში დაიწყებენ ძროხის ხორცის წარმოებას?
8. რას ფიქრობენ მეცნიერები ძროხის საკრალიზაციისა და ტაბუს შესახებ?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით:

---

4. დააკავშირეთ სიტყვები შესაბამის განმარტებასთან:

1. კოლონიზატორი	ა. ის, რასაც ვერ/არ შეეხები, შეუვალი
2. ირონიული	ბ. მნიშვნელოვანი
3. ხელშეუხებლობა	გ. დამცირება, უხეშად მოქცევა
4. შეურაცხყოფა	დ. ის, ვინც ძარცვავს და ამცირებს მშრომელებს
5. საგულისხმო	ე. ჩუმი, ფარული დაცინვა
6. ტაბუ	ვ. შეცვლის, მის ნაცვლად იქნება, სხვით შეცვლის
7. უმუშევარი	ზ. ის რაც დარჩა, დარჩენილი, უვარგისი ნაწილი
8. ჩაანაცვლებს	თ. კულტურულ ნათესში ველური, ცუდი ბალახი.
9. ნარჩენი	ი. ის, ვინც არ მუშაობს, დაუსაქმებელია
10. განოყიერება	კ. უმიზნო, უთავბოლო სიარული
11. ახალმოსახლე	ლ. რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებული
12. სარეველა	მ. რაიმე მოქმედების, სიტყვის, საქმის აკრძალვა
13. ხეტიალი	ნ. მიწის სასუქით გამდიდრება
14. საკრალური	ო. ახლახან დასახლებული, ეს-ეს არის დასახლდა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

5. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. ამ გამოთქმაში <u>გულისხმობდნენ</u> ძროხის ხელშეუხებლობის ტრადიციას.

   ა) ხმაურობდნენ; ბ) შეამჩნევდნენ; გ) მიიჩნევდნენ

2. არსებობს <u>საფუძველი</u>, რომ ტრადიცია შენარჩუნდება.

   ა) მიზეზი; ბ) შედეგი; გ) საგანი.

3. ინდოელები ძველ ტრადიციას მაინც <u>ინარჩუნებდნენ.</u>

   ა) დაინახავდნენ; ბ) შეამჩნევდნენ გ) ინახავდნენ

4. ინდოელთა წარმოდგენით, ძროხა სამყაროს <u>შემოქმედია</u>.

   ა) მოქმედებს; ბ) შემქმნელი; გ) შემსრულებელია

5. ახალმოსახლე ძროხას შეიყვანს შინ და რელიგიურ რიტუალს <u>აღასრულებს</u>.

   ა) შეასრულებს; ბ) ნახავს; გ) გაცვლის

6. მოქალაქეს ძროხის დაცვას ინდოეთის კონსტიტუციაც <u>ავალდებულებს</u>.

   ა) სთხოვს; ბ) დადებს; გ) ათხოვებს

7. საზოგადოება, რომელიც <u>უკიდურესად</u> გაჭირვებულია, შიმშილობს

   ა) უმკაცრესად; ბ) უკეთესად; გ) ძალიან

8. ძროხები თავისუფლად გადაადგილდებიან და თავად <u>მოიპოვებენ</u> საკვებს.

   ა) ნახულობენ; ბ) დაეხეტებიან; გ) აკეთებენ

9. ძროხის ხორცის ჭამა მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს ვერ <u>გადაჭრ</u>იდა.

   ა) შეჭრიდა; ბ) მოაგვარებდა; გ) გადააგვარებდა.

10. ძროხების გამოკვებასა და პატრონობას <u>შესაბამისი</u> მიწის ნაკვეთები სჭირდება

    ა) სათანადო; ბ) მდიდარი; გ) სუფთა

11. ინდუსტრიის ეს ფორმა <u>ჩაანაცვლებს</u> მარცვლეულის მოყვანას.

    ა) შეცვლის; ბ) გაცვლის; გ) ჩაიტანს.

12. დღევანდელი მდგომარეობით ძროხის ხორცის არჭამა გაცილებით <u>მომგებიანი</u>ა.

    ა) სარგებლიანი; ბ) წარუმატებელი; გ) გამგები.

13. ინდოეთის ეკონომიკური მდგომარეობა <u>აისახება</u> რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში.

    ა) სახელია; ბ) აიტანენ; გ) გამოხატულია

14. ეს ხალხი მეტისმეტად <u>გაჭირვებულია</u> და შიმშილობს.

    ა) შია; ბ) ღარიბია; გ) ავადაა

6. ვისაუბროთ!

რომელი ქვეყნის ტრადიციულ სამზარეულოს იცნობთ?
რამდენად ხშირად იყენებთ ხორცის პროდუქტებს საკვებად?
რომელი ცხოველის გამოყენებაა შესაძლებელი საკვებად?
მოიყვანეთ არგუმენტები- რატომ უნდა ჭამდეს/არ ჭამდეს ადამიანი ცხოველის ხორცს?
იმსჯელეთ ვეგეტერიანულ ხედვაზე: რა საერთო აქვს მარხვასა და ვეგეტერიანიზმს?

სიტყვაწარმოება

7. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით:

იაპონია	იაპონელი	იაპონური
ინდოეთი	ინდოელი	ინდური
ბრიტანეთი		
გერმანია		
საქართველო		
დანია		
ამერიკა		
ჩინეთი		

8. სავარჯიშო: ჩასვით საჭირო სიტყვები სათანადო ფორმით.

1. სად იყიდე ეს კაბა? - ---------- გამოფენაზე.
2. ძროხებს დიდი პატივით ეპყრობიან ---------- .
3. ---------- ჩაის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანაა.
4. ბორჯომი ცნობილი ---------- მინერალური წყალია.
5. დღეს მსოფლიოში ცნობილია ---------- ლუდი.
6. სად მდებარეობს მაღაზია ,,---------- სახლი?“
7. ანჯელინა ჯოლი ცნობილი ---------- მსახიობია.
8. ---------- კოლონიზატორებისათვის გაუგებარია ინდოელების კულტურა.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
	წმინდა	უწმინდური
სამყოფი/საკმაო	საკმარისი	არასაკმარისი
საგულისხმო/საყურადღებო	მნიშვნელოვანი	უმნიშვნელო
	სიცოცხლე	სიკვდილი
ვალდებულება	მოვალეობა	
	თანამედროვე	ძველმოდური
საჭმელი	საკვები	

ღარიბი	გაჭირვებული	შეძლებული
	გაზრდა (ფასების)	შემცირება
დაუსაქმებელი	უმუშევარი	დასაქმებული
	მაღალი	დაბალი

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

დროითი მიმართებების გამომხატველი სიტყვები

დაიმახსოვრეთ: მას შემდეგ, რაც=იმ დროიდან

მაგალითად: <u>მას შემდეგ</u>, რაც ბრიტანელმა კოლონიზატორებმა დაიკავეს ინდოეთი, ინგლისური გამოთქმა „წმინდა ძროხა“ ირონიულ ტერმინად იქცა.

დააკვირდით სხვა წინადადებებს:

<u>ოდესმე</u> წავალ და დავათვალიერებ ეგვიპტის პირამიდებს.

<u>ოდესღაც</u> ნამყოფი ვარ ამ სახლში, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს.

ოდესმე (= რომელიმე დროს, როდისმე)

ოდესღაც (= ერთ დროს, ძველად, წინათ)

გაითვალისწინეთ, რომ **ოდესმე** გამოიყენება ქმედებებთან, რომლებიც შესაძლოა მომავალში მოხდეს, **ოდესღაც** კი წარსულში მომხდარ მოვლენებთან.

დავალება: შეადგინეთ წინადადებები **ოდესმე/ოდესღაც** სიტყვების გამოყენებით.

დააკვირდით!

წაიკითხეთ წინადადება და დააკვირდით გამოყენებულ კონსტრუქციას: **თუ..../ თუ... მაშინ/ იმ შემთხვევაში, თუ...**

<u>თუ</u> ინდოეთში დაიწყებენ ძროხის ხორცის წარმოებას, (<u>მაშინ</u>) ინდუსტრიის ეს ფორმა ჩანაცვლებს მარცვლეულის მოყვანას.

ან:

<u>იმ შემთხვევაში, თუ</u> ინდოეთში დაიწყებენ ძროხის ხორცის წარმოებას, (<u>მაშინ</u>) ინდუსტრიის ეს ფორმა ჩანაცვლებს მარცვლეულის მოყვანას.

10. სავარჯიშო: წინადადება შეცვალეთ ისე, რომ მასში გამოიყენოთ კონსტრუქცია **თუ.../თუ... მაშინ, იმ შემთხვევაში, თუ... მაშინ**

1. ბუნებრივი სიკვდილის შემდეგ ძროხის ხორცს საკვებად იყენებენ დაბალი კასტის წარმომადგენლები.

---

2. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები გაიზრდება. იქნება შიმშილის მაჩვენებელი

---

3. წარმოების ასეთი ცვლილება ინდოეთში მილიონობით ფერმერს უმუშევარს დატოვებს.

დააკვირდით! ერთი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები:

#	**წარსული (როგორი?)**	**საწყისი (რა?)**	**მომავალი (როგორი?)**
I	დამუშავებული	დამუშავება	დასამუშავებელი
II	დაკლული	დაკვლა	დასაკლავი
III	შენარჩუნებული	შენარჩუნება	შესანარჩუნებელი
IV	გადაჭრილი	გადაჭრა	გადასაჭრელი
V	შესრულებული	შესრულება	შესასრულებელი
VI	მოყვანილი	მოყვანა	მოსაყვანი

11. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში საჭირო ადგილას:

I. 1. კატლეტის გასაკეთებლად საჭიროა კარგად ---------- ხორცი.
2. მასწავლებელმა მოსწავლეებს უთხრა, რა იყო---------- პრეზენტაციისთვის.
3. პრეზენტაციის მომზადებამდე აუცილებელია თემის ---------- .

II. 1. ინდოეთში ძროხების ---------- კანონით აკრძალულია;
2. ---------- ძროხები სპეციალურ სასაკლაოზე მიჰყავთ.
3. პერსონალი სწრაფად ახარისხებს ---------- ძროხის ხორცს.

III. 1. მუზეუმში ყველაფერი ---------- ძველი სახით.
2. წარმატების მიღწევა ადვილია, მიღწეულის ---------- კი ძნელი.
3. მსოფლიოში მშვიდობა არის ----------.

IV. 1. ეს პრობლემა მომავალ კვირაშია ---------- .
2. პრობლემის ---------- შეთანხმებით შეიძლება.
3. გზა ორგან ---------- ხეებით იყო ჩაკეტილი.

V. 1. მოსწავლემ ავადმყოფობის გამო დავალების ---------- ვერ შეძლო.
2. ყველა საქმე საჩქაროდ ---------- იყო.
3. უფროსმა თანამშრომლებს ---------- სამუშაო მოუწონა.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია, დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - მართლაც საოცარი კლიმატია სურამში... იცი, რომ კვლევა ჩატარდა ტყის თერაპიაზე? საოცარ შედეგები აქვსო...

ბ. - სურამი ცნობილია ტყეებით... ფიჭვის ტყეებია ხომ? მგონი ხელოვნურად გაშენებული ტყეა, არა?

გ. - მგონი ვიცი, რასაც გულისხმობ, ხეებს ეხუტებიან არა?

დ. - კი, ხელოვნურად არის გაშენებული და საოცარ კლიმატს ქმნის!

ე. - წელს როგორ დაისვენე, სად იყავი წასული?

ვ. - მაინც რას შველის?

ზ. - ჰო, სამწუხაროდ, სათანადოდ არ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს. იმედია, ჩვენი შვილები უფრო მეტად დააფასებენ ამ სიმდიდრეს!

თ. - დეპრესიას, თავი ტკივილს, სულიერ დაავადებებს... მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ხეებს გააჩნია დადებით ენერგია, რომელიც ჩახუტებით გადადის ადამიანზე.

ი. - იმედია!

კ. - ალბათ მაგიტომ სცემდნენ თაყვანს ხეებს ჩვენი წინაპრები...

ლ. - წელს კარგად დავისვენე, კმაყოფილი ვარ...სურამში ვიყავით, ტყესთან ძალიან ახლოს... დღის უმეტეს ნაწილს ტყეში ვატარებდით.

მ. - შესაძლოა, ვინ იცის...

ნ. - კი, მასეა... ხეებს ეხუტებიან და თურმე ძალიან სასარგებლო ყოფილა ჯანმრთელობისათვის...

ო. - საქართველოს არ აკლია ტყეები, თუმცა ძალიან ბევრი ხე იჭრება და ამ პრობლემას მალე იგრძნობს საზოგადოება.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

ვისაუბროთ!

დიალოგის მონაწილეები მკურნალობის ერთ-ერთ არატრადიციულ მეთოდზე საუბრობენ. თქვენც ხომ არ გსმენიათ მკურნალობის ალტერნატიული საშუალებების შესახებ?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

გარემოს დაცვითი მოძრაობები დღეს არავის უკვირს, მაგრამ გამორჩეულია ინდოელების ამბავი, რომლებმაც 1973 წლიდან ძალიან პრინციპული და არაძალადობრივი მეთოდით ტყის ნაკვეთი გადაარჩინეს.

უთარახანდის ქალები ხეების ჩახუტებით დაუპირისპირდნენ ხისმჭრელებს და საშუალება არ მისცეს, ტყე გაეკაფათ. ქალების ამ აქციას სასურველი შედეგი და დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს მოძრაობა მთელ ინდოეთში გავრცელდა და **შიპკოს მოძრაობა** დაერქვა. სიტყვა **შიპკო** ჩახუტებას ნიშნავს, შესაბამისად, ხეების ჩახუტება ტყის დასაცავად არაძალადობრივი პროტესტის ფორმად იქცა.

შიპკოს მოძრაობა სათავეს კიდევ უფრო ძველი პერიოდიდან იღებს და ერთი ინდოელი გოგონას, ამრიტა დევის ისტორიას უკავშირდება. ამრიტა დევი მეთვრამეტე საუკუნის რაჯისტანის სოფელ ქეჯადლიში ცხოვრობდა. რაჯისტანი ინდოეთის ჩრდილოეთით ლამაზი უდაბნოა. სოფლის სახელი ქეჯადის ხეებს უკავშირდება. ამ ხეს ცოტა წყალი სჭირდება, ადვილად ხარობს უდაბნოში და ვერც მწერები აზიანებენ მარტივად. ქეჯადის ხის ქერქისგან წამლებს ამზადებენ. მოსახლეობა საკვებად იყენებს მის ნაყოფს, ცხოველები კი ფოთლებს. ამ ხის ფოთლები საუკეთესო თავშესაფარია მცხუნვარე მზეშიც. სოფლის მოსახლეობა ტრადიციულად იცავს და განსაკუთრებულ პატივს სცემს ხეებსა და ცხოველებს. ისინი მათზე და მათთვის ლოცულობდნენ კიდეც. ამრეტა, სოფლის ერთ-ერთი ჩვეულებრივი გოგონა იყო. იგი ყოველ დილით ადრე დგებოდა და ესალმებოდა მეგობარ ხეებს. ის ყოველდღიურად ამოირჩევდა ხეს, ხელებს გაშლიდა და ეხუტებოდა. ამრეტა ხეს ეჩურჩულებოდა: „ჩემო მეგობარო ხეო, შენ ხარ ძლიერი და ლამაზი, შენ ჩვენზე ზრუნავ. მადლობა ამისათვის! ძალიან მიყვარხარ!“ ამრეტას მსგავსად სხვა ბავშვებიც ირჩევდნენ ხეებს და მის ჩრდილში საათობით თამაშობდნენ.

გავიდა დრო. ამრეტა გაიზარდა. ერთ დილას, როდესაც ხეებთან მისასალმებლად გამოვიდა, დაინახა მამაკაცები ცულით ხელში. ამრეტა ჩაეხუტა ხეს და არ მოსცილდა. მამაკაცი აშინებდა ამრეტას და ეუბნებოდა, რომ ეს მეფის დავალება იყო, რადგან მას ქეჯადის ხისგან სასახლის აშენება სურდა. ამრეტა ხეს არ შორდებოდა. ამრეტას გოგონაც ერთ-ერთ ხეს ჩაეხუტა, მას თანასოფლელებმაც მიბაძეს. ხეების გადასარჩენად ამრეტა, მისი გოგონა და სხვა უამრავი ადამიანი დაიღუპა. მეფემ რომ ეს გაიგო, საკუთარ განზრახვაზე ხელი აიღო. ასე შეეწირა ამრეტა და მისი სოფლელები ხეების გადარჩენას. ამრეტა დევის ამბავი მთელი ინდოეთისათვის სამაგალითო გახდა.

12. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

13. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია +/არასწორია -

1. სიტყვა შიპკო ჩახუტებას ნიშნავს
2. ინდოეთის სოფელში ქალები ხეების ჩახუტებით დაუპირისპირდნენ ხისმჭრელებს
3. შიპკოს მოძრაობა ტყის დასაცავად ძალადობრივი პროტესტის ფორმად იქცა.
4. ამრიტა დევი 1973 წლიდან იბრძოდა ხეების დასაცავად.
5. ამრიტა დევი რაჯისტანის სოფელ ქეჯადლიში ცხოვრობდა.
6. რაჯისტანი ინდოეთის ჩრდილოეთით ლამაზი უდაბნოა.
7. სოფლის მოსახლეობა განსაკუთრებულ პატივს სცემს ხეებსა და ცხოველებს.
8. ამრეტა ყოველ საღამოს მიდიოდა მეგობარ ხეებთან და ესაუბრებოდა.
9. სოფლის მოსახლეობა საკვებად იყენებს ქეჯადის ხის ნაყოფსა და ფოთლებს.
10. მეფეს ქეჯადის ხისგან სასახლის აშენება სურდა.
11. ამრეტას გაბედულ საქციელს მხოლოდ ქალებმა მიბაძეს.
12. ამრეტას საქციელმა მეფეს თავისი გადაწყვეტილება შეაცვლევინა.
13. ხეების დასაცავად ამრეტასთან ერთად უამრავი ადამიანი დაიღუპა
14. ამრეტა დევის ამბავი მთელი ინდოეთისათვის მისაბაძი მაგალითი გახდა.

ვისაუბროთ!

რატომ გახდა ამრეტა დევის საქციელი მისაბაძი მაგალითი?
ხომ არ გსმენიათ რაიმე ინფორმაცია გარემოსდაცვითი მოძრაობების შესახებ?
თქვენი აზრით, რატომ უნდა დაიცვას ადამიანმა ტყე განადგურებისაგან?

თემა 11
სახალხო დღესასწაულების კულტურა ესპანეთში

კითხვები გამოწვევისათვის

თუ მიგიღიათ მონაწილეობა რომელიმე სახალხო დღესასწაულსა ან ფესტივალში?
რა მიზნით იმართება მსგავსი სახალხო ფესტივალები?
რა იცით ესპანეთის შესახებ?

ესპანეთი

ესპანეთს იბერიის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი უკავია. მისი ოფიციალური დასახელებაა ესპანეთის სამეფო. სახელმწიფო მოწყობაა კონსტიტუციური მონარქია. ესპანეთის მოსახლეობა 46 მილიონს აჭარბებს. ესპანეთი გამორჩეულია კულტურისა და ბუნების მრავალფეროვნებით. იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში ესპანეთის 47 ძეგლი შედის. კათოლიკურ ქრისტიანობასთან ერთად ესპანური კულტურის ნაწილია ისლამური და ებრაული მემკვიდრეობაც, რომლებიც ესპანეთის ისტორიულ ქალაქებში გვხვდება. აქვეა მოდერნისტული არქიტექტურის შედევრები. ესპანეთში, გასაოცარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, მნახველს აოცებს მთები, ზღვა და ულამაზესი კუნძულები. ულამაზესი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები, შუა საუკუნეების გაცრეცილი ქალაქები და თეთრი ქათქათა სოფლები ერთმანეთს ენაცვლება. საუცხოო არქიტექტურა და ბუნებრივი ლანდშაფტი მნახველისათვის საოცარ მრავალფეროვნებასა და ჰარმონიას ქმნის. ტურისტების რაოდენობის მიხედვით ესპანეთი საფრანგეთში შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს.

ესპანელები მხიარული და ხმაურიანი ხალხია, უყვართ ჭამა და ჟესტებით საუბარი. ესპანური მუსიკა და ხელოვნება კარგად გამოხატავს ქვეყნის მრავალფეროვნებასა და ხასიათს. ესპანელებისათვის ფეხბურთი უფრო მეტია, ვიდრე სპორტი. ესპანეთი ასევე ცნობილია სახალხო ფესტივალებითა და დღესასწაულებით.

ესპანეთის ქალაქ ბუნოლში, ყოველის წლის აგვისტოს ბოლო ოთხშაბათს იმართება ტომატინოს ფესტივალი. ესაა სახალხო ბრძოლა პომიდვრებით. ტომატინოს ფესტივალი 1945 წლიდან იღებს სათავეს. ტრადიცია ორი ახალგაზრდა ფერმერის დაპირისპირებით დაიწყო, რომლებმაც ერთმანეთს პომიდვრები დაუშინეს. მათი ჩხუბი მთავარ მოედანზე დიდი დაპირისპირებით გაგრძელდა, სადაც უამრავი საკვები პროდუქტი - პომიდორი გაანადგურეს. ტომატინოს ფესტივალში ყოველწლიურად ათასობით ადგილობრივი და სტუმარი მონაწილეობს. ტომატინოსათვის დაახლოებით 160 ტონა პომიდორი 6 ტრაილერზე იტვირთება. რამდენიმე საათის განმავლობაში ადამიანები ერთმანეთს დაუნანებლად ესვრიან პომიდვრებს და მათგანაც იმავეს ელიან. თუ მეზობელმა გაწყენინათ, დაელოდეთ ტომატინოს ფესტივალს. ამ დროს თავისუფლად შეგიძლიათ ესროლოთ პომიდორი იმას, ვისაც გსურთ. თან ამის გამო პასუხს არავინ მოგთხოვთ.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია

1. ესპანელმა ფერმერებმა იჩხუბეს, რადგან ერთმა მეორეს პომიდორი მოჰპარა
2. ტომატინოს ფესტივალი მე-20 საუკუნის შუა წლებიდან იწყება
3. ფერმერების დაპირისპირება მთავარ მოედანზე მოხდა
4. ტომატინოს ფესტივალში მხოლოდ ადგილობრივები მონაწილეობენ
5. ადამიანები ერთმანეთს მხოლოდ დაზიანებულ პომიდვრებს ესვრიან
6. ტომატინოს ფესტივალში მონაწილეობისთვის შეიძლება პასუხი მოგთხოვონ
7. ესპანეთში კონსტიტუციური მონარქიაა, მეფე ჰყავთ
8. ესპანეთში იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის 47 ძეგლია
9. ესპანეთში ბევრი სახალხო ფესტივალი და დღესასწაული იმართება
10. ესპანეთში ქრისტიანულის გარდა ისლამური და ებრაული კულტურის ნახვაც შეიძლება
11. ესპანეთი ტურისტების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა მსოფლიოში
12. ესპანეთში ბევრ თანამედროვე არქიტექტურულ შედევრსაც ნახავთ
13. ესპანელებს ძალიან უყვართ ფეხბურთი
14. ესპანური მუსიკა და ხელოვნება კარგად აჩვენებს ქვეყნის მრავალფეროვნებას

2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. როგორი ხალხია ესპანელები?
2. სად მდებარეობს ესპანეთი?
3. რით გამოირჩევა ესპანეთის კულტურა?
4. რითია ცნობილი ესპანეთი?
5. რომელ ქალაქში იმართება ტომატინოს ფესტივალი?
6. რა დაედო საფუძვლად ტომატინოს ფესტივალს?
7. რას აკეთებენ ადამიანები ტომატინოს ფესტივალზე?
8. როგორი სახელმწიფო მოწყობაა ესპანეთში?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ:

--- ---

--- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. კონსტიტუციური	ა. ზღვა
2. სახელმწიფო	ბ. ბრძოლა
3. კულტურული	გ. ლანდშაფტი
4. ხმელთაშუა	დ. მონარქია
5. ბუნებრივი	ე. მემკვიდრეობა
6. რაოდენობის	ვ. სათავეს
7. სახალხო	ზ. მოსთხოვს
8. პომიდვრებით	თ. წყობა
9. პასუხს	ი. ფესტივალი
10. იღებს	კ. მიხედვით

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

5. დააკავშირეთ სიტყვები შესაბამის განმარტებასთან:

1. შედევრი	ა. ხმელეთის ნაწილი, რომლის გარშემო წყალია
2. მონარქია	ბ. ძალიან თეთრი, თოვლივით თეთრი
3. იუნესკო	გ. ცვლის
4. მოდერნისტული	დ. სიძველისაგან გაცრეცილი, ფერდაკარგული.
5. ქათქათა	ე. სახელმწიფოს მართვის ფორმა (მაგ., მეფე)
6. გაცრეცილი	ვ. მიმდინარეობა ხელოვნებაში
7. კუნძული	ზ. ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოები, ქმნილება.
8. ლანდშაფტი	თ. შეწინააღმდეგება, ვინმეს წინააღმდეგ ყოფნა
9. ჰარმონია	ი. სინანულის გარეშე, დაუზოგავად
10. ჟესტი	კ. უფრო მეტია, უფრო დიდია
11. აჭარბებს	ლ. საუბრისას სხეულის ნაწილების, მაგ., ხელის მოძრაობა
12. ენაცვლება	მ. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაცია
13. დაპირისპირება	ნ. რაიმე ადგილის (ტყის, ქალაქის...) საერთო ხედი
14. დაუნანებლად	ო. კავშირი, თანხმობა, იდილია

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

6. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. ამ დროს შეგიძლიათ ესროლოთ პომიდორი იმას, ვისაც გსურთ.

   ა) აჭამეთ; ბ) გინდათ; გ) გემრიელი

2. ტომატინოს ფესტივალში ათასობით ადგილობრივი და სტუმარი მონაწილეობს.

   ა) ერთვება; ბ) ანაწილებს; გ) იკვებება

3. ტომატინოზე უამრავი საკვები პროდუქტი - პომიდორი გაანადგურეს.

   ა) შეჭამეს; ბ) ისროლეს; გ) გააფუჭეს

4. ორმა ახალგაზრდა ფერმერმა ერთმანეთს პომიდვრები დაუშინა.

   ა) ესროლა ბ) შეაშინა; გ) წაართვა

5. ტომატინოს ფესტივალი 1945 წლიდან იღებს სათავეს.

   ა) სათაური; ბ) ტარდება; გ) გაიღო

6. ესპანეთის ქალაქ ბუნოლში, ყოველის წელს იმართება ტომატინოს ფესტივალი.

   ა) ტარდება; ბ) გამოიხატება; გ) აიკრძალა

7. ესპანური მუსიკა და ხელოვნება კარგად გამოხატავს ქვეყნის მრავალფეროვნებას.

   ა) სურათი; ბ) მღერის; გ) აჩვენებს

8. საუცხოო არქიტექტურა და ბუნებრივი ლანდშაფტი მნახველს აკვირვებს.

   ა) საოცარი; ბ) უცხოური; გ) უცხოელების

9. მნახველს აოცებს მთები, ზღვა და ულამაზესი კუნძულები.

   ა) დამთვალიერებელს; ბ) ადამიანს; გ) მძღოლს

10. დამთვალიერებელს აოცებს მთები, ზღვა და ულამაზესი კუნძულები

    ა) სცივა; ბ) აკვირვებს; გ) ოცნებობს

11. ესპანეთს იბერიის ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი უკავია.

    ა) აერთიანებს; ბ) აკავშირებს; გ) უჭირავს

12. ესპანეთის მოსახლეობა 46 მილიონს აჭარბებს.

    ა) მეტია; ბ) ზედმეტია; გ) მსუქანია

7. ვისაუბროთ!

გამართლდა თქვენი მოლოდინი ესპანეთის შესახებ?

რა გაიგეთ ესპანეთზე?

8. ჩასვით სიტყვები საჭირო ფორმით:

1. ესპანეთის ოფიციალური დასახელებაა ---------- (ესპანეთი) სამეფო.
2. ესპანეთი გამორჩეულია ---------- (კულტურა) და ბუნების მრავალფეროვნებით.
3. კათოლიკურ ---------- (ქრისტიანობა) ერთად ესპანური ---------- (კულტურა) ნაწილია ისლამური და ებრაული მემკვიდრეობაც, რომლებიც ესპანეთის ისტორიულ ---------- (ქალაქები) გვხვდება.
4. ბუნებრივი ლანდშაფტი ---------- (მნახველი) საოცარ მრავალფეროვნებასა და ---------- (ჰარმონია) ქმნის.
5. ესპანელებს უყვართ ჭამა და ---------- (ჟესტები) საუბარი.
6. ტომატინოს ფესტივალი ყოველი ---------- (წელი) აგვისტოს ბოლო ---------- (ოთხშაბათი) იმართება.
7. ტომატინოს ფესტივალი - ესაა სახალხო ბრძოლა ---------- (პომიდორი).
8. ---------- (ფერმერები) ჩხუბი მთავარ ---------- (მოედანი) დიდი დაპირისპირებით გაგრძელდა.
9. ტომატინოსათვის 160 ტონა პომიდორი 6 ---------- (ტრაილერი) იტვირთება.
10. ადამიანები ---------- (ერთმანეთი) დაუნანებლად ესვრიან ---------- (პომიდვრები).

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
	უდიდესი	უმცირესი
დამთვალიერებელი	მნახველი	
	ოფიციალური	არაოფიციალური
განსაკუთრებული	გამორჩეული	
საკვირველი	საოცარი	
ხალისიანი	მხიარული	სევდიანი
	ხმაურიანი	მშვიდი
შერკინება	ბრძოლა/შებრძოლება	
ბევრი	უამრავი	ცოტა

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

10. სიტყვებს დაურთეთ -ვით, -თან, -ზე, -ში, -თვის, -დან თანდებულები საჭირო ფორმით

1. კათოლიკურ ქრისტიანობა---------- ერთად ესპანური კულტურის ნაწილია ისლამური და ებრაული მემკვიდრეობაც.
2. ესპანეთის ისტორიულ ქალაქებ------- საოცარი ძეგლები გვხვდება.

3. ტურისტების რაოდენობის მიხედვით ესპანეთი მსოფლიო------ მეორე ადგილზეა.
4. ტომატინოს ფესტივალი 1945 წელი---------- იღებს სათავეს.
5. ჩხუბი მთავარ მოედან--------- დიდი დაპირისპირებით გაგრძელდა.
6. ტომატინო---------- დაახლოებით 160 ტონა პომიდორია საჭირო.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია, დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - მეგობრებთან ერთად

ბ. - სიამოვნებით, ვიზა არ გვჭირდება, მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტი... თუ დრო გაქვს, შემოგვიერთდი!

გ. - მოემზადე... ბარსელონაა!

დ. - დაგეგმილი გაქვს, რა უნდა ნახოთ?

ე. - სამოგზაუროდ მივდივარ ერთი კვირით.... ეს ჩემი ოცნების ტურია!

ვ. - მეც ხომ შენი მეგობარი ვარ, მეც წამოვალ…

ზ. - სად მიდიხარ?

თ. - სამსახურში ვიკითხავ, თუ მომცეს შვებულება...

ი. - მერე?

კ. - აუ, რა მაგარია, მეც მინდა! ვისთან ერთად მიდიხარ?

ლ. - თუ მოვასწარით, კარგი იქნება, ანდალუზიის ნახვაც გვინდა, გრანადას ალჰანდრა ნომერ პირველია, კულტურათა ნაზავი არქიტექტურა და გასაოგნებელი ხედები... ბოლოს კი ისევ ბარსელონა!

მ. - აბა, გაარკვიე, ნეტა გამოგიშვან.... საოცარი სანახაობა გველოდება.

ნ. - მერე ვნახავთ სევილიას. ფიქრობენ, რომ აქ უნდა იყოს ქრისტეფორე კოლუმბი დამარხული, ისედაც საოცარი სილამაზის ადგილი ყოფილა.

ო. - მოკლედ, უნდა ვილოცო, რომ გამომიშვან სამსახურიდან!

პ. - რა თქმა უნდა, ბარსელონაში სანახავი ბევრია: საუკეთესო პლაჟები, გაუდის არქიტექტურა, მუზეუმები, სასახლეები, მოცეკვავე შადრევნები, საკვები, სამი დღე მხოლოდ ბარსელონა...

ჟ. - იქნებ მოვახერხოთ და ბილბაოში წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი მომძე ბასკები?!

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

ვისაუბროთ!

დიალოგის მონაწილეები მოგზაურობაზე საუბრობენ. ერთ-ერთის საოცნებო ქვეყანა ესპანეთია. თქვენ სად გინდათ მოგზაურობა, რომელია თქვენი ოცნების ტური? რატომ?

როდის და რატომ მოგზაურობენ ადამიანები?

რატომ ოცნებობენ ადამიანები მოგზაურობაზე?

რომელ ქვეყნაში ურჩევდით ახალდაქორწინებულებს მოგზაურობას?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

კორიდა ცნობილი საბრძოლო სანახაობაა ესპანეთში. ტრადიციულად ხარისა და ტორეადორის შებრძოლება საგანგებოდ მოწყობილ ადგილას იმართება. სანახაობას ათასობით მაყურებელი ესწრება. ტორეადორი ჯერ აღიზიანებს ხარს წითელი ნაჭრით, შემდგომ კი დაშნით ჭრის მას. სპეციალურ ტანისამოსში გამოწყობილი მამაკაცი ხართან შებრძოლებისათვის საგანგებოდ ემზადება. სიტყვა ტორეადორი ,,მეომარს“ ნიშნავს და ხართან საბრძოლო სანახაობის გამართვა მისი პროფესიაა. ტორეადორის პროფესია საკმაოდ პოპულარული და მაღალანაზღაურებადია. კორიდა მაყურებელს იზიდავს ექსტრემალურობით. ყოველი შერკინება ფატალურად სრულდება ტორეადორის ან ხარისათვის. შესაძლოა ტორეადორმა ხარი შეიწყალოს, თუმცა უმეტესად კორიდა ხარისათვის ტრაგიკულად სრულდება. ხართან შებრძოლების ტრადიცია სათავეს ანტიკური ეპოქიდან იღებს. დღევანდელი ფორმით იგი XVI საუკუნიდან უნდა მოდიოდეს. კორიდა გავრცელებულია ესპანეთის უმეტეს რეგიონებში.

2011 წლიდან კორიდა აიკრძალა კატალონიაში. კატალონიის ავტონომიური რეგიონის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, კატალონიის ტერიტორიაზე აეკრძალათ ხარებთან შერკინება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბარსელონაში გაიმართა არაერთი აქცია, რომელთა ნაწილი კმაყოფილებას გამოხატავდა გადაწყვეტილების გამო, ნაწილი კი აპროტესტებდა. ცხოველთა უფლებების დამცველები წლებია აპროტესტებენ ხარების გამოყენებას კორიდას სასტიკი სანახაობისათვის, მაგრამ მხოლოდ კატალონიაში აიკრძალა კორიდა. კორიდას აკრძალვის მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. კატალონიელებს ტრადიციულად, სურთ დააფიქსირონ საკუთარი განსხვავებულობა ესპანეთისგან.

11. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია +/არასწორია -

1. სპეცტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი ხართან ბრძოლისთვის საგანგებოდ ემზადება
2. ტორეადორის პროფესია სარისკო და დაბალანაზღაურებადი
3. ხარისთვის კორიდა ყოველთვის ტრაგიკულად სრულდება
4. სიტყვა ტორეადორი ,,მეომარს“ ნიშნავს
5. კორიდა ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე არის გავრცელებული
6. კორიდას აკრძალვას ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები
7. ტორეადორი წითელი ნაჭრით აღიზიანებს ხარს
8. კორიდა ექსტრემალურობით იზიდავს მაყურებელს
9. შესაძლოა ტორეადორმა ხარი შეიწყალოს და არ მოკლას
10. კატალონიაში კორიდა 2011 წელს აიკრძალა
11. კორიდას აკრძალვას მთელი ესპანეთი ემხრობა
12. ფიქრობენ, რომ კორიდას აკრძალვა უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილებაა
13. კატალონიელებს სურთ, კორიდის აკრძალვით დააფიქსირონ საკუთარი განსხვავებულობა
14. ფიქრობენ, რომ დღევანდელი ფორმით კორიდა XVI საუკუნიდან მოდის

12. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

ვისაუბროთ!

რა ახალი ინფორმაცია გაიგეთ ესპანეთის შესახებ?
რას ფიქრობთ კორიდას შესახებ?
რატომ გახდა კორიდას გამართვა სადაო?
თქვენი აზრით, რითაა ესპანეთი მიმზიდველი?

თემა 12
კულტურათა ურთიერთგავლენა

კითხვები გამოწვევისთვის

თქვენი აზრით, რა ქმნის კულტურას? რა ქმნის კულტურის თავისებურებებს?
როგორ ფიქრობთ, არსებობს კულტურა, რომელიც არანაირ ზეგავლენას არ განიცდის?
რა გზით შეიძლება ახდენდეს გავლენას ერთი კულტურა მეორეზე?
გაიხსენეთ „უცნაური“ ტრადიციების მაგალითები. რატომ არის უცნაური ეს ტრადიციები?

კულტურის გავლენები

იზოლირებული კულტურა არ არსებობს. კონტაქტების შედეგად კულტურები ერთიმეორეზე გავლენას ახდენს. ტრადიციების ტრანსფორმაციის მიზეზი ეკონომიკური ურთიერთობებიც შეიძლება გახდეს. ამის მაგალითია ვანკუვერის კუნძულსა და ბრიტანეთის კოლუმბიის სანაპიროზე მცხოვრები კვაკიუტლის ტრადიცია პორტლაჩი.

პორტლაჩის ტრადიცია პირველად ფრანც ბოასმა აღწერა 1889 წელს. ამ ტრადიციის მიხედვით, მდიდარი ადამიანები ემოციური და რადიკალური ფორმით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სოციალური სტატუსის მოპოვებასა და შენარჩუნებაში. პორტლაჩისთვის დამახასიათებელი იყო ქონების თვალშისაცემი ხარჯვა და საჩუქრების უხვად გაცემა. პორტლაჩის დროს მასპინძელი აწყობდა სახალხო სუფრას, სტუმრებს კი ძვირფას საჩუქრებს ურიგებდა. რაც უფრო მრავალფეროვანი იყო მომზადებული საკვები და დარიგებული საჩუქრები, მით უფრო მეტი გავლენა ჰქონდა მასპინძელს. ამ ფორმით ის აღწევდა სასურველ ავტორიტეტს. პროტლაჩს რადიკალურ მხარეც ჰქონდა, მასპინძელს მეტოქეების შერცხვენა და დამცირება უნდოდა. მასპინძელი საკუთარ სიმდიდრეს და ქონებას არაფრად აგდებდა, იგი დაუნანებლად ღვრიდა თევზის ქონს კასრებიდან და ცეცხლს უკიდებდა, ძვირფას ნაჭრებს ანაკუწებდა და აფრიალებდა. უფრო მეტიც, მასპინძელი წვავდა სოფელს და სტუმრებს აჩვენებდა, რომ მას ეს შეეძლო და არ ენანებოდა. ამ ყველაფერს საკუთარი უპირატესობისა და პრესტიჟისათვის აკეთებდა.

პორტლაჩის ტრადიცია მოგვიანებით არაერთმა ანთროპოლოგმა გამოიკვლია და გააანალიზა. მათი დაკვირვებით, ტრადიცია კვაკიუტლის ევროპელებთან 40-წლიანი კონტაქტის შედეგად უნდა გაჩენილიყო. ამ დროისათვის ადგილობრივი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირებული იყო სხვადასხვა დაავადების გამო, ჭირდა მუშახელი, რაც კონკურენციას ზრდიდა. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ ევროპელებთან სავაჭრო ურთიერთობით დიდი სიმდიდრე დაგროვდა. პორტლაჩს ახასიათებდა მაქსიმალიზმი და რადიკალიზმი. ამ ფორმით თემის მეთაური ცდილობდა ყურადღების მიპყრობას და მოსახლეობის მოზიდვას სოფელში. პორტლაჩის ტრადიცია გვიჩვენებს, რომ კონტაქტების შედეგად სხვადასხვა კულტურა ერთმანეთზე გავლენას ახდენს.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ტრადიციების ცვლილების მიზეზი ყოველთვის ეკონომიკური ურთიერთობებია
2. პორტლაჩის ტრადიცია ფრანც ბოასმა აღწერა მე-19 საუკუნის ბოლოს
3. ფრანც ბოასი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც პორტლაჩის ტრადიცია აღწერა
4. იზოლირებული კულტურა არ არსებობს
5. პორტლაჩის ტრადიცია მოგვიანებით ბევრმა ანთროპოლოგმა გამოიკვლია
6. პორტლაჩის მიხედვით მდიდარი ადამიანები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სოციალური სტატუსის მოპოვებაში
7. პორტლაჩისთვის დამახასიათებელი იყო ქონების მოფრთხილება
8. პორტლაჩის დროს მასპინძელი ზოგიერთ სტუმარს გემრიელ საკვებს სთავაზობდა
9. მასპინძელს მეტოქეების შექება და გახარება უნდოდა
10. მასპინძელი ზოგჯერ წვავდა სოფელს თავისი გავლენის საჩვენებლად
11. მასპინძელი საკუთარ სიმდიდრეს და ქონებას არაფრად აგდებდა
12. პორტლაჩი კვაკიუტლის ევროპელებთან 40-წლიანი კონტაქტის შედეგად უნდა გაჩენილიყო
13. პორტლაჩით თემის მეთაური ცდილობდა ყურადღების მიპყრობას და მოსახლეობის მოზიდვას სოფელში
14. კონტაქტების შედეგად სხვადასხვა კულტურა ერთმანეთზე გავლენას ახდენს

2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რა იწვევს კულტურათა ერთმანეთზე გავლენას?
2. რომელი ქვეყნისა და ტომის ტრადიციაზეა საუბარი ტექსტში?
3. ვინ და როდის აღწერა პორტლაჩი?
4. ვინ მართავდა პორტლაჩის სუფრას?
5. რატომ მართავდნენ ხალხმრავალ მდიდრულ სუფრებს მასპინძლები?
6. რატომ ანადგურებდნენ მდიდარი ადამიანები თავიანთ ქონებას?
7. რატომ უწოდებენ პორტლაჩს ემოციურ და ამავე დროს რადიკალურ ტრადიციას?
8. მეცნიერების აზრით, რისი შედეგია პორტლაჩი?
9. რას ცდილობდა პორტლაჩის საშუალებით თემის მეთაური?
10. რა ტიპის ურთიერთობა ჰქონდა კვაკიუტლის ევროპელებთან?

3. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით:

--- ---

--- ---

4. დააკავშირეთ სიტყვები შესაბამის განმარტებასთან:

1. ავტორიტეტი	ა. ნაკუწებად აქცევს, გლეჯს
2. იზოლირებული	ბ. მოქიშპე, მოცილე, მოწინააღმდეგე, კონკურენტი
3. უხვად	გ. ხის ფართე ჭურჭელი სითხისთვის
4. ტრანსფორმაცია	დ. მეცნიერება-სწავლობს ადამიანის წარმოშობას, რასებს
5. რადიკალური	ე. ერთი გვარის მოსახლეობა
6. მეტოქე	ვ. ვისაც ან რასაც ურთიერთობის საშუალება არ აქვს
7. კასრი	ზ. მრავლად
8. ანაკუწებს	თ. პირი, რომელსაც გავლენა აქვს
9. ანთროპოლოგია	ი. რისამე სახეცვლილება, შეცვლა
10. დაავადება	კ. წყლის (ზღვის, მდინარის...) ნაპირას მდებარე ადგილი
11. თემი	ლ. უკიდურესი, გადამწყვეტი
12. მეთაური	მ. თვალით ადვილად დასანახი, აშკარა, გამოსაჩენი
13. სანაპირო	ნ. დასნეულება, დაავადმყოფება
14. თვალშისაცემი	ო. წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

5. დააკავშირეთ სიტყვები:

1. იზოლირებული	ა. სტატუსი
2. კონტაქტების	ბ. სუფრა
3. გავლენას	გ. მოკიდება
4. ტრადიციების	დ. დაგროვება
5. სოციალური	ე. კულტურა
6. სტატუსის	ვ. მიპყრობა
7. სახალხო	ზ. შედეგად
8. კონკურენციის	თ. ჩაგდება
9. ყურადღების	ი. მოპოვება
10. ცეცხლის	კ. ახდენს
11. არაფრად	ლ. გაზრდა
12. სიმდიდრის	მ. ტრანსფორმაცია

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

6. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1.პორტლაჩის ტრადიცია მოგვიანებით არაერთმა ანთროპოლოგმა <u>გამოიკვლია</u>.

ა) შეამოკლა; ბ) შეისწავლა; გ) გაკვალა

2.ტრადიცია კვაკიუტლის ევროპელებთან <u>კონტაქტის</u> შედეგია.

ა) ურთიერთობის; ბ) კონტიგენტის; გ) თანაგრძნობის

3.იმ დროს ადგილობრივი მოსახლეობა <u>მნიშვნელოვნად</u> იყო შემცირებული.

ა) საგრძნობლად; ბ) სავარაუდოდ; გ) სათანადოდ

4.კონტაქტების შედეგად სხვადასხვა კულტურა ერთმანეთზე <u>გავლენას ახდენს</u>.

ა) გავლენას ამცირებს; ბ) ზემოქმედებს; გ) გრძნობს

5.ამ ყველფერს <u>საკუთარი</u> უპირატესობისა და პრესტიჟისათვის აკეთებდა.

ა) თავისი; ბ) სხვისი; გ) სიმდიდრის

6.ამ ყველაფერს საკუთარ უპირატესობისა და <u>პრესტიჟისათვის</u> აკეთებდა.

ა) გავლენისათვის; ბ) სიმდიდრისთვის; გ) გასვლისთვის

7.მასპინძელს <u>მეტოქეების</u> შერცხვენა და დამცირება უნდოდა.

ა) თანატოლების; ბ) მედოქეების; გ) კონკურენტების

8. მასპინძელი აწყობდა სახალხო სუფრას.

ა) ალაგებდა; ბ) მართავდა; გ) ალამაზებდა

9. პორტლაჩისთვის დამახასიათებელი იყო ქონების თვალშისაცემი ხარჯვა.

ა) დარტყმა; ბ) დაცემა; გ) გამოსაჩენი

10. ტრადიციების ტრანსფორმაციის სხვადასხვა მიზეზი არსებობს.

ა) ცვლილების; ბ) ტრანსპორტის; გ) ფორმების

11. მოსახლეობა შემცირებული იყო სხვადასხვა დაავადების გამო

ა) დავარდნა; ბ) სნეულება; გ) დასვენება

12. ტრადიციების ტრანსფორმაციის სხვადასხვა მიზეზი არსებობს.

ა) ზიანი; ბ) მიზანი; გ) საბაბი

7. ჩასვით სიტყვა საჭირო ფორმით:

1. ტრადიციების ---------- (ტრანსფორმაცია) მიზეზი ეკონომიკური ურთიერთობებიც შეიძლება გახდეს.
2. მდიდარი ადამიანები რადიკალური ---------- (ფორმა) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.
3. ---------- (პორტლაჩი) დამახასიათებელი იყო ---------- (ქონება) თვალშისაცემი ხარჯვა და ---------- (საჩუქრები) უხვად გაცემა.
4. ამ ფორმით ის აღწევდა სასურველ ---------- (ავტორიტეტი).
5. მასპინძელს ---------- (მეტოქეები) შერცხვენა და დამცირება უნდოდა.
6. მასპინძელი ღვრიდა თევზის ქონს ---------- (კასრები) და ცეცხლს უკიდებდა, ძვირფას ---------- (ნაჭრები) ანაკუწებდა და აფრიალებდა.
7. მოსახლეობა შემცირებული იყო სხვადასხვა ---------- (დაავადება) გამო.
8. ტრადიცია კვაკიუტლის ---------- (ევროპელები) 40-წლიანი კონტაქტის შედეგად გაჩნდა.
9. თემის მეთაური ცდილობდა ---------- (ყურადღება) მიპყრობას და ---------- (მოსახლეობა) მოზიდვას სოფელში.
10. მასპინძელი ყველაფერს საკუთარი ---------- (უპირატესობა) და ---------- (პრესტიჟი) აკეთებდა.

8. ვისაუბროთ!

ისაუბრეთ თქვენთვის ნაცნობი კულტურული ტრადიციების შესახებ, გაიხსენეთ წვეულებები, ვინ არის ორგანიზატორი? რა არის მიზეზი შეკრების და რას უწყობს ხელს მსგავსი შეკრებები?
აღნიშნეთ ის თავისებურებები, რომლებიც ერთ წვეულებას მეორისგან გამოარჩევს.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
ბინადარი	მცხოვრები	
წინამძღოლი	მეთაური	
ქონება	სიმდიდრე	სიღარიბე
ხელგაშლილი	უხვი	ძუნწი
საჭმელი	საკვები	
შესწავლა	გამოკვლევა	
ლოკალური	ადგილობრივი	საერთაშორისო
	ემოციური	უემოციო
	მოპოვება	დაკარგვა
	გაზრდა	შემცირება
	სააქაო	საიქიო
მხიარულება	ლხინი	
დაპატიჟება	მოწვევა	
დახმარება	შეწევნა	

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

დააკვირდით!

დააკვირდით წინადადებების შინაარსს და აღნიშნეთ, რა სხვაობაა ხაზგასმულ სიტყვებს შორის:

მასპინძელს მეტოქეების შერცხვენა და <u>დამცირება</u> უნდოდა.

დაავადებებმა მოსახლეობის <u>შემცირება</u> გამოიწვია.

10. სავარჯიშო: ჩასვით წინადადებებში მოცემული სიტყვები საჭირო ფორმით:

დამცირება-ამცირებს/დაამცირა, დამცირებული

შემცირება-ამცირებს/შეამცირა, შემცირებული

1. ახალმა მაგისტრალმა მანძილი ქალაქამდე ძალიან ----------.
2. ბუნებრივი რესურსების ---------- ყველას აწუხებს.
3. ---------- ფასები საკანცელარიო ნივთებზე თვის ბოლომდე იქნება.

4. პორტლაჩის მიხედვით, მასპინძელი თავისი ქცევით სტუმრებს ----------.
5. სხვისი ---------- კულტურული ადამიანის თვისება არაა.
6. ფიქრობდა, რომ სტუმარი შეურაცხყოფილი და ---------- იყო.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია, დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - სამი თვის წინ ბიძაჩემი სერიოზულ ავტოკატასტროფაში მოყვა, მისი გადარჩენის აღარ გვჯეროდა, სასწაულით გადარჩა.

ბ. - რას აღნიშნავდით?

გ. - ცოტა თავი მტკივა ნაბახუსევზე

დ. - ალბათ მთელი სანათესაო იყავით, არა? კარგად მოილხენდით...

ე. - ბიძაჩემთან, მთელი ღამე ვქეიფობდით!

ვ. - კარგად, შენ როგორ ხარ?

ზ. - როგორ ხარ, მეგობარო?

თ. - სად დალიეთ?

ი. - მერე, ბებიაჩემმა ღმერთს და სალოცავებს ბიძაჩემის გადარჩენა სთხოვა.... დაჰპირდა, როგორც კი გამოჯანმრთელდება, ცხვარს შემოგწირავ და დიდ სუფრას გავშლიო.

კ. - ახლა როგორ არის ბიძა?

ლ. - მეც ვიქნები რა თქვენი ნათესავი...

მ. - მერე?

ნ. - კი, ძალიან სასიამოვნო იყო, ყველა ერთად აღვნიშნავდით ბიძაჩემის გადარჩენას... ბევრი საჭმელი, სასმელი, სიმღერები და ცეკვაც...

ო. - რა შედარებაა, ბევრად უკეთ, საერთოდ ვერ მოძრაობდა, ახლა კი თვითონ მიიღო სტუმრები.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

ვისაუბროთ!

დიალოგის ერთ-ერთი მონაწილის ბიძა ავტოკატასტროფას გადაურჩა ცოცხალი. ოჯახმა ეს ფაქტი თავისებური ტრადიციით აღნიშნა. თქვენ რა იცით მსგავსი ჩვეულებების შესახებ?
თუ ყოფილხართ მსგავსი ტიპის წვეულებაზე?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება.

სვანეთში ეთნოგრაფებმა ერთი საინტერესო ტრადიცია აღმოაჩინეს, ესაა ლუხორი. ლუხორი სვანური სიტყვაა და ,,შეკრებას" ნიშნავს. ლუხორის დროს მთელი სოფელი დიდ სუფრას მიუჯდებოდა და ილხენდა. სუფრას აწყობდა სოფლის მცხოვრები შეძლებული ოჯახი, რომელსაც შვილი არ ჰყავდა. ლუხორის მოსაწყობად ოჯახი საგანგებოდ ემზადებოდა. ცნობილია ხერგიანის ლუხორის სუფრა. ხერგიანის სამზადისი სალხინო სუფრისათვის დიდხანს გაგრძელდა. მას რვა ხარი ჰყავდა შეთქმული ღვთისთვის. სალუხორე ხარებს მინდვრებზე ასუქებდა. ღვთის შიშით სალუხორე ხარებს ვერავინ მოიპარავდა. სჯეროდათ, რომ ღმერთები და განსაკუთრებით წმინდა გიორგი მკაცრად დასჯიდა ყველას, ვინც ხარებს ბოროტად შეეხებოდა. ხერგიანს რვა ხარის გულ-ღვიძლით უნდა გაემართა შესაწირი სუფრა. სალუხორე პურს ცალკე იმარაგებდა. ასევე სჭირდებოდა ყველის, თაფლის, არყისა და სხვა პროდუქტების დაგროვება. ეს სუფრა ლხინის იყო, რადგან საკუთარი სურვილით აწყობდა ხერგიანი და არა იძულებით. დანიშნულ დღეს უკრავდნენ ბუკს/საყვირს. ასე მასპინძელი ყველას მოიწვევდა სუფრაზე. რაც უფრო მეტი ადამიანი მოვიდოდა, მით უფრო სასიამოვნო იყო მასპინძლისათვის. ხერგიანი გულუხვად უმასპინძლდებოდა სტუმრებს, სტუმრები კი გულიანად ლოცავდნენ მასპინძელს.

სვანებს სჯეროდათ, რომ ლუხორის დროს ღვთისთვის შეწირული ხარები პატრონს, შემწირველს საიქიოში დახვდებოდა, სტუმრების დალოცვა კი მასპინძელს საიქიოშიც შეეწეოდა და სააქაოშიც.

11. **ტექსტს შეურჩიეთ სათაური!**

12. **დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია +/არასწორია -**

1. ლუხორი სვანური სიტყვაა და ,,შეკრებას" ნიშნავს
2. ლუხორის ტრადიცია ისტორიკოსებმა მთიანეთში აღმოაჩინეს
3. ლუხორის სუფრას შეძლებული უშვილო ოჯახი აწყობდა
4. ეთნოგრაფებმა ხერგიანის ლუხორის სუფრა აღწერეს
5. ხერგიანებს ლხინის სუფრისთვის ცხრა ხარი ჰყავდათ
6. ხერგიანებს ლუხორის ხარები მოჰპარეს, მაგრამ მალევე დააბრუნეს
7. ლუხორის ხარებს ღვთის შიშით ვერავინ მოიპარავდა

8. ხერგიანი სუფრისთვის პურს, ყველს, თაფლს, არაყს და სხვა პროდუქტს იმარაგებდა
9. ხერგიანი ლხინის სუფრას საკუთარი სურვილით აწყობდა
10. იძულებით სუფრას მაშინ აწყობდნენ, როცა პრობლემის მოგვარება სურდათ
11. ბუკს იმიტომ უკრავდნენ, რომ სტუმრები მოსულიყვნენ
12. მასპინძელს ბევრი სტუმრის მოსვლა არ უხაროდა
13. სვანებს სჯეროდათ, ღვთისთვის შეწირული ხარები შემწირველს საიქიოში დაეხმარებოდა
14. სვანებს სჯეროდათ, რომ სტუმრების დალოცვა მათ სულს შეეწეოდა

ვისაუბროთ!

საზოგადოდ, რატომ სწირავენ ადამიანები მსხვერპლს?

რას ფიქრობთ სვანური ლუხორის შესახებ?

რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა იმისთვის, რომ კარგი სახელი დატოვოს?

როგორ შეიძლება ვიზრუნოთ საიქიო ცხოვრებაზე?

გაიხსენეთ ან ჰკითხეთ ოჯახის წევრებს, თუ შეგიწირავთ რამე და რა ფორმით.

თემა 13
რელიგიური პრაქტიკის მრავალფეროვნება

კითხვები გამოწვევისთვის

რომელი რელიგიების შესახებ გსმენიათ?
რომელი რელიგიური ჯგუფებია ჩვენს სამშობლოში?
რომელი რელიგიური დღესასწაულები აღნიშნება თქვენს ქვეყანაში?
რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული თქვენს ოჯახში? რასთანაა იგი დაკავშირებული და როგორ აღნიშნავთ?

რელიგიური წარმოდგენების მრავალფეროვნება

რელიგიურ მრავალფეროვნებაზე უამრავი საინტერესო ფაქტი მიუთითებს. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს ცხოვრების ცალკეული ელემენტი განსხვავებულად ესმით და არაერთგვაროვნად რეაგირებენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ ზოგიერთ რელიგიაში მიღებული და გამართლებული იყო უბიწოება, პარტნიორის ერთგულება ან ცელიბატი. ზოგიერთში კი სექსუალური კონტაქტები რელიგიურად მიღებული და გამართლებული იყო.

ყველა ჯადოქარი ცოცხით არ დაფრინავს. თანგანუიკას (ძველი სახელმწიფო ტანზანიის ტერიტორიაზე) ხალხს სჯეროდა, რომ ნაიაკუისა ანუ ჯადოქარი ჰიპნოზის ფორმით არსებობს და ის თვითონ ირჩევს მსხვერპლს. ჯადოქრები რჩეულებს ასხდებიან მუცელზე და ღრღნიან შიგნიდან.

ზოგიერთი ხალხი კანიბალიზმსაც იყენებდა, როგორც საკრალურ აქტს. არც ისე შორეულ წარსულში კვაკიუტლში (ინდიელთა ტომი) კანიბალი საზოგადოება მაღალ რელიგიურ სტატუსს ფლობდა. ფიქრობენ, რომ კანიბალიზმი აცტეკებს შორისაც იყო გავრცელებული, როდესაც ადამიანებს სწირავდნენ ღმერთებს. მსხვერპლის რიცხვი 15 000-დან 250 000-მდე მერყეობდა, მათ ყოველწლიურად სწირავდნენ აცტეკურ ღვთაებებს.

სულის ფორმასა და მოცულობაზეც განსხვავებული წარმოდგენები არსებობს. მაგალითად, შოშონის (ტომი ვაიომინგში) ხალხი ფიქრობდა, რომ სულს კალმის ფორმა ჰქონდა, რომელიც ადამიანს შუბლზე აწერდა საკუთარ ბედისწერას. ეკვადორის ადგილობრივებს კი სჯეროდათ, რომ ადამიანს სამი სახის სული გააჩნდა: პირველი-ჩვეულებრივი, რომელიც სისხლძარღვებში ბინადრობდა და არსებობას სიკვდილის შემდეგაც აგრძელებდა. მეორე-არუტამა ძლევამოსილი სული იყო, რომლის შეძენაც ლოცვითა და მარხვით იყო შესაძლებელი. იგი მფლობელს იცავდა, სანამ ჯადოქრობის შედეგად არ დატოვებდა პატრონს. მესამე - მუსაკი იყო შურისმაძიებელი სული, რომელიც მეომრებს გააჩნდათ. ეს სული აუცილებლად იძიებდა შურს მის მკვლელზე.

თითქმის ყველა ხალხი ლოცულობს ორივე - ქალ და მამაკაც ღვთაებებზე. ზოგიერთი თაყვანს სცემდა სხვადასხვა ცხოველს, დეფორმირებული ბავშვის ან ადამიანის ფორმის ღვთაებას. ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენ მოსახლეობას სჯერა, რომ მათ საწამლავზე იმუნიტეტი გააჩნიათ, მაგალითად, გველის ნაკბენზე ან მტრის ნასროლ ტყვიაზე. შესაბამისად, არ ერიდებიან შხამიან გველებს და მათთან ურთიერთობენ.

ადამიანის წარმოსახვა, რომელიც გარემომცველი სამყაროთი საზრდოობს, ამდიდრებს და აფართოებს რელიგიურ წარმოდგენებსა და მისი გამოყენების ფორმებს.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. შოშონის მოსახლეობის აზრით, სულს კალმის ფორმა ჰქონდა
2. უძველესი საზოგადოების წარმოდგენით, ადამიანს ბედისწერა მუცლის შიგნით ეწერა.
3. შურისმაძიებელი სული მხოლოდ მეომრებს ჰქონდათ
4. ჩვეულებრივი სული სისხლძარღვებში ცოცხლობდა.
5. ძლევამოსილი სულის შეძენა ლოცვითა და მარხვით შეიძლებოდა
6. შურისმაძიებელი სული აუცილებლად შურს იძიებდა მკვლელზე
7. დადასტურებულია, რომ კანიბალიზმი აცტეკებში ხშირი იყო
8. ყველა ჯადოქარს აქვს მფრინავი ცოცხი
9. ჯადოქრები რჩეულებს ასხდებიან შუბლზე და ბედისწერას აწერენ
10. არსებობს როგორც მამაკაცი, ასევე ქალი ღვთაებები
11. ყველა რელიგია აღიარებს უბიწოებას და პარტნიორის ერთგულებას
12. ჩრდილოეთ ამერიკის აბორიგენები არ ერიდებიან გველებს და მტრის ტყვიებს

2. უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას სცემენ ხოლმე თაყვანს ყველაზე ხშირად?
2. რატომ არ ერიდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობა გველებს?
3. რა განაპირობებს იმას, რომ სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა რელიგია აქვს?
4. რა მოსაზრებები არსებობს ქორწინების შესახებ სხვადასხვა რელიგიაში?
5. რა მიზნით იყენებდნენ ზოგიერთ საზოგადოებაში კანიბალიზმს?
6. რა მოსაზრება არსებობს სულის შესახებ შოშონის ხალხში?
7. რა სახის სული არსებობს ეკვადორის ადგილობრივების აზრით?
8. როგორ შეიძლებოდა ძლევამოსილი სულის შეძენა?

3. დააკავშირეთ სიტყვები:

1. თაყვანს
2. შურს
3. იმუნიტეტი
4. რელიგიური
5. საკრალური
6. შხამიანი
7. აბორიგენი
8. ადამიანის
9. გარემომცველი
10. ნასროლი

ა. გველი
ბ. წარმოსახვა
გ. აქტი
დ. სამყარო
ე. გააჩნია/აქვს
ვ. სცემს
ზ. ტყვია
თ. იძიებს
ი. წარმოდგენები
კ. მოსახლეობა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

4. დააკავშირეთ სიტყვა განმარტებასთან:

1. რჩეული
2. დეფორმირებული
3. იმუნიტეტი
4. ცელიბატი
5. უბიწოება
6. ჰიპნოზი
7. სტატუსი
8. მფლობელი
9. მკვლელი
10. წარმოსახვა
11. მეომარი
12. მარხვა
13. ერიდება
14. საწამლავი

ა. სულისა და სხეულის სიწმინდე
ბ. მდგომარეობა
გ. ორგანიზმის თვისება - შეეწინააღმდეგოს სნეულებებს
დ. ვინც მოკლა ვინმე (რამე)
ე. ის, ვინც აირჩიეს, გამორჩეულია
ვ. წარმოდგენა, ფანტაზია
ზ. რელიგიური წესი, კრძალავს ზოგი პროდუქტის ჭამას
თ. ის, ვინც იბრძვის, ომობს, მებრძოლი
ი. კათოლიკურ ეკლესიაში სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა
კ. ხელოვნურად გამოწვეული ძილისებური მდგომარეობა
ლ. ის, ვინც ფლობს რასმე; მეპატრონე, მესაკუთრე
მ. რასაც ფორმა აქვს შეცვლილი
ნ. ნივთიერება, რომელიც ორგანიზმს წამლავს, შხამი
ო. თავს არიდებს, გვერდს უვლის, გაურბის.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14

5. დააკვირდით სურათებს და დაასათაურეთ ტექსტის შინაარსის გათვალისწინებით:

--- --- ---

--- --- ---

6. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. ადამიანის <u>წარმოსახვა</u> გარემომცველი სამყაროთი საზრდოობს.

   ა) ასახვა; ბ) წარმოდგენა გ) წარმოება

2. მოსახლეობას სჯერა, რომ <u>საწამლავზე</u> იმუნიტეტი აქვს.

   ა) შხამი; ბ) წამალი; გ) საჭმელი

3. ადამიანის წარმოსახვა გარემომცველი სამყაროთი <u>საზრდოობს</u>.

   ა) ზარალდება; ბ) იკვებება; გ) ვიწროვდება

4. ადამიანებს ცხოვრების ცალკეული ელემენტი <u>განსხვავებულად</u> ესმით.

   ა)არაერთგვაროვნად; ბ) ერთგვაროვნად; გ) ერთნაირად

5. ხალხი <u>სხვადასხვანაირად</u> რეაგირებს საშიშ სიტუაციაში.

   ა) ერთგვაროვნად; ბ) განსხვავებულად; გ) ერთხმად

6. ხალხს <u>სჯეროდა,</u> რომ ნაიაკუისა ანუ ჯადოქარი ჰიპნოზის ფორმით არსებობს

   ა) სწამდა; ბ) აჯადოებდა; გ) უნდოდა

7. მოსახლეობა ხშირად უცნაურად <u>რეაგირებს</u> მოულოდნელ სიტუაციაში.

   ა) იქცევა; ბ) ზარალდება; გ) იბნევა

8. კანიბალი საზოგადოება მაღალ რელიგიურ სტატუსს ფლობდა.

ა) ჰქონდა; ბ) ჰყავდა; გ) იყენებდა

9. ფიქრობენ, რომ კანიბალიზმი აცტეკებს შორისაც იყო გავრცელებული

ა) ხშირი; ბ) იშვიათი; გ) ზოგჯერ

10. მსხვერპლს ყოველწლიურად სწირავდნენ აცტეკურ ღვთაებებს.

ა) ადგილებს; ბ) ღმერთებს; გ) თემებს

11. ფიქრობენ, რომ კანიბალიზმი აცტეკებს შორისაც იყო

ა) ოცნებობენ; ბ) აჩვენებენ; გ) მიიჩნევენ

12. მსხვერპლის რიცხვი 15 000-დან 250 000-მდე მერყეობდა

ა) მყარი; ბ) დაახლოებით; გ) მოშორებით

13. ჯადოქარი ადამიანს შუბლზე აწერდა საკუთარ ბედისწერას.

ა) წესებს; ბ) წერილებს; გ) იღბალს

14. სულის ფორმასა და მოცულობაზეც განსხვავებული წარმოდგენები არსებობდა.

ა) თავისუფალი; ბ) სიდიდე; გ) მოცლილი

15. პირველი ჩვეულებრივი სულია, რომელიც სისხლძარღვებში ბინადრობს

ა) სახლობს; ბ) მოგზაურობს; გ) დადის

16. სული არსებობას სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს.

ა) მოკლდება; ბ) განაგრძობს; გ) ადიდებს

17. მეორე სული - არუტამა ძლევამოსილი იყო.

ა) შემოსილი; ბ) ძალაგამოცლილი; გ) ძლიერი

18. შურისმაძიებელი სული მეომრებს გააჩნდათ

ა) მებრძოლი; ბ) მფლობელი; გ) მებადური

19. აბორიგენ მოსახლეობას სჯერა, რომ მათ საწამლავზე იმუნიტეტი გააჩნიათ

ა) საწარმო; ბ) შხამი; გ) საწადელი

20. ამას ადასტურებს ჩვენ გარშემო არსებული მრავალი ფაქტი.

ა) ამტკიცებს; ბ) აწესებს; გ) ამდიდრებს

7. ვისაუბროთ!

რა ხალხური თუ რელიგიური ტრადიციაა გავრცელებული თქვენს ქალაქში/სოფელში?

თუ გსმენიათ ან გინახავთ რომელიმე უცნაური ტრადიცია?

ფიქრობენ, ყველა ადამიანს თავისი ბედისწერა აქვს და ვერაფერს შეცვლის. ეთანხმებით?

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
ბევრი	უამრავი	ცოტა
მსგავსი	ერთნაირი	განსხვავებული
ამტკიცებს	ადასტურებს	უარყოფს
გამართლებული	მიღებული	მიუღებელი
მიღებული	გამართლებული	გაუმართლებელი
აქვს	ფლობს	
ხშირი	გავრცელებული	იშვიათი
თავისი/პერსონალური	საკუთარი	სხვისი
	გაგრძელება	შეწყვეტა
	შესაძლებელი	შეუძლებელი
	მტერი	მოყვარე
	გამდიდრება	გაღარიბება
	გაფართოება	შევიწროება

8. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

9. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები საჭირო ფორმით:

1. ადამიანებს ---------- (საწამლავი) იმუნიტეტი არ აქვთ.
2. შურისმაძიებელი სული ---------- (მეომრები) გააჩნდათ.
3. თითქმის ყველა ხალხი ლოცულობს ორივე - ქალ და მამაკაც ---------- (ღვთაებები).
4. ადამიანს ---------- (გველი) ნაკბენი კლავს.
5. სული არსებობას ---------- (სიკვდილი) შემდეგ აგრძელებდა.
6. ადამიანს ---------- (შუბლი) ეწერა საკუთარი ბედისწერა.
7. ხალხი ფიქრობდა, რომ სულს ---------- (კალამი) ფორმა ჰქონდა.
8. ჯადოქრები ---------- (რჩეულები) ასხდებიან მუცელზე და ღრღნიან.

დააკვირდით წინადადებას:

რელიგიურ მრავალფეროვნებაზე **<u>უამრავი</u>** საინტერესო **<u>ფაქტი</u>** მიუთითებს.

დაიმახსოვრე! სიმრავლის აღმნიშვნელ სიტყვებთან საზღვრული და ზმნა მხოლობით რიცხვში უნდა იყოს!

10. შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ სიტყვები: სხვადასხვა, უამრავი, ზოგიერთი, ყველა.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია. დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - რაღაც კარგად ვერ ვარ ამ ბოლო დროს!
ბ. - რა სისულელეა, მე არ მჯერა მასეთი რაღაცების..
გ. - უი, რატომ? რა გაწუხებს?
დ. - როგორ? რას გეუბნება ექიმი?
ე. - ჰო, შეიძლება ვინმემ ჯადო გაგიკეთა...
ვ. - ვიყავი, თან არაერთ ექიმთან... ყველა სახის ანალიზიც ავიღე და არაფერი...
ზ. - სულ თავი მტკივა, თითქმის ყოველდღე და ვერ ვიძინებ
თ.- ექიმი ამბობს, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ!
ი. - როგორ არ დავიჯერო? იმ ქალთან ყოფნის შემდეგ ორ თვეში გათხოვდა კიდეც... 39 წლის
იყო, ორჯერ იყო დანიშნული და ყველა საქმე ეშლებოდა...
კ. - ჯადო? აბა რას ამბობს?
ლ. - ექიმთან იყავი?
მ. - ნინა, როგორ ხარ?
ნ. - მაშინ იქნებ თვითონ გაარკვიო, რა გჭირს!
ო. - არ მინდა მასეთი რაღაცების დაჯერება... ან შენ როგორ გჯერა?
პ. - რა უცნაურია... იცი რას გეტყვი? მოდი, მკითხავთან წავიდეთ! გარდაბანში ერთი ქალი ყოფილა, საოცარ ამბებს ჰყვებიან, თურმე ჯადოებსაც ხსნის...
ჟ. - კარგი რა, რომელი საუკუნეა?!
რ. - არც მე მჯეროდა, მაგრამ ჩემმა თანამშრომელმა საოცარი ამბები მითხრა. თურმე ერთმა ახლობელმა ჯადო გაუკეთა... სულ ცუდად იყო და ვერაფერი გაუგეს. იმ ქალმა კი ყველაფერი უთხრა...

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17

ვისაუბროთ!

დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე მეგობარს მკითხავთან წასვლას ურჩევს. როგორ ფიქრობთ, მკითხავი დაეხმარება? თქვენ გსმენიათ მსგავსი ამბავი?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

ძველად ხევსურეთში ძალიან ბევრ ადამიანს რამდენიმე სახელი ჰქონდა: საკუთარი სახელი, ნათლობის სახელი, შერქმეული სახელი (თიკუნი) და სულის სახელი. საკუთარ სახელს ოჯახის წევრები, ძირითადად მშობლები ირჩევდნენ. სახელს ბავშვს დაბადებისთანავე არქმევდნენ. ნათლობის სახელის შერჩევა და დარქმევა ნათლიებს ან ხუცესს შეეძლოთ. თიკუნს კი ადამიანი უფრო მოზრდილობის ასაკში იძენდა. მეტსახელს მაშინ არქმევდნენ, როდესაც ადამიანი რაიმე განსაკუთრებულს გააკეთებდა ან განსაკუთრებული ფიზიკური თვისება აღმოაჩნდებოდა. სულის სახელის შერჩევა და დარქმევა კი მხოლოდ მესულთნეს შეეძლო. მესულთნე იყო ადამიანი, რომელსაც შეეძლო გარდაცვლილი ადამიანების სულებთან დაკავშირება. მესულთნე გარდაცვლილი ადამიანებისგან იგებდა, თუ რა სურდათ მათ, რა აწუხებდათ და რას ითხოვდნენ შთამომავლებისაგან. მესულთნე მხოლოდ ქალი შეიძლებოდა ყოფილიყო. მესულთნე ყველა ვერ გახდებოდა, მას განსაკუთრებული უნარები სჭირდებოდა და თემში ერთი თუ იქნებოდა. იმ შემთხვევაში, თუ თემში მესულთნე არ იყო, მეზობელ თემში წავიდოდნენ. მესულთნეს თანასოფლელები განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავდნენ. ასეთი იყო მაგალითად, როდესაც ჩვილი ბავშვი უმიზეზოდ ტიროდა. თუ ბავშვის ტირილის მიზეზს ვერ არკვევდნენ, მესულთნეს მიმართავდნენ. მესულთნე ცდილობდა გაერკვია, ბავშვს რომელი გარდაცვლილი წინაპრის სული აწუხებდა. თუ ბავშვი გოგონა იყო, მაშინ მესულთნე გარდაცვლილ ქალებს უკავშირდებოდა, თუ ვაჟი, მაშინ მამაკაცებს. როდესაც გაარკვევდა, ვისი სული აწუხებდა ბავშვს, მის სახელს არქმევნენ პატარას. ხევსურები ფიქრობდნენ, რომ მიცვალებულს მისი სახელის სააქაოში მოხსენიება დაამშვიდებდა და სიამოვნებას მიჰგვრიდა, ამიტომ ხშირი იყო სულის სახელის დარქმევა ხევსურეთსა და მეზობელ მხარეებში.

.

11. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია -

1. ხევსურეთში ადამიანს ყოველთვის ოთხი სახელი ჰქონდა
2. ეს ძველი ტრადიცია ხევსურეთში დღესაცაა შემონახული
3. მეტსახელი იგივეა, რაც თიკუნი, ეს სინონიმური სიტყვებია
4. მეტსახელს ადამიანს აუცილებლად არქმევდნენ
5. მესულთნე ყოველთვის ქალი იყო
6. მესულთნე გარდაცვლილ სულებს ელაპარაკებოდა და იგებდა მათ სურვილებს
7. მესულთნედ გახდომა ყველას შეეძლო
8. შთამომავლის საპირისპირო სიტყვა წინაპარია

9. თანასოფლელები არიან ადამიანები, რომლებიც ერთ სოფელში ცხოვრობენ
10. მესულთნეს შეეძლო აეხსნა, თუ რატომ ტირის ჩვილი ბავშვი
11. ბავშვს იმ ადამიანის სახელს არქმევდნენ, ვისი სულიც მას აწუხებდა
12. ზოგჯერ მესულთნე ვერ არკვევდა ბავშვის ტირილის მიზეზს
13. თუ ბავშვი ბიჭი იყო, მესულთნე გარდაცვლილ ქალს უკავშირდებოდა
14. ბავშვს გარდაცვლილის სახელს არქმევდნენ, რადგან სულს ესიამოვნებოდა

ვისაუბროთ!

რატომ მიდიოდნენ ხევსურები მესულთნესთან?
თქვენი აზრით, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც გარდაცვლილი ადამიანის სულთან კონტაქტი შეუძლიათ?
ხევსურების ძველ ტრადიციაში აღნიშნულია მიზეზი, თუ რატომ უკავშირდებოდნენ სულს. თქვენი აზრით, დღეს რას ჰკითხავდნენ ადამიანები სულს, რა დაინტერესებდათ?
როგორ ფიქრობთ, წინაპრების სახელების დარქმევა შეიძლება დავუკავშიროთ მსგავს ტრადიციას?

თემა 14

ქორწინების უნივერსალური ფორმები და მრავალფეროვნება

კითხვები გამოწვევისთვის

რა შემთხვევაში ქორწინდებიან ადამიანები?
როგორ აღინიშნება ტრადიციული ქორწილი?
რას ამბობს კანონი ქორწინების შესახებ?
გაიხსენეთ ნივთები და სიმბოლოები, რომლებიც ქორწილთანაა დაკავშირებული.
რატომ ფიქრობენ ადამიანები, რომ ქორწინება აუცილებელია?
რა ასაკში უნდა დაქორწინდეს ადამიანი?

ქორწინება

სქესობრივი ურთიერთობა და შთამომავლობის შექმნა ბიოლოგიურთან ერთად კულტურული ფენომენია. სხვადასხვა კულტურაში ამ ტიპის ურთიერთობებს განსხვავებული ტრადიციები, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები აქვს. ქორწინებაც ერთ-ერთი მათგანია. ქორწინება უნივერსალური მოვლენაა და პრაქტიკულად ყველა საზოგადოებაში ბევრი განსხვავებული ფორმით გვხვდება. ხშირ შემთხვევაში ქორწინებით სქესობრივი კავშირის ლეგიტიმაცია ხდება. ქორწინება შეიძლება იყოს შვილის გასაჩენად წყვილის შეთანხმება. ქორწინება შეიძლება ორ ან მეტ ადამიანს შორის. უზოგადესი განმარტებით, ქორწინება არის სოციალურად მისაღები სქესობრივი და ეკონომიკური კავშირი. დაქორწინებული ადამიანები საერთო ბავშვზე ან ბავშვებზე ერთად ზრუნავენ.

ტრადიციულად ქორწინების ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფენ. ესენია: მონოგამია, პოლიგამია, პოლიანდრია და ჯგუფური ქორწინება.

ქორწინების მონოგამიური ფორმა ყველაზე გავრცელებული და მიღებულია მსოფლიოს ხალხთა უმრავლესობაში. მონოგამიური ოჯახი ორი ადამიანის კავშირს წარმოადგენს. ქორწინების ეს ტიპი ფართოდ რომანტიზებული და გაიდეალებულია თანამედროვე საზოგადოების მიერ.

პოლიგამიის დროს ერთი მამაკაცი რამდენიმე ქალთან შედის საქორწინო ურთიერთობაში. ამ ტიპის ქორწინებები ძირითადად გავრცელებულია მდიდარ და შეძლებულ საზოგადოებებში. რამდენიმე ქალთან ერთდროულად ქორწინება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მამაკაცს ამისათვის სათანადო ქონებრივი რესურსი გააჩნია. პოლიანდრიული ქორწინება კი ერთ ქალსა და რამდენიმე კაცს შორის კავშირს წარმოადგენს. ქორწინების ეს ფორმა ყველაზე ნაკლებად გავრცელებულია და სულ რამდენიმე საზოგადოების მაგალითზე შეიძლება საუბარი. ამ ტიპის ქორწინებები ძირითადად შეზღუდული რესურსების მქონე საზოგადოებებში გვხვდება. ერთი ქალის ქმრები ხშირად ძმები არიან ხოლმე.

ჯგუფური ქორწინება ერთი შეხედვით პოლიგამიასა და პოლიანდრიას უნდა ნიშნავდეს ერთად, მაგრამ ეს ასე არაა. ჯგუფური ქორწინების დროს, გათხოვილი ქალის ქმარი ირთავს ცოლს, რომლის დაც მისი ძმის საცოლედ ითვლება.

1. ტექსტის შინაარსის მიხედვით მონიშნეთ სწორია + / არასწორია

1. ჩვეულებრივ, ქორწინების ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფენ
2. დაქორწინებულები საერთო ბავშვზე ან ბავშვებზე ერთად ზრუნავენ
3. ჯგუფური ქორწინება იმასვე ნიშნავს, რასაც პოლიგამია და პოლიანდრია
4. ქორწინება კულტურული ფენომენის ერთ-ერთი ფორმაა
5. ქორწინების შესახებ ყველა კულტურაში ერთნაირი ტრადიცია და წესებია
6. ქორწინება უნივერსალური მოვლენაა და თითქმის ყველა კულტურაში გვხვდება
7. ქორწინება შეიძლება ორ ან მეტ ადამიანს შორის
8. თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინების მონოგამიური ფორმაა ყველაზე გავრცელებული
9. პოლიგამია ძირითადად გავრცელებულია მდიდარ და შეძლებულ საზოგადოებებში
10. პოლიანდრიული ქორწინებები საკმაოდ გავრცელებულია

2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

1. ტრადიციულად ქორწინების რომელ ტიპებს გამოყოფენ?
2. ყველა მეტად რომელი ტიპის ქორწინებაა მიღებული და გავრცელებული?
3. რა შემთხვევაშია დასაშვები პოლიგამია?
4. რომელი ტიპის ქორწინებაა ყველაზე იშვიათი?
5. რას ნიშნავს ჯგუფური ქორწინება?
6. რა იწვევს სხვადასხვა საქორწინო ტრადიციის არსებობას?

3. დააკავშირეთ:

1. პოლიგამიის დროს	ა. ორი ადამიანის კავშირს წარმოადგენს
2. ჯგუფური ქორწინების დროს	ბ. ერთ ქალსა და რამდენიმე კაცს შორის კავშირს წარმოადგენს.
3. მონოგამიური ოჯახი	გ. ერთი მამაკაცი რამდენიმე ქალთან შედის საქორწინო ურთიერთობაში.
4. პოლიანდრიული ქორწინება	დ. გათხოვილი ქალის ქმარი ირთავს ცოლს, რომლის დაც მისი ძმის საცოლედ ითვლება

4. დააკავშირეთ სიტყვები:

1. შეზღუდული	ა. შემთხვევაში
2. კულტურული	ბ. საზოგადოება
3. შვილის	გ. ტიპი
4. საქორწინო	დ. მოვლენა
5. ხშირ	ე. რესურსები
6. უნივერსალური	ვ. ურთიერთობები
7. თანამედროვე	ზ. ფენომენი
8. ქორწინების	თ. გაჩენა

1	2	3	4	5	6	7	8

5. დააკავშირეთ სიტყვები შესაბამის განმარტებასთან:

1. შთამომავლობა	ა. საყოველთაო, ყოველმხრივი
2. ფენომენი	ბ. შეუღლება, კანონიერი წესით დამტკიცება
3. რიტუალი	გ. თანხმობის მიღწევა, ერთ აზრზე დადგომა
4. უნივერსალური	დ. წარმოშობა/ნათესაობა
5. ლეგიტიმაცია	ე. ორი, ქალ-ვაჟი
6. წყვილი	ვ. დაკანონება
7. შეთანხმება	ზ. წეს-ჩვეულებები
8. რესურსი	თ. რაც შეზღუდეს/შეიზღუდა, შევიწროებული
9. შეზღუდული	ი. მარაგი, შემოსავლის წყარო, შესაძლებლობა
10. ქორწინება	კ. მოვლენა

1	2	3	4	5	6	7	8	9	10

6. დააკვირდით ფოტოებს და დაასათაურეთ ან ფოტოს მიხედვით მოიფიქრეთ ამბავი:

--- ---

--- ---

7. შეარჩიეთ ხაზგასმულის მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა:

1. გათხოვილი ქალის ქმარი ირთავს ცოლს, რომლის დაც მისი ძმის საცოლედ ითვლება.
   ა) ათვალიერებს; ბ) მიიჩნევა; გ) ამჩნევს
2. ამ ტიპის ქორწინებები შეზღუდული რესურსების მქონე საზოგადოებებში გვხვდება.
   ა) სახის; ბ) სფეროს; გ) სხვისი
3. ასეთი ქორწინებები გავრცელებულია მდიდარ და შეძლებულ საზოგადოებებში.
   ა) იშვიათია; ბ) ხანდახან; გ) ხშირია
4. რამდენიმე ქალთან ერთდროულად ქორწინება დასაშვებია, თუ კაცი შეძლებულია.
   ა) შესაძლებელია; ბ) შეუძლებელია; გ) შეძლებულია
5. სათანადო რესურსის გარეშე ქორწინება შეუძლებელია.
   ა) თანამედროვე; ბ) თადარიგი; გ) შესაბამისი
6. ასეთი ქორწინებები ძირითადად გავრცელებულია მდიდარ საზოგადოებებში.
   ა) უპირატესად; ბ) უპირველესად; გ) იშვიათად
7. დაქორწინებული ადამიანები საერთო ბავშვზე ან ბავშვებზე ერთად ზრუნავენ.
   ა) აჭმევენ; ბ) ასეირნებენ; გ) უვლიან
8. ქორწინება შეიძლება იყოს შვილის გასაჩენად წყვილის შეთანხმება.
   ა) მორიგება; ბ) მორიგეობა; გ) შეხვედრა
9. რამდენიმე ქალთან ერთდროულად ქორწინება დასაშვებია, თუ კაცს სათანადო ქონებრივი რესურსი გააჩნია.
   ა) ამჩნევს; ბ) ხედავს; გ) აქვს
10. ქორწინება უნივერსალური მოვლენაა და თითქმის ყველა საზოგადოებაში გვხვდება.
    ა) საყოველთაო; ბ) ყველგან; გ) ყოველთვის
11. ქორწინების ეს ფორმა ყველაზე ნაკლებადაა გავრცელებული
    ა) სახეობა; ბ) მრგვალი გ) სახელი
12. სხვადასხვა კულტურაში საქორწილო ურთიერთობებს განსხვავებული ტრადიცია აქვს
    ა) ტრაგედია; ბ) წესი; გ) წოდება

ვისაუბროთ!

გაიხსენეთ ფილმი ან ნაწარმოები, რომელიც ქორწინებას ეხება და გადმოეცით მოკლე შინაარსი.
გაიხსენეთ, ბოლოს როდის იყავით ქორწილში და რა დაგამახსოვრდათ.
როგორ ფიქრობთ, რატომაა აუცილებელი სუფრის გაშლა ქორწილის დროს?

8. ჩასვით ფრჩხილებში მოცემული სიტყვები საჭირო ფორმით:

1. სხვადასხვა კულტურაში ამ ტიპის ---------- (ურთიერთობები) განსხვავებული ტრადიციები, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები აქვს.
2. ქორწინება შეიძლება იყოს ---------- (შვილი) გასაჩენად ---------- (წყვილი) შეთანხმება.
3. ხშირ ---------- (შემთხვევა) ქორწინებით სქესობრივი ---------- (კავშირი) ლეგიტიმაცია ხდება.
4. დაქორწინებულები საერთო ---------- (ბავშვები) ერთად ზრუნავენ.
5. პოლიანდრიული ქორწინება ერთ ---------- (ქალი) და რამდენიმე კაცს შორის ---------- (კავშირი) წარმოადგენს.
6. პოლიანდრიული ---------- (ქორწინება) შესახებ რამდენიმე ---------- (საზოგადოება) მაგალითზე შეიძლება საუბარი.
7. რამდენიმე ---------- (ქალი) ერთდროულად ქორწინება დასაშვებია, თუ ---------- (კაცი) სათანადო ქონებრივი რესურსი გააჩნია.
8. პოლიანდრია ძირითადად შეზღუდული ---------- (რესურსები) მქონე ---------- (საზოგადოებები) გვხვდება.

სინონიმი	სიტყვა	ანტონიმი
	მიღებული	მიუღებელი
ხშირი	გავრცელებული	იშვიათი
უმეტესობა	უმრავლესობა	უმცირესობა
	ფართო	ვიწრო
შეძლებული	მდიდარი	ღარიბი
გათხოვილი/ცოლიანი	დაქორწინებული	დაუქორწინებელი
	ნაკლებად	მეტად
შესაბამისი	სათანადო	არასათანადო
მარაგი	რესურსი	
ითვლება	მიიჩნევა	

9. დავალება: სინონიმებისა და ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ მინიდიალოგი.

დააკვირდით! ერთი ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები:

I. ქორწილი, დაქორწინება, საქორწინო, დაქორწინებული, ქორწინდება....
II. კავშირი, დაკავშირება, დაკავშირებული, აკავშირებს...
III. ერთი, ერთად, საერთო, აერთიანებს...

10. სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ცხრილში მოცემული სიტყვები და ჩასვით წინადადებებში საჭირო ადგილას:

I. 1. ---------- ადამიანები ერთად ზრუნავენ შვილებზე.

2. შეყვარებულმა წყვილმა ---------- გადაწყვიტა.

3. ჩვენი მეგობარი ძალიან წარმატებულ ადამიანზე ---------- .

4. ახალდაქორწინებული წყვილი ---------- მოგზაურობაში წავიდა.

5. მშობლებმა შვილს უზარმაზარი ---------- გადაუხადეს.

II. 1. ქორწინება წესებსა და ტრადიციებთან არის ---------- .

2. ტექნოლოგიები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილს ერთმანეთთან ---------- .

3. ოჯახი ორი ადამიანის ---------- წარმოადგენს.

4. ყველა უცნაური წესის ქორწილთან ---------- შეუძლებელია.

III. 1. ადამიანებს ყოველთვის ---------- ინტერესები არ აქვთ.

2. მშობლები ---------- ზრუნავენ შვილებზე.

3. ტრადიციები ადამიანებს ---------- .

4. ამ წყვილს მხოლოდ ---------- შვილი ჰყავს.

წაიკითხეთ დიალოგი!

დიალოგში მოვლენები არეულია, დაალაგეთ სწორი თანამიმდევრობით, შემდეგ კი როლური თამაშის სახით წარმოადგინეთ მეწყვილესთან ერთად. დიალოგი დაასათაურეთ!

ა. - კი, სკაიპით გაიცნეს ერთმანეთი 6 თვის წინ!

ბ. - არა მიშავს, შენ?

გ. - ძალიან ლამაზი და კომუნიკაბელური გოგოა, თავბრუ დაახვია! მაგრამ ყველას გვეშინია რამდენ ხანს გასტანს ეს ქორწინება! მამამისი არ ელაპარაკება, დედაც ნაწყენია, მაგრამ ქორწილში მაინც მოვა.

დ. - რატომ? მად რა არის სანერვიულო! არ იცი რა ჩაიცვა?

ე. - ეგ უფრო საინტერესოა... სიძისათვის მერამდენე ქორწინებაა?

ვ. - მე კი ვიცი რა ჩავიცვა, მაგრამ ნეტა მესამედ რომ თხოვდება პატარძალი, ის რას ჩაიცვამს!

ზ. - პირველი...

თ. - უი, უცხოელია სიძე?

ი. - როგორ ხარ, ჩემო კარგო?

კ. - ჩვენებისგან არ მიკვირს, ხანდახან ერთი კვირის გაცნობილი მოჰყავთ ცოლად, მაგრამ უცხოელები ასე უცებ არ იღებენ ხოლმე გადაწყვეტილებას!

ლ. - ცოტა ვღელავ.... ამ შაბათს დეიდაშვილის ქორწილში მივდივარ!

მ. - მესამე და სამართალი. სად უნდა იცხოვრონ?

ნ. - რა თქმა უნდა! ასეთ დროს ოჯახის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია!

ო. - ისე ამბობენ ერთხელ გათხოვება ჭირს, თორემ მერე მარტივი ყოფილა გათხოვებაც და გაყრაც.

პ. - ცოტა ხანი აქ დარჩებიან, ბინას იქირავებენ.

ჟ. - ჩვენი ოჯახისათვის ძალიან უსიამოვნოა, მაგრამ ქორწილს ხომ არ ჩავუშლით, ამიტომ მივდივართ!

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

ვისაუბროთ!

დიალოგის ერთ-ერთი მონაწილე დეიდაშვილის ქორწილის გამო ნერვიულობს. გსმენიათ მსგავსი შემთხვევის შესახებ? თქვენ როგორ მოიქცეოდით?

ყურადღებით მოისმინეთ ტექსტი და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალება

ევანს პრიჩარდმა 1951 წელს სუდანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ნუერის ტომში ფიქტიური ქორწინების ერთი ძალიან საინტერესო ფორმა, მოჩვენებითი ქორწინება - გარდაცვლილის სულზე ქორწინება - აღწერა. გარდაცვლილის სულზე ქორწინება მაშინ ხდებოდა, როდესაც ახალგაზრდა კაცი უმემკვიდროდ კვდებოდა. თუ მამაკაცი სიცოცხლეში ვერ მოასწრებდა დაქორწინებას, ამის გაკეთება სიკვდილის შემდგომაც შეეძლო. გარდაცვლილის სულზე ქორწინება იყო ლეგალური საშუალება, გარდაცვლილს ამ ქვეყნად მემკვიდრეობა დაეტოვებინა. ასეთ დროს საქორწინო რიტუალი და ტრადიციები ჩვეულებრივ სრულდებოდა, გარდაცვლილის როლს კი სხვა მამაკაცი ასრულებდა - ძმა ან ახლო ნათესავი გარდაცვლილის სახელით ქორწინდებოდა ქალზე. ქორწინებაში ჩართული მამაკაცი საპატარძლოს ოჯახს საჩუქრებსა და საქონელს ჩუქნიდა, როგორც ამას სიცოცხლეში გარდაცვლილი გააკეთებდა. შვილები, რომელიც ქალს ეყოლებოდა, გარდაცვლილის შვილებად ითვლებოდნენ. მამაკაცს, რომელიც გარდაცვლილის მოვალეობას ასრულებდა, საკუთარი შვილები ამ ქალისგან ვერ ეყოლებოდა. მას შეეძლო ჰყოლოდა მემკვიდრე, მაგრამ სხვა ქორწინებაში. ზოგჯერ მამაკაცი ისე გარდაიცვლებოდა, რომ ,,საკუთარი" მემკვიდრე არ ჰყავდა. ასეთ შემთხვევაში მის ნაცვლად ახლა მისი ძმის შვილი ან სხვა ახალგაზრდა შევიდოდა მსგავს ქორწინებაში.

გარდაცვლილის სულზე მოჩვენებითი ქორწინება უშვილოდ დარჩენილი მამაკაცის სულზე თავისებური ზრუნვა იყო. ასეთი ქორწინებით გვარდებოდა ქონებისა და მემკვიდრეობის საკითხიც. ტრადიციის მიხედვით, გარდაცვლილი მამაკაცი არამხოლოდ შვილების ნამდვილი მამა იყო, არამედ ქონებასაც იგი ფლობდა. როდესაც მამაკაცი უმემკვიდროდ კვდებოდა, მისი ქონება ავტომატურად არ გადადიოდა ოჯახის საკუთრებაში. მისი ქონება - ძირითადად პირუტყვი, მისი სულის საკუთრებად რჩებოდა და ხელშეუხებელი იყო. მისი საქონელით არ შეიძლებოდა ოჯახის ვალის დაფარვა. ამ საქონლის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ გარკვეული მიზნით, მაგალითად, საქორწინო საჩუქრად ან ბავშვის სახელზე შესაწირად.

11. ტექსტს შეურჩიეთ სათაური!

12. დავალება: მოსმენილის მიხედვით მონიშნეთ სწორია +/არასწორია -

1. გარდაცვლილის სულზე დაქორწინების ფაქტი 1951 წელს აღწერეს
2. გარდაცვლილის სულზე დაქორწინება სუდანის ტერიტორიაზე დაფიქსირდა
3. გარდაცვლილის სულზე კაცები ქორწინდებიან
4. გარდაცვლილის სულზე დაქორწინება ქონებრივ საკითხებს აწესრიგებდა
5. ქალსაც და კაცსაც სიკვდილის შემდეგ შეეძლო დაქორწინება
6. თუ მამაკაცი მოკვდებოდა, მისი ქონება ოჯახის საკუთრება იყო
7. ქორწინებაში ჩართული მამაკაცი საპატარძლოს ოჯახს საჩუქრებსა და საქონელს ჩუქნიდა
8. ტრადიციის მიხედვით, გარდაცვლილი მამაკაცი შვილების ნამდვილი მამა იყო
9. გარდაცვლილი მამაკაცის ქონებით შეიძლებოდა ოჯახის ვალის დაფარვა

10. მამაკაცს, რომელიც გარდაცვლილის მოვალეობას ასრულებდა, შეეძლო საკუთარი შვილები ამავე ქალისგან ჰყოლოდა
11. გარდაცვლილის სულზე ქორწინება იყო კანონიერი საშუალება, გარდაცვლილს ამ ქვეყნად მემკვიდრეები ჰყოლოდა
12. გარდაცვლილის სულზე ქორწინება სურვილის შემთხვევაში ყველა ახალგაზრდა კაცს შეეძლო
13. ნუერის ტომში გარდაცვლილი კაცის ქონება- პირუტყვი მისი სულის საკუთრებად რჩებოდა
14. გარდაცვლილის სულზე ქორწინება მოჩვენებითი, ფიქტიური ქორწინებაა

ვისაუბროთ!

როგორ წარმოგიდგენიათ იდეალური ქორწილი?
წარმოიდგინეთ, რომ თქვენი უახლოესი მეგობარი თხოვდება / ცოლი მოჰყავს... დაეხმარეთ ქორწილის ორგანიზებაში. რას გააკეთებდით და როგორ?
რას აჩუქებთ ახლობელს ქორწილში?

პასუხები:

თემა 1 - მრავალფეროვნების არსი

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
-	+	+	-	+	+	+	-	+	-	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ვ	ე	ლ	თ	ზ	ა	კ	დ	მ	ზ	გ	ი

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ზ	ე	კ	ნ	ზ	ლ	ა	ვ	პ	გ	თ	ო	დ	მ	ი

დავალება #7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ზ	გ	ა	ზ	გ	ა	ა	ა	ზ	გ	ზ	ა

დავალება#8

1. მულტიკულტურალიზმს; 2. სახეს, გავლენას, ქცევაზე; 3. კულტურაზე, ენას, ქცევის; 4. ადამიანის, აფასებს/შეაფასებს; 5. საზოგადოებაში, დამოკიდებულების, ჩაითვალოს; 6. საზოგადოებისთვის, მრავალფეროვნების, თანაცხოვრებისათვის; 7. მსოფლიოს, პათოსით; 8. განვითარების, გლობალიზაციის, შენარჩუნებაზე/თვის.

დავალება#10

I. 1. გავლენას ახდენს; 2. გავლენიანი; 3. გავლენას;

II. 1. ინარჩუნებს; 2. შენარჩუნება; 3. შენარჩუნებული;

III. 1. დამოკიდებულია; 2. დამოკიდებულება; 3. დამოუკიდებელი

დავალება #11

1	2	3	4	5
ზ	გ	გ	ზ	გ

დავალება #12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
-	-	+	-	+	+	+	-	+	+	-	+	+	-	+	+

თემა 2 - მოქალაქე და საზოგადოება

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
+	-	-	+	+	+	-	+	+	+	+	-

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
ზ	დ	მ	ბ	ლ	კ	ა	თ	ნ	ვ	ე	გ	ი

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ვ	ე	გ	მ	ბ	ა	ო	კ	ნ	თ	პ	დ	ი	ზ	ლ

დავალება #7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ა	ბ	გ	ბ	ა

დავალება#8

1. სახელმწიფოში, სტატუსს, თავისუფლებებს; 2. მოქალაქის, მკაფიოდ, კონვენცია, განსაზღვრავს; 3. ცოდნას, საზოგადოების; 4. სახელმწიფოს, მონაწილეობის, ცოდნას; 5. ფორმები, ზრუნავდეს, ქვეყნის, გაუმჯობესებაზე; 6. ადამიანს, ქვეყანაში, ცვლილებების; 7. სისწორეში, მიზნის, ძალადობას; 8. თანამოქალაქეების, რადიკალურად.

დავალება#10

I. 1. გასარკვევი; 2. გარკვეულ; 3. არკვევს;

II. 1. საცნობლად; 2. ცნობა; 3. იცნობს;

III. 1. დაუმორჩილებლობა; 2. ემორჩილება; 3. დამორჩილება.

დავალება #11

1	2	3	4	5
ბ	ბ	გ	გ	გ

დავალება #12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
+	-	+	-	+	+	+	+	+	+	-	-	+	-	+

თემა 3 - ადამიანის უფლებები და თავისუფლებები

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
-	+	+	+	+	-	+	+	+	-	+	+	-	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ე	ზ	ი	ლ	ა	კ	ბ	მ	გ	ვ	დ	თ

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ე	ი	კ	ზ	ა	ნ	დ	რ	ბ	გ	პ	ჟ	ვ	ო	ლ	მ	თ

დავალება #7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ბ	ა	ბ	ა	ა	გ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ბ	გ

დავალება#8

1. თაობის, სახელმწიფოს, გზებით; 2. უფლებებს, არჩევნებში, კანონის, წამება; 3. ადამიანს, ღირსების, განვითარდეს, განვითარებისათვის; 4. მთავრობებს, მოქალაქეების, შეძლებს; 5. ბრძოლად, გარემოს, მიზნად; 6. ერთმანეთის, სულისკვეთებით; 7. ადამიანს, განსხვავებისა; 8. ბრძოლის, ღირსების, წესად.

დავალება#10

I. 1. უგვირგვინო, 2. აგვირგვინებს, 3. გვირგვინი;

II. 1. შეზღუდვას, 2. შეზღუდული, 3. შეუზღუდავი, 4. ზღუდავს;

III. 1. აღიარებას, 2. აღიარებს, 3. აღიარებული.

დავალება #11

1	2	3	4	5	6
ბ	ბ	ა	ბ	გ	ბ

დავალება #12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
+	+	-	+	-	-	+	-	+	-	-	+	+	-	+	+	+

თემა 4 - ლიბერალიზმი და თანამედროვე სამყარო

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
+	-	+	+	+	-	+	-	+	+	-	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
თ	ვ	ლ	ი	კ	ბ	მ	ა	დ	ე	გ	ზ

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ვ	ი	ზ	მ	ნ	ა	გ	ლ	ბ	ო	თ	დ	ე	კ

დავალება #7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
გ	ბ	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	ა	ბ	გ

დავალება#8

1. იდეოლოგიის, სახელმწიფოს, ფუნდამენტურ;
2. ფაქტორად, მოძღვრების;
3. ლიბერალიზმის, მოქალაქეების, ცხოვრებაში;
4. თანასწორობაზე, შედეგებზე, პიროვნების;
5. ეტაპზე;
6. მიმართულებით, ბანაკში;
7. პლატფორმას, იზიარებს, კონტურების;
8. ლიბერალიზმის, პოზიციას, მიზნებს.

დავალება#10

I. აერთიანებს, გაერთიანება, გააერთიანა;

II. უხეშობა, უხეშად, უხეში;

III. გაზიარებული, უზიარებს, გაზიარება.

დავალება #11

1	2	3	4	5
ბ	გ	ბ	ბ	გ

დავალება #12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
+	+	-	+	-	-	+	+	-	+	+	-	+	+	+

თემა 5 - განათლების სისტემის წარმატებული მაგალითი

დავალება #1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
+	-	-	+	-	-	+	-	-	+

დავალება # 4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ე	ი	თ	ბ	ა	კ	ლ	გ	მ	ვ	ზ	დ

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	გ	ბ	ა	ბ	ა	გ	ა	ბ	ბ	გ	გ

დავალება #7

1. იაპონური; 2. იაპონელი; 3. იაპონიის; 4. იაპონელი; 5. იაპონური; 6. იაპონური; 7. იაპონიის; 8. იაპონიის

დავალება #11

I. 1. უსამართლო, 2. სამართლიანობა; 3. სამართალია, 4. სამართლიანი, 5. უსამართლობა.

II. 1. დაულაგებელი, 2. დამლაგებელს, 3. ალაგებს, 4. დალაგებულია, 5. დალაგება.

III. 1. შეუჩვეველი, 2. აჩვევს, 3. შეჩვეული, 4. ეჩვევა, 5. შეჩვევა.

დავალება #12

1	2	3	4	5
ა	ა	გ	გ	ა

დავალება #13

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	-	+	+	-	+	+	-	+	+	-	+	+	+

თემა 6 - რასიზმი და აპარტეიდი

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
+	+	-	+	+	+	-	+	+	-	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ვ	ა	ი	თ	ბ	კ	ე	დ	ზ

დავალება#5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ვ	კ	ლ	ზ	თ	ა	დ	ე	მ	ბ	გ	ი

დავალება#7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ა	გ	ა	ბ	ა	ბ	ა	ბ	ბ	გ	ბ

დავალება#8

1- ბრძოლის; 2- მასწავლებლებმა; 3 -აფრიკის, ბელადის; 4 - ფერის, დაწინაურების; 5 - პატიმრად; 6- თეთრკანიანებთან, ტრანსპორტით; 7- ცხოვრების, უპირატესობით; 8- აფრიკაში, პარტიამ

დავალება#9

1- აფრიკულს; 2- აფრიკა; 3- აფრიკელმა; 4- ჰოლანდიური; 5- ჰოლანდიის; 6- ჰოლანდიელ

დავალება #10

1	2	3	4	5
ბ	ბ	ა	გ	ა

დავალება#11

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	-	-	+	+	-	+	+	-	+	+	+	-	+

თემა 7 - ჰოლოკოსტი და კოლექტიური პასუხისმგებლობა

დავალება #1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	+	-	+	-	-	+	+	-	+	+	+	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ი	დ	ვ	ზ	თ	გ	კ	ე	ა	ზ

დავალება#5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ე	ბ	მ	ა	ლ	ნ	კ	რ	თ	ვ	გ	ზ	ჟ	პ	ო	ი

დავალება#7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ა	ა	გ	ბ	ბ	გ	ა	ბ	ა	ბ	ა

დავალება#8

1- რეჟიმმა; 2- იდეოლოგიამ, ხალხის; 3- ბოშების; 4- შიმშილით; 5-ბანაკებში; 6-ბანაკის, ტერიტორიაზე; 7- ადამიანებზე, ექსპერიმენტებს; 8- პირობებმა, მსხვერპლის; 9- ჯარებმა, ბანაკებიდან;10-დღედ

დავალება #10

I. 1-დაწვა, 2-დამწვარი, 3-წვავს

II. 1-გაანადგურეს, 2-განადგურებული, 3-განადგურება

III. 1-მკვლელობა, 2-კლავს, 3-მკვლელი

დავალება#11

1	2	3	4	5
გ	ბ	ა	გ	ბ

დავალება #12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	+	-	-	-	-	+	+	+	+	-	+	+	-

თემა 8 - უცნობი და ნაცნობი ჩინური კულტურა

დავალება#

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
-	+	-	+	-	+	-	+	+	-	+	-	+	+

დავალება #4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ე	ი	ზ	ვ	ა	დ	გ	კ	ბ	თ

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
დ	ვ	ნ	ა	კ	ბ	მ	ო	ე	ი	თ	ზ	გ	ლ

დავალება#6

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ა	ა	ბ	ა	ბ	ბ

დავალება #9

1. კედელთან, ტერაკოტის; 2. იეროგლიფებით; 3. მსოფლიოში, ტრანსპორტს;
4. ქალბატონის, სტატუსზე; 5. ცხოვრების; 6. მოსახლეობით, კულტურით;
7. სახელმწიფოდ; 8. დიალექტსა, ნაირსახეობაზე

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
ზ	ი	გ	ლ	ე	ვ	ა	თ	ბ	კ	დ	მ	ნ	რ	პ	ჟ	ო

დავალება #11

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	+	-	+	-	+	+	-	+	-	-	+	+	-

თემა 9 - უძველესი კულტურის კვალი ირანში და თანამედროვე გამოწვევები

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
+	+	-	+	-	+	-	+	+	-	-	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8
დ	ვ	ზ	ა	თ	ბ	გ	ე

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ა	ზ	ვ	კ	ე	გ	ბ	მ	ლ	დ	ი	თ	ო	ნ

დავალება #7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ა	ბ	გ	გ	ა	ა	ბ	ბ	ა	ა	ბ	ა

დავალება#8

1. წარსულიდან, ცივილიზაციებთან, თანაცხოვრების; 2. ციხეებში, ირანის; 3. სატანის, მსახურად, მტრად; 4. ქალებისთვის, ჩადრის; 5. დაპირისპირებას, ქვეყნებთან; 6. ირანთან; 7. უნივერსიტეტებში, ქალების; 8. ფორმით, კუთხეში

დავალება#10

I. 1- მონაწილეობს; 2- მონაწილეობა; 3-მონაწილე;

II. 1- ჩამოყალიბებული; 2- ჩამოყალიბება; 3-აყალიბებს;

III. 1- აკრძალულია; 2-კრძალავს; 3 -აკრძალვა.

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
დ	ბ	კ	ა	ე	თ	ი	ვ	ზ	გ	ლ	პ	ნ	ჟ	მ	ო	რ

დავალება #13

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
+	-	-	+	+	-	+	+	+	+	+	-	+	-	+	-

თემა 10 - ინდური კულტურა და ეკოსისტემა

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
+	+	-	+	+	-	+	-	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
დ	ე	ა	გ	ბ	მ	ი	ვ	ზ	ნ	ო	თ	კ	ლ

დავალება#5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
გ	ა	გ	ბ	ა	ა	გ	ა	ბ	ა	ა	ა	გ	ბ

დავალება#8

1- ჩინურ; 2- ინდოეთში; 3 - ჩინეთი; 4 - ქართული; 5- გერმანული; 6 -დანიური; 7 - ამერიკელი; 8 - ბრიტანელი

დავალება #11

I. 1- დამუშავებული, 2- დასამუშავებელი, 3 - დამუშავება

II. 1 - დაკვლა, 2- დასაკლავი, 3 - დაკლული

III. 1- შენარჩუნებულია, 2- შენარჩუნება, 3 - შესანარჩუნებელი

IV. 1- გადასაჭრელი, 2- გადაჭრა, 3 - გადაჭრილი

V. 1- შესრულება, 2 - შესასრულებელი, 3 - შესრულებული

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ე	ლ	ბ	დ	ა	გ	ნ	ვ	თ	კ	მ	ო	ზ	ი

დავალება#13

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	+	-	-	+	+	+	-	-	+	-	+	+	+

თემა 11 - სახალხო დღესასწაულების კულტურა ესპანეთში

დავალება #1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
-	+	+	-	-	-	+	+	+	+	-	+	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დ	თ	ე	ა	გ	კ	ი	ბ	ზ	ვ

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ზ	ე	მ	ვ	ბ	დ	ა	ნ	ო	ლ	კ	გ	თ	ი

დავალება#6

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ა	გ	ა	ბ	ა	გ	ა	ა	ბ	გ	ა

დავალება #8

1-ესპანეთის; 2 - კულტურისა; 3 – ქრისტიანობასთან, კულტურის, ქალაქებში; 4- მნახველისთვის, ჰარმონიას; 5- ჟესტებით; 6 - წლის, ოთხშაბათს; 7- პომიდვრებით; 8 - ფერმერების, მოედანზე; 9 - ტრაილერზე; 10- ერთმანეთს, პომიდვრებს

დავალება #10

1- ქრისტიანობასთან; 2- ქალაქებში; 3- მსოფლიოში; 4- წლიდან; 5- მოედანზე; 6- ტომატინოსთვის

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ე	ზ	გ	კ	ა	ვ	ბ	თ	მ	დ	პ	ი	ნ	ჟ	ლ	ო

დავალება #11

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	-	-	+	-	+	+	+	+	+	-	+	-	+

თემა 12 -კულტურათა ურთიერთგავლენა

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
-	+	+	+	+	+	-	-	-	+	+	+	+	+

დავალება#4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
თ	ვ	ზ	ი	ლ	ბ	გ	ა	დ	ნ	ე	ო	კ	მ

დავალება#5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ე	ზ	კ	მ	ა	ი	ბ	ლ	ვ	გ	თ	დ

დავალება #6

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ა	ა	ბ	ა	ა	გ	ბ	გ	ა	ბ	გ

დავალება#7

1-ტრანსფორმაციის; 2-ფორმით; 3 - პორტლაჩისთვის, ქონების, საჩუქრების; 4-ავტორიტეტს; 5 - მეტოქეების; 6-კასრებიდან, ნაჭრებს; 7 - დაავადების; 8 - ევროპელებთან; 9 - ყურადღების, მოსახლეობის; 10 - უპირატესობისა, პრესტიჟისათვის

დავალება#10

1- შეამცირა; 2 -შემცირება; 3 - შემცირებული; 4 - ამცირებს; 5 - დამცირება;
6 - დამცირებული.

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ზ	ვ	გ	თ	ე	ბ	ა	მ	ი	კ	ო	დ	ნ	ლ

დავალება#12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	-	+	+	-	-	+	+	+	-	+	-	+	+

თემა 13 - რელიგიური პრაქტიკის მრავალფეროვნება

დავალება#1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
+	-	+	+	+	+	-	-	-	+	-	+

დავალება#3

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ვ	თ	ე	ი	გ	ა	კ	ბ	დ	ზ

დავალება# 4

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ე	მ	გ	ი	ა	კ	ბ	ლ	დ	ვ	თ	ზ	ო	ნ

დავალება#6

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ბ	ა	ბ	ა	ბ	ა	ა	ა	ა	ბ	გ	ბ	გ	ბ	ა	ბ	გ	ა	ბ	ა

დავალება#9

1- საწამლავზე; 2 - მეომრებს; 3 - ღვთაებებზე; 4 - გველის; 5 - სიკვდილის; 6 - შუბლზე; 7- კალმის; 8 - რჩეულებს

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
მ	ა	გ	ზ	ლ	ვ	დ	თ	პ	კ	ე	ბ	რ	ო	ი	ჟ	ნ

დავალება#12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
-	-	+	-	+	+	-	+	+	+	+	-	-	+

თემა 14 - ქორწინების უნივერსალური ფორმები და მრავალფეროვნება

დავალება # 1

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
+	+	-	+	-	+	+	+	+	-

დავალება #3

1- გ, 2- დ, 3 -ა, 4 - ბ

დავალება #4

1	2	3	4	5	6	7	8
ე	ზ	თ	ვ	ა	დ	ბ	გ

დავალება #5

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
დ	კ	ზ	ა	ვ	ე	გ	ი	თ	ბ

დავალება #7

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბ	ა	გ	ა	გ	ა	გ	ა	გ	ა	ა	ბ

დავალება #8

1. ურთიერთობებს; 2. შვილის, წყვილის; 3. შემთხვევაში, კავშირის; 4. ბავშვებზე; 5. ქალსა, კავშირს; 6. ქორწინების, საზოგადოების; 7. ქალზე/ქალთან, კაცს; 8. რესურსების, საზოგადოებებში

დავალება #10

I. 1- დაქორწინებული, 2 - დაქორწინება, 3 - ქორწინდება, 4 -საქორწინო, 5- ქორწილი

II. 1- დაკავშირებული, 2- აკავშირებს, 3- კავშირს, 4 - დაკავშირება

III. 1- საერთო, 2- ერთად, 3 - აერთიანებს, 4 - ერთი

დიალოგი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ი	ბ	ლ	დ	ვ	ე	ზ	თ	ა	კ	გ	მ	პ	ო	ჟ	ნ

დავალება #12

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
+	+	-	+	-	-	+	+	-	-	+	-	+	+

დამატებითი საკითხავი ტექსტები

დეკლარაცია

კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ

ნაწყვეტი დეკლარაციიდან

I. მიზნები და სახელმძღვანელო პრინციპები

მუხლი 1. მიზნები

წინამდებარე კონვენციის მიზნებია:

(ა) კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა;

(ბ) კულტურების აყვავებისა და თავისუფალი ურთიერთქმედების პირობების შექმნა ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე;

(გ) კულტურათაშორისო დიალოგის ხელშეწყობა უფრო ფართო და დაბალანსებული კულტურული თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის, მსოფლიოში კულტურათაშორისი პატივისცემის და მშვიდობის კულტურის განვითარების თვალსაზრისით;

(დ) კულტურათა ურთიერთკავშირის ხელშეწყობა ხალხთა ურთიერთკავშირის მიზნით, კულტურული ურთიერთქმედების განვითარების თვალსაზრისით;

(ე) კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების პატივისცემის პროპაგანდა და მისი ღირებულების გაცნობიერების გაღრმავება ადგილობრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე;

(ვ) ყველა ქვეყნისათვის განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის კულტურასა და განვითარებას შორის კავშირის აღიარება, და ამ კავშირის ჭეშმარიტი ღირებულების აღიარების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მოქმედების მხარდაჭერა;

(ზ) კულტურული საქმიანობის, კულტურის საქონლისა და მომსახურების, როგორც თვითმყოფადობის, ღირებულებისა და მნიშვნელობის განსახიერების განსაკუთრებული ხასიათის აღიარება;

(თ) სახელმწიფოების იმ სუვერენული უფლებების აღიარება, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი პოლიტიკისა და ზომების შენარჩუნებასთან, მიღებასა და განხორციელებასთან, რომლებიც შეესაბამება მათ ტერიტორიაზე კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და შემდგომ ხელშეწყობაზე;

(ი) საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის განმტკიცება პარტნიორობის სულისკვეთებით, კერძოდ, კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და შემდგომი ხელშეწყობის საქმეში განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობების გაფართოების მიზნით.

ტერმინს „მოქალაქე“ აქვს აგრეთვე ვიწრო სამართლებრივი განმარტებაც; წაიკითხეთ ყურადღებით:

მოქალაქე წარმოადგენს იმ სახელმწიფოს მაცხოვრებელს, სადაც კანონი იცავს ადამიანების მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს და სადაც ადამიანებს საკუთარი მოვალეობები აქვთ სახელმწიფოს წინაშე. ეს მოვალეობებია ქვეყნის კანონების დაცვა, ერთიან ხარჯებში წვლილის შეტანა, ქვეყნის დაცვა მტრის თავდასხმის შემთხვევაში. მოქალაქეობა განსხვავდება ეროვნებისგან ანუ ეთნიკური იდენტურობისგან. მოქალაქეს, როგორც საზოგადოების წევრს, შეუძლია გავლენა მოახდინოს, მონაწილეობა მიიღოს მის განვითარებაში და წვლილი შეიტანოს მის კეთილდღეობაში. ამგვარად, მოქალაქე არის როგორც უფლებების და მოვალეობების „მიმღები“, ასევე „მონაწილე“, რომელიც მონაწილეობას ღებულობს იმ ჯგუფის ცხოვრებაში, რომლის ნაწილადაც თავს აღიქვამს. მოქალაქეობის ერთ-ერთი ადრეული კონცეფცია უკავშირდება ძველი საბერძნეთის ქალაქ სახელმწიფოებს, სადაც „მოქალაქეებად“ ითვლებოდნენ ის ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ სახელმწიფოს საქმეებში მონაწილეობის კანონიერი უფლება. თუმცა მოსახლეობის მხოლოდ პატარა პროცენტი ითვლებოდა მოქალაქეებად: მონებს და ქალებს უბრალო ნივთებად თვლიდნენ, ხოლო უცხოელები საერთოდ არ შედიოდნენ ამ სიაში. იმ თავისუფალი ადამიანებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ მოქალაქის პრივილეგირებული სტატუსი, „მოქალაქეობრივი ღირსება“ ან „კარგი მოქალაქეობა“ მნიშვნელოვანი იყო. ამ ტრადიციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა იმ პასუხისმგებლობებს, რომლებსაც მოქალაქეობა აკისრებდა მოქალაქეებს. მოქალაქეობის ასოცირება ეროვნულ კუთვნილებასთან მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა, როდესაც ევროპის მთელი მასშტაბით ჩნდებოდა ეროვნული სახელმწიფოები და როცა „მოქალაქის“ სამართლებრივი სტატუსი ხშირად უკავშირდებოდა ეროვნულ სახელმწიფოს, მაშინაც კი, როცა აღნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნიკური წარმოშობის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში მოქალაქეობასა და პატრიოტიზმს შორის კავშირი კიდევ უფრო გაძლიერდა. მოქალაქეობის ლიბერალური გაგება, რომელიც საფრანგეთის რევოლუციასთან ერთად წარმოიშვა, ყურადღებას ამახვილებდა ყველა მოქალაქისთვის უფლებების მინიჭების მნიშვნელობაზე, კონსტიტუციის ერთგულებაზე და არა ეთნიკურ წარმომავლობაზე. რაც უფრო მეტ ადამიანს ეძლეოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სამართლიანობა და პოლიტიკური უფლებები უფრო მეტი ადამიანისთვის იქცეოდა რეალობად. მეოცე საუკუნეში „სოციალური მოქალაქეობის“ მხარდამჭერები უფრო შორს წავიდნენ და აღიარეს, რომ მოქალაქეებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები სახელმწიფოსგან უნდა ჰქონოდათ მინიჭებული. გასულ საუკუნეში მდიდარი სახელმწიფოების აღმავლობა მნიშვნელოვანწილად იმ მოაზროვნე ადამიანებს უნდა უმადლოდეს, რომლებიც

ამტკიცებდნენ, რომ მოქალაქეების უფლებები მათ საარსებო და სამუშაო პირობებსაც უნდა გულისხმობდეს. დღეს მოქალაქეობას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომლებიც ურთიერდაკავშირებული და ურთიერთ-დამოკიდებულია. „აქტიური მოქალაქეობა“ გულისხმობს მუშაობას უკეთესი საზოგადოების შექმნის მიმართულებით ეკონომიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო სამსახურში, ნებაყოფლობით საქმიანობაში მონაწილეობის გზით და სხვა ისეთი საქმიანობით, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ევროპის საბჭო ტერმინით „მოქალაქე“ აღნიშნავს „საზოგადოებაში სხვა ადამიანებთან ერთად მცხოვრებ ადამიანს“. „ეროვნული სახელმწიფოს“ ნაცვლად სიტყვა „თემი“ უკეთესად მიესადაგება იმ ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო გარემოს, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.

სახელმწიფო

ტერმინი სახელმწიფო უძველესი დროიდან იწვევდა ფილოსოფოსებისა და პოლიტიკოსების განსაკუთრებულ ინტერესს. ქვემოთ მოცემულია ანტიკური და მომდევნო პერიოდის რამდენიმე ცნობილი ისტორიული პირის თვალსაზრისი სახელმწიფოს არსის შესახებ:

არისტოტელეს *განმარტებით* - ,,ყოველი სახელმწიფო ერთგვარ კავშირს წარმოადგენს, ნებისმიერი კავშირი კი რაიმე სიკეთის მიღწევას ისახავს მიზნად, რადგან ყველა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რაც სიკეთე ჰგონია.” სახელმწიფო არის ოჯახებისა და გვარების კავშირი შექმნილი ბედნიერი, სრულყოფილი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. არისტოტელე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა პილიტიკურ დამოუკიდებლობას, რომლის გარეშეც სახელმწიფო წყვეტს არსებობას და გაურკვეველ ტერიტორია-აბსტრაქტად გადაიქცევა. არისტოტელესეული კლასიფიკაციით სახელმწიფოები იყოფიან დადებით სახელმწიფოებად და მათ დამახინჯებულ ფორმებად. ტირანია, იგივე დიქტატურა, არისტოტელეს მონარქიის დამახინჯებად მიაჩნია, ანარქია - დემოკრატიის, ოლიგარქია კი - არისტოკრატიის. რამდენადაც ტირანია სახელმწიფოს ხელმძღვანელის პირად ინტერესებს ემსახურება, ოლიგარქია - მდიდართა ფენის, ანარქია კი ღარიბთა ინტერესებს გამოხატავს, სამივე უარყოფით სახელმწიფოთა ჯგუფს მიეკუთვნება, ვინაიდან ზრუნავენ საზოგადოების მხოლოდ ნაწილზე და არა მთლიანად, საზოგადოებაზე. სახელმწიფოს ყველაზე უარყოფითი ფორმა არის ტირანია (დიქტატურა). ტირანი ზრუნავს მხოლოდ თავის პირად კეთილდღეობაზე და არა ხალხზე. იგი აღატაკებს მოსახლეობას, მუდმივად აწარმოებს ომებს, რათა თავისი, როგორც სახელმწიფოს დამცველის საჭიროება დაასაბუთოს, არ ენდობა საკუთარ გარემოცვასაც კი. დიქტატურის ყველაზე დიდი დანაშაულია ე.წ. ოსტარკიზმი, ანუ გამოჩენილი და ღირსეული ადამიანების დევნა-განადგურება, მაშინ, როდესაც დიდ პატივში არიან მლიქვნელები და

დემაგოგები, რომლებიც ტირანის ყოველგვარ ბოროტებას ხოტბას ასხამენ. ტირანიას ბუნებრივად უპირისპირდება დემოკრატია - ხალხის მმართველობა. რამდენადაც არისტოტელე ადამიანს განსაზღვრავს როგორც პოლიტიკურ არსებას (Zoon politikon), მისი აზრით, ადამიანი ყოველთვის მიისწრაფის საზოგადოებრივი ცხოვრებისაკენ, ანუ პოლიტიკისაკენ. პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო მას მიაჩნია საერთო სახალხო სფეროდ, რადგან ის ეხება თითოეული ადამიანის ინტერესებს. არისტოტელე მოითხოვდა სახელმწიფოს მართვაში ჩაბმულიყო მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა, ვინაიდან ,,ყველანი ერთად ან უკეთესნი არიან ერთ რომელიმე მცოდნეზე, ან სულაც არ არიან მასზე უარესნი". უმრავლესობა გაცილებით უკეთ განსჯის ვიდრე ერთი ადამიანი. როგორც ვხედავთ, აშკარაა არისტოტელეს უაღრესად დადებითი განწყობა დემოკრატიული სახელმწიფო სისტემის მიმართ, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ არისტოტელე ყოველმხრივ დადებითად აფასებდა დემოკრატიას. აქვე შეიძლება უინსტონ ჩერჩილის ცნობილი სიტყვებიც გავიხსენოთ: ,,დემოკრატია ძალიან ცუდი წყობაა, მაგრამ სამწუხაროდ უკეთესი ჯერ არ შექმნილა." არისტოტელე მომხრე იყო კანონის წინაშე თანასწორობისა, მაგრამ ღირსეული ადამინების უღირსებთან რეალური უფლებრივი გათანაბრება კი უსამართლობად მიაჩნდა. არისტოტელეს მიხედვით დემოკრატია აგებს არისტოკრატიასთან, რადგან დემოკრატია ემყარება მოსახლეობის უპოვარ ფენებს, ხოლო არისტოკრატია, ანუ რჩეულთა შორის რჩეულთა მმართველობა - ღირსეულ და ზნემაღალ ადამიანებს. არისტოკრატიას ახასიათებს განათლება, ზნეობა და კეთილშობილი წარმოშობა, დემოკრატიას კი, პირიქით - მდაბიო წარმოშობა, სიღატაკე და უკულტურობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიდი ფილოსოფოსის სიმპატიები არისტოკრატიული რესპუბლიკისაკენ უფრო იხრებოდა. სახელმწიფო საქმიანობას არისტოტელე აზროვნებას უკავშირებს, აზროვნების ადგილსამყოფელად კი სულს მიიჩნევს. სულს არისტოტელე ორ ნაწილად ყოფს. რაციონალურ, ანუ გონიერ და ირაციონალურ, ანუ გრძნობიერ (რომელსაც იგი უგუნურსაც უწოდებს) ნაწილებად. ალბათ აქედან იღებს სათავეს racio-ს ცნობილი ფენომენი, რომელიც შემდგომში მთელი ევროპული მენტალიტეტის საფუძველი გახდა.

***პლატონის** აზრით,* სახელმწიფო ტრანსცენდენტური სიკეთისკენ მიმართავს მოქალაქეებს. სახელმწიფო სამართლის შვილია, მოქმედებს სამართლის მიხედვით და იცავს ადამიანებს სამართლის მეშვეობით.

სახელმწიფო ადამიანის სამ სულსა და სათნოებებს ასახავს, ის სამ კლასად არის დაყოფილი:

პირველი კლასი: კეთილდღეობის შემქმნელნი: მუშები, გლეხები, ვაჭრები და ასე შემდეგ. შეესატყვისება ადამიანის გულისთქმათა სულს და თავშეკავებას.
მეორე კლასი: მებრძოლები. შეესატყვისება გზნებად სულს და კავშირშია სიმტკიცესთან.
მესამე კლასი: ბრძენები და ფილოსოფოსები, შეესატყვისება ადამიანის ინტელექტუალურ სულს და კავშირშია სიბრძნესა და შემეცნებასთან.

ბრძენები სახელმწიფოს ბუნებრივი მმართველები არიან, მეეტლის მსგავსად, მათ უნდა უხელმძღვანელონ სხვა კლასებს. სახელმწიფოს მმართველს ყველა სფეროში უნდა გააჩნდეს ცოდნა და 50 წლის ასაკამდე არ უნდა მართოს სახელმწიფო. ქონება და ქალები უნდა იყოს საერთო, ანუ სახელმწიფოსი, რომელიც ზრუნავს ცალკეული ადამიანების ინტერესებზე (კომუნიზმი). ეს თანამედროვე მატერიალისტური კომუნიზმის ფორმისგან განსხვავებული იდეალური კომუნიზმია

ციცერონს მიაჩნდა, რომ სახელმწიფო არის ადამიანთა სამართლებრივი ურთიერთობა, იურიდიული კავშირი; სახელმწიფო დაფუძნებულია სამართლიანობაზე.

გროციუსის *აზრით* - როგორც ,,თავისუფალ ადამიანთა კავშირს, საერთო სარგებლობისა და უფლებების დასაცავად." ის მოუწოდებს სახელმწიფოს არ ხელყოს ბუნებითი სამართლის ნორმები ომის დროს: დაინდოს ქალები, მოხუცები, ბავშვები, ადამიანურად მოეპყრას ტყვეებს, არ ძარცვოს მშვიდობიანი მოსახლეობა.

კანტს *მიაჩნდა, რომ* მნიშვნელოვნად ლიმიტირებული უნდა იყოს სამართლის ნორმებით, რათა არ მივიდეს დესპოტიზმთან და განუკითხაობასთან; სახელმწიფო უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების მსახური და არა ბატონი.

ჰეინემანის *აზრით* - „სახელმწიფოს" აქვს გეოგრაფიული ჩარჩოები და მოიცავს მის ფარგლებში მიმდინარე მთავრობის გარეთ არსებულ პოლიტიკურ პროცესებსაც, პოლიტიკურ კულტურას.

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების ისტორიისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე დოკუმენტის სამშობლო ინგლისის სამეფოა. მათ მთავარ მიზანს აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვა და პარლამენტარიზმის გაძლიერება წარმოადგენდა: ისტორიულად მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელმაც დასაბამი დაუდო ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაციებს, წარმოადგენს ინგლისის სამეფოს თავისუფლების დიდი ქარტია (Magna Carta Libertatum). 1215 წელს ინგლისის მეფეს ჯონ უმიწაწყლოს (1167-1216) ფეოდალებმა და სასულიერო პირებმა მასზე იძულებით მოაწერინეს ხელი და ქარტია ქვეშევრდომებისთვის აბსოლუტური მონარქიის წნეხისგან დაცვის ერთგვარი გარანტი გახდა. მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი 1679 წელს მიიღო ინგლისის პარლამენტმა და მას ეწოდება ჰაბეას კორპუს აქტი. აღნიშნული ტექსტით სავალდებულო გახდა პირის დაკავების ან დაპატიმრების კანონიერების საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ. ჰაბეას კორპუს აქტის მიღებიდან ათ წელიწადში, 1689 წელს, ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა უფლებათა ბილი (Bill of Rights), რომელიც ძირითადად აბსოლუტური მონარქიის პირობებში პარლამენტის როლის გაძლიერებას ემსახურებოდა, თუმცა აღნიშნული ტექსტით ასევე აღიარეს პროტესტანტთა უფლებები, ხოლო სასჯელად წამების გამოყენება აიკრძალა.

* * *

ადამიანის უფლებების ზოგადი პრინციპებია: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანსა და სახელმწიფოს ურთიერთობის სფეროს განეკუთვნება; ადამიანის უფლებები ინდივიდუალურია და არა კოლექტიური. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი ხალხთა თვითგამორკვევის უფლება; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები არ არის სახელმწიფოს მიერ ნაბოძები წყალობა, ისინი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად არსებობენ, ვინაიდან ჩვენ ადამიანებად დავიბადეთ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაფიქსირებულია თუ არა ეს სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და საკანონმდებლო აქტებში. ვინაიდან დემოკრატიის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი – ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცულობის ხარისხია. იურიდიული ასპექტით ამ მხრივ ძალიან ბევრი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მექანიზმი არსებობს, თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვა მისი სამართლებრივ აქტებში დეკლარირებით არ შემოიფარგლება. ის გაცილებით უფრო ფართო თემაა, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, მხოლოდ მაღალი მართლშეგნების მოქალაქე შეიძლება იყოს გარანტი დემოკრატიული პროცესების ურღვევობისა, აქედან გამომდინარე იურისპრუდენციაში ხშირად გამოიყენება ფორმულა: „ადამიანის უფლებების წახალისება და დაცვა“ (promotion and protection of human rights). „წახალისება“ გულისხმობს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების სათანადო დონის ჩამოყალიბება. სწორედ ასეთ საზოგადოებაშია შესაძლებელი ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის რეალური ამოქმედება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმები

კონსტიტუცია და საერთაშორისო ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნორმები საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავშია სისტემატიზებული. კონსტიტუციის მე-7 მუხლის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“.

ამავე კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

კონსტიტუციის 39-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და გარანტიებს, რომლებიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციური პრინციპებიდან.

ასევე მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს 2014 წლის აპრილის ბოლოს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", სადაც კიდევ ერთხელ იქნა განმტკიცებული დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები. თუმცა, არსებობს საკითხები, რომლებიც კრიტიკას იმსახურებს საზოგადოების გარკვეული წრის წარმომადგენელთა მხრიდან. მაგალითად ის საკითხი, რომ უფლების დაცვის სათანადო მექანიზმი არ არსებობს ამ კანონის მიხედვით. თუმცა, აღნიშნული კანონის მიღება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივისათვის და კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი მნიშვნელობა საქართველოს კანონმდებლობისათვის

ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო აქტს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია(1950) წარმოადგენს, ის იცავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და, ამავე დროს, განსაზღვრავს ამ უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ეფექტიან მექანიზმს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახით. ევროპულ კონვენციას ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს, ქ. რომში ევროპის საბჭოს წევრი თხუთმეტი სახელმწიფოს მიერ და ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს. მისი რატიფიცირება საქართველომ 1999 წელს მოახდინა, შესაბამისად, მისთვის ამოქმედდა კონვენციით გათვალისწინებული საზედამხედველო სისტემაც. თავის მხრივ კონვენცია უპრეცედენტოა რამდენიმე ფაქტორის გამო:

ა) ევროპულმა კონვენციამ ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე ზოგადი იდეალების ტრანსფორმირება კონკრეტულ სამართლებრივ დებულებებში;

ბ) კონვენცია სამართლებრივ ვალდებულებებს აკისრებს ხელშემკვრელ სახელწიფოებს, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ იმ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით;

გ) ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ევროპულ კონვენციას გამოარჩევს სხვა ანალოგიური საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისაგან, არის ადამიანის

უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმი, კერძოდ, ევროპული სასამართლო, რომელიც მოწოდებულია, განიხილოს სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური განაცხადები კონვენციითა და თანდართული ოქმებით განსაზღვრულ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით;

დ) ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები კისრულობენ სამართლებრივ ვალდებულებას, რათა აღასრულონ ევროპული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 1999 წლის 27 აპრილს. კონვენცია ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება 1999 წლის 29 მაისს. კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველეყო კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. აღებული ვალდებულება უწინარესად მოიცავს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანას იმ მოთხოვნებსა და სტანდარტებთან, რომლებიც დადგენილია ევროპული კონვენციითა და მისი საზედამხედველო ორგანოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლით, რომელიც გვევლინება კონვენციის დებულებათა ავტორიტეტული განმარტების წყაროდ.

ქვეყნის კანონმდებლობასა და პრაქტიკის შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემდეგ მიზეზთა გამო:

ა) კონვენციას, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, ქვეყნის სამართლებრივ იერარქიაში უფრო მაღალი სტატუსი აქვს, ვიდრე მიმდინარე კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და, შესაბამისად ეს უკანასკნელნი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდნენ ზემდგომ ნორმატიულ აქტებთან. ეს პრინციპი პირდაპირ არის დადგენილი საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლით და ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 26-ე მუხლით.

ბ) ქვეყნის კანონმდებლობა და დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც შეუსაბამოა ევროპულ კონვენციასთან და ევროპული სასამართლოს

პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებთან, წარმოშობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ქვეყნის წინააღმდეგ დიდი ოდენობით გადაწყვეტილებათა მიღების პოტენციურ საფრთხეს, რაც, თავის მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ზიანს მიაყენებს საქართველოს სახელმწიფო ავტორიტეტს საერთაშორისო დონეზე და გამოიწვევს დიდძალი თანხების გადახდას საქართველოს ბიუჯეტიდან განმცხადებელთა სასარგებლოდ;

გ) საქართველო თავისი კანონმდებლობით გახდებოდა ევროპის იმ განვითარებული სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემათა ოჯახის ნაწილი, რომლებიც ეფექტიანად იცავენ ადამიანის უფლებებს, არაორაზროვნად და

ნათლად აწესებენ სახელმწიფოთა ხელისუფლების ორგანოების ნეგატიურ და პოზიტიურ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეფექტიან დაცვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის პარაფირებაც 2013 წლის 27 ნოემბერს მოხდა და რომლის ხელმოწერაც 2014 წლის ივნისში იგეგმება- ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად(ეს იქნება თავისუფალი სავაჭრო სივრცე, უვიზო მიმოსვლა, სამართლებრივი დახმარება, ეკოლოგიური თუ სხვა საკითხები) შეიცავს ადამიანის უფლებების დაცვის მომწესრიგებელ ნორმებსაც, რომელსაც ეთმობა ხელშეკრულების მე-3 კარი. მხარეების განსაკუთრებული ყურადღება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას, კანონის უზენაესობის ხელშეწყობას, სასამართლოს დამოუკიდებლობას, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, ასევე პირადი მონაცემების დაცვაზეა გამახვილებული.

წაიკითხეთ ტერმინ „ლიბერალიზმის“ განმარტება:

ლიბერალიზმი - ფილოსოფიური, ეკონომიკური და პოლიტიკური სწავლება, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის თავისუფლებიდან, განკარგოს საკუთარი თავი და საკუთრება. ლიბერალიზმის იდეალია საზოგადოება, სადაც ყველას აქვს მოქმედების თავისუფლება, სადაც შეზღუდულია სახელმწიფო ხელისუფლება და მისი ფუნქცია მინიმუმამდეა დაყვანილი. ლიბერალიზმის ფუნდამენტური ღირებულებებია: საზოგადოების ყოველი წევრის პირადი თავისუფლება და პირადი პასუხისმგებლობა; არჩევნებისა და გაერთიანებების თავისუფლება; ხელისუფლების დაყოფა; კანონის უზენაესობა; საზოგადოების დემოკრატიული მშენებლობა და საზოგადოების დემოკრატიული კონტროლი სახელმწიფოზე; კერძო საკუთრება, ეკონომიკური თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკა; უფლებათა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობათა თანასწორობა ყოველი მოქალაქისათვის.

ლიბერალიზმის სხვადასხვა მიმართულება

ლიბერალიზმის შიგნით სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოძრაობას უარსებია. მათ შორის ყოფილა ლიბერალური ანუ სამოქალაქო ნაციონალიზმი, ქრისტიანული ლიბერალიზმი, სოციალური ლიბერალიზმი, ისე როგორც ნეოლიბერალიზმი. ერთი ნებისმიერი ადამიანის ლიბერალიზმი შესაძლოა ამ და სხვა საზროვნო ტრადიციების მიჯნაზე იდგეს, ან მათი ასპექტების კომბინაციას წარმოადგენდეს. მოკლედ, ლიბერალიზმი არ არის ერთი უნიფორმული და მონოლითური იდეოლოგია – არსებობს მისი სხვადასხვა მიმართულება და საზროვნო ტრადიციები. მაგალითად, ეკონომიკური

მოწყობის თვალსაზრისით, ნეოლიბერალი და სოციალური ლიბერალი განსხვავებული სახის სახელმწიფოებს უჭერენ მხარს.

ლიბერალიზმის მთავარი ღირსება ისაა, სხვა იდეოლოგიებისგან განსხვავებით, იგი საპირისპირო შეხედულებების პატივისცემას, განსხვავებულთა შემწყნარებლობას და პრობლემების, უთანხმოებების დიალოგისა და დებატების რეჟიმში გადაჭრის გზას ემხრობა, რაც, საბოლოო ჯამში, განსხვავებული ინტერესების და შეხედულებების მქონე, მაგრამ ურთიერთშეთანხმებულ ინდივიდთა გაერთიანებას ნიშნავს სახელმწიფოში.

კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპები

რა არის კლასიკური ლიბერალიზმი? ეს არის იდეოლოგია, ფილოსოფიური შეხედულება და პოლიტიკური ტრადიცია, რომლისთვისაც პიროვნების თავისუფლებაა უმთავრესი ღირებულება. ლიბერალისტებს შორის ბევრი დავის საგანია, მაგრამ ისინი თანხმდებიან ათ ძირითად პრინციპზე.

1. **თავისუფლება**. თავისუფლება არის უმთავრესი პოლიტიკური ღირებულება. ყოველ ჩვენთაგანს განსხვავებული ღირებულებები გააჩნია, მაგრამ როდესაც საქმე მიდის პოლიტიკამდე, ლიბერალებს აქვთ ერთი სტანდარტი. ისინი განიხილავენ სახელმწიფოს გარკვეული ქმედება ზღუდავს თუ პირიქით ზრდის პიროვნების თავისუფლებას.
2. **ინდივიდუალიზმი.** კლასიკური ლიბერალისტები მიიჩნევენ, რომ ცალკეული ინდივიდი კოლექტივზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენ არ უნდა გავთელოთ ცალკეული პიროვნებების ინტერესები, იმის გამო სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა რამ მიაჩნიათ მათთვის ღირებულად. ის რომ ცალკეული პიროვნებები არაფერს წარმოადგენდნენ იყო კომუნიზმის და ფაშიზმის იდეა. ლიბერალისტები მიიჩნევენ რომ ყოველი პიროვნება ანგარიშგასაწევია, ყოველი პიროვნება პატივისცემის ღირსია.
3. **სკეპტიციზმი ძალაუფლებასთან დაკავშირებით.** ძალაუფლება ეს არის შესაძლებლობა გააკეთებინო სხვა ადამიანებს ის, რასაც ისინი საკუთარი ნებით არ გააკეთებდნენ. მთავრობა ხშირად გვეუბნება, რომ ისინი გვაიძულებენ გავაკეთოთ ესა თუ ის რამ, რადგან ეს ჩვენს ინტერესებში შედის. სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევებში, ეს ქმედება სახელმწიფოს ინტერესებში შედის და არა ჩვენსაში. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ ყოველი ადამიანი თავად უფრო უკეთ განსაზღვრავს საკუთარი ინტერესებს, ვიდრე ვინმე სხვა. სხვა ადამიანები არ უნდა აიძულებდნენ მათ ისეთი ქმედებების გაკეთებას რაც მათ არ სურთ.
4. **კანონის უზენაესობა.** ეს იდეა გულისხმობს იმას, რომ არის რაღაც უმაღლესი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ყველა, მათ შორის

მთავრობაც და მისი მოქმედებებიც. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ კანონის უზენაესობა უნდა ვრცელდებოდეს ყველაზე. ყველა უნდა იყოს თანასწორი კანონის წინაშე, მიუხედავად მისი რასისა, სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციისა.

5. **სამოქალაქო საზოგადოება.** ეს არის ის ინსტიტუტები რომლებიც არსებობს სახელმწიფოსა და პიროვნებებს შორის. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ სოციალური პრობლემები უფრო ეფექტურად სწორედ ისეთი ინსტიტუტებით გადაიჭრება, როგორიცაა ოჯახი, ეკლესია, საქველმოქმედო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოება გაცილებით უფრო ეფექტურია ვიდრე სახელმწიფო მოხელეები და მკაცრი კანონები.
6. **სპონტანური თანმიმდევრობა.** თანმიმდევრობა ნიშნავს გარკვეული რეგულაციების და პროგნოზების არსებობას. როდესაც ადამიანები იღებენ რაიმე გადაწყვეტილებას, ისინი წინასწარ ფიქრობენ თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს მას. ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ თანმიმდევრობას ჭირდება გარკვეული ინსტიტუტები და ადამიანები რაღაც-რაღაცების ორგანიზებისთვის. ლიბერალებს ამის არ სჯერათ. ისინი მიიჩნევენ რომ თანმიმდევრობა შეიძლება წარმოიშვას სპონტანურად. ადამიანები თავისი ნებით სპონტანურად ქმნიან წესებს, რომლის მიხედვითაც ცხოვრობენ. ამის ნათელი მაგალითია ენების განვითარება. არავის შეუქმნია ცალკეული ენა, ისინი სპონტანურად განვითარდნენ ადამიანებს შორის კომუნიკაციის შედეგად. ამის შემდეგ კი დამკვიდრდა გარკვეული გრამატიკული წესები. მსგავსად არც ჩვენ არ გვჭირდება ადამიანები ჩვენი ცხოვრების წინასწარ დასაგეგმად.
7. **თავისუფალი ბაზარი.** იგულისხმება, რომ ეკონომიკური გაცვლა უნდა მივანდოთ ინდივიდებს. სახელმწიფომ არ უნდა უთხრას ადამიანებს რა ჩაიცვან სამსახურში, რა ააშენონ, რა აწარმოონ და რა არა. ამის გადაწყვეტა მივანდოთ ადამიანებს შორის ნებაყოფლობით ურთიერთქმედებებს. ისტორია გვიჩვენებს, რომ როცა სახელმწიფო არ ერევა ბაზარში და ტოვებს მას თავისუფალს, კომპანიები აწარმოებენ იმას რაც ხალხს რეალურად ჭირდება. შედეგად იზრდება სამუშაო ადგილები და მცირდება სიღარიბე.
8. **ტოლერანტობა.** ტოლერანტობა არის რწმენა იმისა, რომ შენ არ უნდა ჩაერიო სხვის საქმეში იმ შემთხვევაშიც კი თუ შენ ის არ მოგწონს. ტოლერანტობა არ ნიშნავს იმას, რომ შენ სხვას რთავ რაღაცის კეთების უფლებას, იმიტომ რომ შენ მისი ქმედება მოგწონს. მე შეიძლება ვფიქრობდე, რომ რაღაც ქმედება არის არასწორი, მაგრამ ამის გამო მე არ მოვითხოვ მის შეჩერებას და აკრძალვას. ამის კლასიკური მაგალითი ლიბერალებისთვის არის სიტყვის თავისუფლება. ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ თქვან ყველაფერი, ისიც კი რასაც ჩვენ ვეწინააღმდეგებით. ლიბერალები გაგებით ეკიდებიან სხვა ადამიანების ქმედებებს, ისეთებსაც რომლებიც მათ არ მოსწონთ და უპირისპირდებიან.

9. **მშვიდობა.** ეს არის მდგომარეობა როდესაც ჩვენ შეგვიძლია ვაკეთოთ ჩვენი საქმე ძალადობისა და ომის გარეშე. ლიბერალები მშვიდობას საუკეთესო მიღწევად მიიჩნევდა მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის მომხრენი არიან.
10. **მთავრობის შეზღუდული ძალაუფლება.** ლიბერალების აზრით მთავრობა ძალიან ცოტა საქმეში უნდა ჩაერიოს. მთავრობის მიზანი მარტივია, დაიცვას ჩვენი სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება. სხვა ყველაფერი ამის გარდა არაა .გამართლებული. შედეგად მივიღებთ მკაცრად შეზღუდულ მთავრობას

ლიბერალიზმი და რეალიზმი

ლიბერალიზმი, რეალიზმისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ერთიან თეორიულ სისტემას და დღევანდელი სახით ის უფრო მრავალი განსხვავებული იდეის ნაკრებია. მაშინ, როდესაც რეალიზმი განიხილება როგორც „სამთავრობო“ იდეოლოგია, ლიბერალიზმი უფრო ოპოზიციისაკენ იხრება და მისი ძირითადი დანიშნულება ეტყობა ძალისმიერი პოლიტიკის ლიდერების „დევნაა“. მიუხედავად ამისა, არსებობდა შედარებით მოკლე პერიოდები მეოცე საუკუნის მანძილზე, როდესაც ლიბერალიზმი ახდენდა მნიშვნელოვან გავლენას დასავლეთის რიგი სახელმწიფოების პოლიტიკურ ელიტასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. რეალიზმისგან განსხვავებით ლიბერალიზმი ფოკუსს ახდენს ადამიანის დადებით მხარეებზე, თუმცა კი, არ უარყოფს მათ ავ თვისებებსაც. ლიბერალიზმი ზოგადად აღიარებს, რომ ადამიანის ბუნებას აქვს ბნელი მხარე, მაგრამ ამავე დროს მათი თეორიის საფუძველს ქმნის მოსაზრება, რომ ადამიანები არიან რაციონალურები და რომ რაციონალურობის პრინციპი შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას საერთაშორისო საქმიანობაშიც. რაციონალურობა ლიბერალიზმის გაგებით კი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანებს აქვთ საერთო ინტერესები და მათ მისაღწევად ისინი თანამშრომლობაზე და დიალოგზე წავლენ როგორც ურთიერთშორის, ასევე საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დონეზე. ლიბერალების რწმენით, თანამშრომლობას მოაქვს სარგებელი ყველასათვის. ეს პრინციპები, რა თქმა უნდა დიდად ეწინააღმდეგება რეალიზმის ძირეულ პრინციპებს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები არიან რაციონალურები და ეგოისტები და რომ ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ფარდობით მოგებას რაც ძალიან ზღუდავს თანამშრომლობას.

რეალიზმი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც ძალის და ძლიერების კონცენტრაციას, ხოლო ლიბერალები, როგორც კონსტიტუციურ წარმონაქმნს, რომელიც აწესებს და მეთვალყურეობს კანონის უზენაესობას. ასეთი სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთს და ემორჩილებიან საერთაშორისო სამართალს, რომელიც ემყარება ურთიერთგაგების (reciprocity) პრინციპს.

* * *

ლიბერალია ადამიანი, ვისთვისაც პოლიტიკურად ყველაზე ღირებული პრიორიტეტებია სამართლიანობა, თავისუფლება, ისეთი პოლიტიკური წყობის მიღწევა, სადაც ძალაუფლება დაყოფილია და მას აკონტროლებენ. ლიბერალს სწამს პროგრესის და რეფორმის აუცილებლობის.

ლიბერალებს ხშირად იმის გამო ლანძღავენ, რომ მათ ქართული ეკლესიის მტრად მიიჩნევენ. სინამდვილეში, ლიბერალიზმი არ გულისხმობს ეკლესიასთან თუ რწმენასთან ბრძოლას, ლიბერალურ საქართველოში ეკლესიასაც ისევე ექნება არსებობისა და საკუთარი საქმიანობის განხორციელების საშუალება, როგორც ყველა სხვა მოქალაქეს თუ სამოქალაქო გაერთიანებას. ლიბერალიზმი არც „სამშობლოს ღალატს“ გულისხმობს. მსგავსი აზრები მხოლოდ ყველაზე უმეცარ წარმოსახვაში შეიძლება დაიბადოს, რომელიც მითებით საზრდოობს.

ლიბერალიზმი მიზნად ისახავს შექმნას საერთო სივრცე, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება გარანტირებული სამართალი, თავისუფლება და მოქალაქეობრივი უფლებები. სრულიად აბსურდულია მოსაზრება, რომ ლიბერალური სახელმწიფოს შენების პროცესი ვიღაცის განადგურებაზე ან დაკნინებაზე უნდა იდგეს. პირიქით, საუბარი გვაქვს ისეთი სივრცის შექმნაზე, სადაც ყველა მშვიდობიანად ითანაცხოვრებს და გარანტირებული ექნება საკუთარი უფლებები, მათ შორის რწმენის თავისუფლება. **რატომ გახდა საქართველოში ლიბერალიზმი სალანძღავი სიტყვა?** ამის მიზეზი ზოგადი უცოდინარობაა, რომლის მსხვერპლიც მარტო ლიბერალიზმი არ არის. ასევე, მნიშვნელოვანია მითებისა და ჭორების სიყვარული და მათთან მარტივად დანებება. ეს ძალიან სერიოზული საზოგადოებრივი სისუსტეა. ყველაზე ცნობილი ქართველი ლიბერალი – ილია ჭავჭავაძე მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად გამოაცხადა. რატომ ხდება, რომ ლიბერალი ილია, რომელსაც თავის დროზე სწორედ ლიბერალობისთვის ლანძღავდნენ, შემდეგ წმინდანი გახდა, დღეს კი ლიბერალობა ისევ სალანძღავი სიტყვაა, ანუ ილიას ფასეულობები ისევ მიუღებელია?

მის ნაწერებშიც და ცხოვრებაშიც ყველაზე მეტად აქტიური ცხოვრების კლასიკური იდეალი ჩანს. ეს ქმედების რეჟიმია, შემეცნების, განვითარების, წინსვლის. ილიას სურდა: ქმედითი, მღვიძარე, მჩქეფარე საქართველო.. ილიას ძალიან გაახარებდა დღეს თუ ვინმე მოისურვებდა მისი ნაწერები გაეაზრებინა. სამწუხაროდ, დღეს ილიას ქვეყანა კვლავ მძინარე და ინერტულია, თავად ილია კი ხატად არის გადაქცეული და გაყინულ დროში გამწესებული.

ლიბერალი ხალხის მტერი ხდება არათავისუფალ საზოგადოებაში – იქ, სადაც მითები ჯაბნის რეალობას, სადაც ადამიანები წარმოსახვითი წარსულის ტყვეობაში იმყოფებიან და მომავალს არ აშენებენ.

ქართული ლიბერალიზმის პრობლემა მის ფასადურობაშია. ის ცხოვრების წესი უფროა, რომელიც, ჰგავს მე-18 საუკუნის პარიზის სალონურ ცხოვრებასა და იდეალებს.

ამერ-იმერი

საქართველოს ტერიტორიული მოწყობა ასიმეტრიულია, ის მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და 79 მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტები ერთიანდებიან 9 მხარეში.

საქართველოს ტერიტორიულმა მოწყობამ საბოლოო სახე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ უნდა მიიღოს.

ავტონომიური რესპუბლიკები

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
- აჭარის ავტონომიური ოლქი.

მხარეები

აღმოსავლეთი:

- კახეთის მხარე
- შიდა ქართლის მხარე
- ქვემო ქართლის მხარე
- მცხეთა-მთიანეთის მხარე

დასავლეთი:

- იმერეთის მხარე
- გურიის მხარე
- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე
- სამცხე-ჯავახეთის მხარე
- რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე

საქართველოს დედაქალაქი **თბილისი** არ შედის არცერთ მხარეში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (აფხ. Аҧснытәи Автономтәи Республика), იურიდიულად საქართველოს შემადგენლობაშია; იგი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-AB. იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების - აფხაზეთის და სამეგრელოს (ნაწილობრივ) ტერიტორიას.

ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი შეადგენს 8700 კვ.კმ-ს, მოსახლეობა – დაახლოებით 100-120 ათასს. ავტონომიის დედაქალაქია ქალაქი **სოხუმი.**

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია და მმართველობის ორგანოები, ასევე საკუთარი დროშა და გერბი. საერთაშორისო კოდია: GE-AJ.

აჭარა განლაგებულია საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, სამხრეთით ესაზღვრება თურქეთს. ფართობი შეადგენს 2900 კვ.კმ-ს, მოსახლეობა – დაახლოებით 334 ათასს. ავტონომიის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ბათუმი.**

კახეთის მხარე აღმოსავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების კახეთის, ჰერეთის (ნაწილობრივ)და თუშეთის ტერიტორიებს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-KA.

მხარის ფართობი შეადგენს 11 310 კვ.კმ-ს, მოსახლეობა — 318,583. მოსახლეობის 85,16% ქართველია, 10,16% აზერბაიჯანელი, 4,68% სხვა ეროვნებების წარმომადგენელი. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **თელავი.**

შიდა ქართლი მხარე აღმოსავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია შიდა ქართლის ცენტრალურ ნაწილს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-SK.

მხარის ჩრდილოეთი ნაწილი მოიცავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს, რომლის ავტონომიის სტატუსი გაუქმდა საქართველოს სსრ კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, რასაც კონფლიქტი და მთავრობის მიერ ამ რეგიონზე კონტროლის დაკარგვა მოჰყვა.

ტერიტორიის ფართობი _ 6200 კვ.კმ (მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშაა 4807 კვ.კმ). ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. **გორი;** მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 75კმ-ია.

ქვემო ქართლის მხარე აღმოსავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ქვემო ქართლის და თრიალეთის ტერიტორიებს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-KK.

მხარის ფართობი შეადგენს 6528 კვ.კმ-ს, რაც საქართველოს საერთო ფართობის 10%-ია. საქართველოს მხარეებს შორის ქვემო ქართლს ფართობით მე-4 ადგილი უკავია, ხოლო მოსახლეობით მე-3. მოსახლეობა 497 ათასია. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **რუსთავი.**

მცხეთა-თიანეთის მხარე აღმოსავლეთ საქართველოშია;

იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების შიდა ქართლის, ერწო-თიანეთის, ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრის, ქსნისხევის ტერიტორიებს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-MM.

მხარის ფართობი შეადგენს 6785 კვ.კმ-ს, მოსახლეობა – 125 ათასს. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **მცხეთა.**

სამცხე-ჯავახეთის მხარე სამხრეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების - სამცხის, ჯავახეთის და თორის ტერიტორიებს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-SJ.

მხარის ფართობი შეადგენს 6413 კვ.კმ-ს, მოსახლეობა - 160,504, მათგან 48,28% ეთნიკურად ქართველია, 50,52% კი სომეხი.

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ახალციხე.**

იმერეთის მხარე დასავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია იმერეთის ტერიტორიას. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-IM.

მხარის ფართობი შეადგენს 6552.3 კვ.კმ-ს, მოსახლეობა - 700 ათასს. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ქუთაისი.**

გურიის მხარე დასავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია გურიის ტერიტორიას.

2014 წლის აღწერის მონაცემებით გურიის მოსახლეობის რაოდენობა 113 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 3,1%-ს შეადგენს. მოსახლეობის 98% ეთნიკურად ქართველია, 1% - სომეხი. ძირითადად ცხოვრობენ გურულები, მოსახლეობის დაახლოებით 10-12% აჭარელია. მოსახლეობის 86% მართლმადიდებელია, 11,4% - მუსლიმი.

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ოზურგეთი.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე დასავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების სამეგრელოს და ზემო სვანეთის ტერიტორიებს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-SZ.

მხარის ფართობი შეადგენს 7441 კვ.კმ-ს, მოსახლეობა — 466 ათასს. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ზუგდიდი.**

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე დასავლეთ საქართველოშია; იგი მოიცავს ისტორიულ–გეოგრაფიული პროვინციების რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის (ნაწილობრივ) ტერიტორიებს. რეგიონის საერთაშორისო კოდია: GE-RL

მხარის ფართობი შეადგენს 4 954 კვ.კმ-ს, მოსახლეობა - 51 ათასს. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი **ამბროლაური.**

ქვემო ქართლი

ქვემო ქართლი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, ქართლის ერთი ნაწილი. იგი შემოსაზღვრული იყო თრიალეთის, ჯავახეთისა და ბამბაკ-ერევნის ქედებით. ქვემო ქართლის უმეტესი ნაწილი თბილისიდან სამხრეთით მდებარეობს. მისი საზღვრები ძირითადად ემთხვევა ისტორიული პროვინციის საზღვრებს, თუმცა აერთიანებს გარე კახეთის ნაწილსაც (კუხეთი და გარდაბანი). ჩრდილოეთი და დასავლეთი საზღვრები მიუყვება თრიალეთისა და სამსარის ქედებს. სამხრეთიდან ესაზღვრება აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. მხარის ფართობი შეადგენს 6528 კვ.კმ–ს, რაც საქართველოს საერთო ფართობის 10%-ია.

საქართველოს მხარეებს შორის ქვემო ქართლს ფართობით მე-4 ადგილი უკავია, ხოლო მოსახლეობით მე-3. მოსახლეობა — 497 ათასს შეადგენს.

მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი რუსთავი. მხარეში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორის: ქალაქი — 7: რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, წალკა;

დაბა — 6: კაზრეთი, მანგლისი, თამარისი, შაუმიანი, ბედიანი, თრიალეთი;

სოფელი — 338.

ქვემო ქართლის მოსახლეობა 423,986 ადამიანია, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,42%- ია. მოსახლეობის 51,25% ეთნიკურად ქართველია, 41,75% აზერბაიჯანელი, 5,07% - სომეხი, ხოლო 1,93% - აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. ამასთან, რუსთავში, თეთრიწყაროს, გარდაბნისა და წალკის მუნიციპალიტეტებში ჭარბობენ ეთნიკურად ქართველები, ხოლო მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში - აზერბაიჯანელები.

ქვემო ქართლი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მხარეა. მას თბილისის შემდეგ მეორე ადგილი უკავია სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ.

რუსთავის მეტალურგიული კომბინატი უდიდესი სამრეწველო ცენტრია საქართველოში. მრეწველობის დარგებიდან წამყვანია ენერგეტიკა, რადგან აქ მდებარეობს გარდაბნის თბოელექტროსადგური. არის აგრეთვე საშენი მასალების, კვების და მსუბუქი მრეწველობის მცირე საწარმოები. მნიშვნელოვანი საწარმოებია მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ღვინის ქარხანა. წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, მათ შორის მევენახეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა, ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობა, სახორცე-სარძევე-სამატყლე მიმართულების მეცხოველეობა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის თბილის-ერევნის რკინიგზის ხაზი.

მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- ბოლნისის სიონი
- ფიტარეთის მონასტერი
- ბირთვისის ციხე-სიმაგრე
- დმანისის ნაქალაქარი
- სამშვილდე (ციხე-ქალაქი)

მოგზაურობა ჯავახეთში

ჯავახეთი შემოდგომაზე უნდა ნახო. რეკომენდებული კი გვიან გაზაფხულიდან ადრე შემოდგომამდეა, როცა შეგიძლია ფრინველების გადაფრენის პროცესსაც დააკვირდე.

აი, ასე: შეამოწმე ამინდის პროგნოზი, თოვლი არსაიდან დაგატყდეს (გზამ ნამქერი, ლიპყინული და ჩაკეტვა იცის), აღიჭურვე შესაბამისი ფეხსაცმლითა და სამოსით, ჩაჯექი მანქანაში და დაადექი გზას აუცილებლად თეთრიწყაროს მხრიდან.

ჯავახეთი სულ სხვანაირი საქართველოა – უჩვეულოდ ტრამალოვანი, ტბამრავალი, ჭალებიანი, უტყეო, წეროსბუდეებიანი, ცოტახალხიანი, ღრმაკანიონებიანი, იდუმალი.

მე შენს ადგილზე **დაშბაშის** კანიონით დავიწყებდი. მარტივი და მოკლე ბილიკია (დაღმართ/აღმართი). მერე, **საყდრიონს, ფოკას, ფარავანს** შევუვლიდი, რუხია, მაგრამ

საინტერესო, ბევრგან მიტოვებული. ბევრ ისტორიას გიყვება. ეცადე, **საღამოს ტბა** საღამოს ნახო, მიდი და ჩახედე გულში – მართლა საოცრებაა.

საჭმელი **ნინოწმინდაში** შეგიძლია საღამოს ჭამო და შერჩეულ სასტუმროს მიაშურო; თუ მოასწრებ, კიდევ რამის სანახავად გაიარე. თუნდაც ის ნახე, აბა, ყაურმის თაღებიანი ხიდი პონტე პიეტრასავით ხომ არ გაანათეს.

ღამის გასათენებლად მე **მადათაფას** საოჯახო სასტუმროს ავირჩევდი. ღამე მასპინძელს რომ მიადგები, აზრზე რომ არ ხარ, გარშემო რა ხდება, დაიძინებ და დილას გამოღვიძებული რომ ჩავარდები, იმ შოკს არ გამოვტოვებდი. შოკის მომგვრელი აივნიდან მთელ შენს თვალსაწიერზე გაშლილი ტბა და მთებია, თან როგორები, იდუმალები, არც ხით რომ გეუბნებიან სათქმელს, არც ბუჩქით, დგანან და გიყურებენ.

გორელოვკა მზეს დაამთხვიე, თან სახელიც ითხოვს და თან, რა იცი, წასული **დუხობორების** აჩრდილები არ აგედევნონ საღამოჟამს.

ქოთნებივით მოხატული სახლების ნახვაც მზეში ჯობს. ქვის ძველი სახლების ცოცხალ სახურავებზეც მზეში უკეთ გაარჩევ, რამდენ მცენარეს იტევს თითო. ის ცისფერი მუზეუმიც არ გამოტოვო, დუხობორების, „ობლის სახლს“ რომ ეძახიან.

ასე ფერადად იცი, რატომ მინდა დაინახო? რუხ და ცივ ფერებში შესაძლოა, გული დაგიმძიმდეს, ჰოდა, ეგ სულ არ არის ჩემი მიზანი.

კოთელია ხომ საყვარელი სახელია? ძველი ჯავახებით დასახლებული სოფელია ახალქალაქიდან 15 კილომეტრში, ზღვის დონიდან 1680 მეტრზე. გზა ასფალტიანი მიდის. აიარე, ნახე, აქ როგორ ცხოვრობენ, რა უხარიათ. ადამიანებიან სახლებში, შესაძლოა, სამოვრის ჩაისა და ბლინებსაც გამოჰკრა ხელი.

კიდევ ნახე, კოთელიაში XV-XVI საუკუნეებში აშენებული, დარბაზული ტიპის, მიტოვებული ეკლესიის სამრეკლოზე როგორ ბუდობენ **ყარყატი** და **ყანჩა.**

ვარძიაზე ახალი მე რა უნდა გითხრა, იქვე ახლოს კარგი სასტუმროა გახსნილი, ცოტა ხანს იქ დაისვენე და ისე შეუდექი გზას, კარგა ძალა დაგადგება.

ისე დაგეგმე, რომ დაღამებამდე **მანგლისამდე** მაინც ჩამოხვიდე, ნისლი იცის ამ სეზონზე.

მოკლედ, ჩემი აზრით, ჯავახეთი ყველა სეზონზე სანახავია – სულ სხვადასხვანაირი. არ არსებობს, ჯავახეთით არ „მოიწამლო“ და ზუსტად ვიცი, კიდევ წახვალ.

ჰომო რელიგიუს (HOMO RELIGIOSUS). ადამიანის არსების, როგორც ქმნილების, სხვადასხვა განზომილებათა ერთ მთლიანობაში გააზრებისას რელიგიური ცნობიერება უმნიშვნელოვანეს თანდაყოლილ ნიჭად უნდა მივიჩნიოთ. ადამიანი იცნობს თავის თავს, როგორც **იარაღის მკეთებელს** (ჰომო ფაბერ - homo faber), როგორც **გონიერს, მოაზროვნეს** (homo sapiens), როგორც **ზნეობრივს** (ჰომო მორალის - homo moralis), რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სულდგმულთაგან განსხვავებით, პასუხისმგებელია თავის ფიქრებსა და საქციელზე, რომ მას შეუძლია შეაფასოს საკუთარი მოქმედება, იყოს საკუთარი თავის მსაჯული...

ადამიანის პოტენციალის სრული რეალიზაცია მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი, საზოგადოების გარეშე ის ვერ იქნება ვერც იარაღის მკეთებელი, ვერც მოაზროვნე, ვერც ზნეობრივი და ა. შ. ეს უნარები გულისხმობს საზოგადოების არსებობას, მაგრამ საზოგადოების დვრიტა თავად ადამიანის ბუნებაშია ჩადებული ერთბაშად ამ უნარების სახით, ანუ საზოგადოება და ადამიანის უნარები თანდათანობით, ევოლუციის გზით არ შეკრებილა ადამიანში, პრაქტიკაში არ შეუძენია — პრაქტიკაში მხოლოდ მათი მანიფესტაცია მოხდა.

მაგრამ აქ ჩამოთვლილი უნარები არ კმარა იმისათვის, რომ ცოცხალ არსებას **ადამიანი** ეწოდოს. ცხოველიც **ქმნის** (თახვები და თხუნელები დიდებულ დარბაზებს აგებენ), ცხოველიც **იქცევა გონივრულად,** ცხოველსაც აქვს **დარცხვენის უნარი** (ეს შინაურ ცხოველებს ეხება), ცხოველიც **თამაშობს,** ცხოველებიც **ცხოვრობენ საზოგადოებრივად,** მოწესრიგებულ ჯოგებად, მაგრამ არის კიდევ ერთი განზომილება, რომელიც აკლია ცხოველთა სამყაროს, რაც გულისხმობს ადამიანში მასზე მაღლა მდგომი არსების ან რეალობის განცდის უნარს. ეს უნარი არის **რწმენა,** რომელიც ადამიანს ქმნის რელიგიურ არსებად.

ადამიანი აფასებს საკუთარ ფიქრს და ქცევას არა მხოლოდ როგორც მორალური არსება, არამედ, როგორც რელიგიური არსებაც, აფასებს არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღვთაებრივი პოზიციებიდანაც, ანუ იმ დამკვირვებლისა და მსაჯულის თვალით, რომელიც მასზე უსასრულოდ მაღლაა სამყაროს იერარქიაში. **„ჰომო რელიგიუს“** თავის აზროვნებაში, თავის ქცევაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელობს ღვთაებრივი და არა მხოლოდ ადამიანური კრიტერიუმებით; ის უფრო მეტს ხედავს თავის ყოფიერებაში და მთელ საგნობრივ სამყაროში, ვიდრე აღქმით ან, თუნდაც, გონების თვალით შეიძლება იქნეს დანახული. ის არღვევს ხილულ კედელს უხილავის დასანახად, რწმენა მსჭვალავს და აზრს აძლევს ყველა სხვა უნარს ადამიანში.

ენათა მრავალფეროვნება საქართველოში

ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს, რადგან ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ სხვადახვა ეთნიკურ ჯგუფს. ქართული (აგრეთვე მეგრულ-ლაზური და სვანური) მიეკუთვნება ქართველურ ენათა ჯგუფს. ინდოევროპული ენების სხვადასხვა ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოში არსებული ენები, კერძოდ, რუსული _ სლავურ ჯგუფს, სომხურს და ბერძნულს აქვთ საკუთარი ჯგუფი ინდოევროპულ ენათა ჯგუფში, ოსური მიეკუთვნება ირანულ ენათა ჯგუფს. აზერბაიჯანული მიეკუთვნება თურქულ ენობრივ ჯგუფს ალათაურ ენათა ოჯახში. ქვემოთ წარმოდგენილი საქართველოს ლინგვისტური რუკა კარგად ასახავს საქართველოს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას:

რუკა შედგენილია ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორის იოსტ გიპერტის მიერ (http://titus.uni-frankfurt.de).

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქართულთან ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი მიცემული აქვს აფხაზურს – ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში 2 სახელმწიფო ენაა.

* * *

საზოგადოდ, სახელმწიფო ენას აქვს კონსტიტუციით ან სხვა ლეგალური ინსტრუმენტებით სანქცირებული როლი სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის

ურთიერთობისთვის (სამთავრობო დეპარტამენტები, იურიდიული სისტემა, სკოლები და ა. შ.). ეს გულისხმობს, რომ კერძო ურთიერთობებში მოქალაქეებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ენა, მაგრამ ქვეყნის ოფიციალური ენა არის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მშობლიური ენა - ქართული.

ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ქართულის მონათესავე მეგრული, ლაზური და სვანური ენები.

ქართულ ენაში გამოყოფენ 16 დიალექტს; ესენია: ქართლური, კახური, ხევსურული, ფშაური, მოხეური, თუშური, ინგილოური (აზერბაიჯანში), ფერეიდნული (ირანში), იმერხეული (თურქეთში), მესხური, ჯავახური, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური.

ქართული ენის განვითარებაში გამოიყოფა ძველი და ახალი ქართული. ძველი ქართული ენა უძველესი დროიდან მეთერთმეტე საუკუნის ბოლომდე არსებობს. ძველი ქართული ენა მკვეთრად ჩამოყალიბებული ნორმების სისტემაა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბებას იწყებს მეთორმეტე საუკუნეში. მას საფუძვლად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტები — ქართლური და კახური დაედო.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენაში ფასდაუდებელია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა სახელოვან მოღვაწეთა დამსახურება.

საინტერესოა, რომ ცნება ქართველი და სახელმწიფო ენის სახელწოდება „ქართული“ დღევანდელ სინამდვილეში ურთიერთაცდენილი ტერმინების შთაბეჭდილებას ტოვებს: ქართულის გარდა, ცნება „ქართველი“ მიცავს მეგრულ და სვანურ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებსაც. ქართველური ენებია ქართული, ზანური (იგივე კოლხური, ანუ მეგრულ-ჭანური) და სვანური; იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში ქართველური ენა ერთადერთია, რომელსაც აქვს უძველესი დამწერლობა.

* * *

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია 80-მდე სხვადასხვა ენა. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ 4 რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი უმცირესობათა წარმომადგენლები: **აფხაზები** (აფხაზეთი), **ოსები** (სამხრეთ ოსეთი), **აზერბაიჯანლები** (ქვემო ქართლი) და **სომხები** (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლიდან – წალკის რაიონი).

აფხაზური ენა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს განეკუთვნება, აფხაზეთში დღეს წარმოდგენილია ბზიფური და აბჟუური დიალექტებით. პირველი მათგანი გავრცელებულია, ძირითადად, ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კი - სამხრეთ-აღმოსავლეთით. განსხვავებები

აფხაზურ ენასთან ძალიან ახლოს დგას ჩრდილოკავკასიელი აბაზების ენა. აფხაზური და აბაზური ენები, ფაქტობრივად, ერთ ენობრივ ერთეულს წარმოადგენენ. ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ენითა და კულტურით აფხაზებს ენათესავებიან აგრეთვე ადიღები (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) და უბიხები. ეს უკანასკნელნი 1864 წლამდე დღევანდელი ქ. სოჭის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ხოლო ამჟამად, ძირითადად, თურქეთში არიან განსახლებულნი.

აფხაზური ენა ახალი დამწერლობის მქონე ენაა. ადრე გამოიყენებოდა ბერძნული ენა და დამწერლობა მწიგნობრობის, სახელმწიფო კანცელარიისა და ეკლესიის ენად; შემდეგ მას ჩაენაცვლა ქართული. XVIII საუკუნიდან აფხაზეთში ვრცელდება თურქულ-ოსმალური დამწერლობა, თუმცა არც ქართული იყო დავიწყებული. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გავრცელებას იწყებს რუსული ენა და დამწერლობა.

* * *

ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს. ოსები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე - ირონულსა და დიგორულზე. ლიტერატურული ენის საფუძველია ირონული დიალექტი.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ოსთა უშუალო წინაპრებს, ჩრდილო-კავკასიელ ალანებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ადრევე ჰქონიათ დამწერლობა: ისინი იყენებენ ბერძნულ დამწერლობას.

ოსები უძველესი ისტორიის მქონე ხალხია, მაგრამ პროფესიული ოსური მწერლობის განვითარება XIX საუკუნიდან იწყება.

ოსური ანბანი რუსული ანბანის გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აკადემიკოსმა ანდრეი შეგრენმა.

ჩრდილოეთ ოსეთში ოსურ ენას შეისწავლიან, როგორც საგანს, ხოლო სწავლების ენა დაწყებით კლასებშივე არის რუსული...

* * *

აზერბაიჯანული ენა შედის ალათაურ ენათა ოჯახის თურქულ ჯგუფში. აზერბაიჯანული ძალიან ახლოს დგას თურქულ ენასთან და, ფაქტობრივად, მის დიალექტს წარმოადგენს. აზერბაიჯანელებს არ უჭირთ თურქული ენის გაგება.

ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობამ ჯერ კიდევ არ იცის ქართული ენა. რუსულმა კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის ერთადერთი ენა იყო, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დაკარგა ეს ფუნქცია... სამწუხაროდ, განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ აზერბაიჯანულად საუბრობს და სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის არა თუ ქართულს, უკვე რუსულ ენასაც ვეღარ იყენებს.

* * *

სომხური ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახის ცალკე მდგომ - სომხურ ჯგუფში.

სომხები კომპაქტურად არიან განსახლებულნი და სხვადასხვა ოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მრავლად არიან თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში. სახელმწიფო ენის ცოდნის მხრივ, რეგიონებსა და ქალაქებში განსხვავებული ვითარებაა.

ჯავახეთის სოფლის მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. გარკვეული ფაქტორების გამო (ახალციხესა და ახალქალაქში 2005 წლამდე რუსული სამხედრო ბაზები იყო განთავსებული; გარდა ამისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი დროებით სამუშაოდ რეგულარულად დადის რუსეთში...), აზერბაიჯანულენოვანი

მოსახლეობისგან განსხვავებით, რუსულმა ენამ აქ ფუნქციები შეინარჩუნა. შესაბამისად, შენარჩუნდა სომხურ-რუსული ბილინგვიზმიც...

ჯავახეთის სომხური მოსახლეობისაგან განსხვავებით, თბილისში მცხოვრებმა სომხებმა იციან სახელმწიფო ენა, რაც განპირობებულია იმით, რომ თბილისში სომხებს ყოველდღიურ, ყოფით თუ პროფესიულ დონეზე, ურთიერთობა უწევთ ქართულენოვან მოსახლეობასთან. ისინი, როგორც წესი, რუსულ ენასაც ფლობენ და ტრილინგვალები არიან.

სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო სომხური და რუსული ტელეარხებია. რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ტელეკომპანია და სომხეთის, რუსეთისა და საქართველოს რამდენიმე ტელეარხის ტრანსლირებაც ხდება; თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა არ უყურებს ქართულ ტელეარხებს, ვერ კითხულობს ქართულენოვან პრესას და, რაც მთავარია, უკმაყოფილებას გამოთქვამს სახელმწიფო ენის არასათანადოდ სწავლებასთან დაკავშირებით...

საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ეთნიკური და ენობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სომხურენოვანი სკოლები, თუმცა, კვლავ მოუწესრიგებელია სახელმწიფო ენის სწავლების პროცესი, რაც ამ რეგიონის მოსახლეობას ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესში.

გავრცელებულ რელიგიათა მიმდევრების რაოდენობა მსოფლიოში

(**წყარო:** ენციკლოპედია «ბრიტანიკა»)

ქრისტიანები – 2.1 მილიარდი
ისლამის აღმსარებელნი – 1.5 მილიარდი
ინდუიზმის აღმსარებელნი – 900 მილიონი
ჩინური ხალხური რელიგიების მიმდევარნი – 394 მილიონი
ბუდიზმის აღმსარებელნი – 376 მილიონი
არატრადიციული რელიგიების მიმდევარნი – 121 მილიონი
გვარტომობრივი რელიგიების მიმდევარნი – 111 მილიონი
სიქჰიზმის მიმდევარნი – 19 მილიონი
იუდაიზმის აღმსარებელნი – 14 მილიონი
სპირიტუალისტები – 15 მილიონი
ბაჰაის მიმდევარნი – 7 მილიონი
ჯაინიზმის მიმდევარნი – 4.2 მილიონი
არარელიგიურები – 641 მილიონი
ათეისტები – 220 მილიონი

გამოყენებული ლიტერატურა

ახალაშვილი ნ. , http://indigo.com.ge/articles/travel/mogzauroba-javaxetshi

გაბუნია კ., ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში: 1. ქართველური ენები; გვ. 45-69 2. კავკასიური და არაკავკასიური ენები; გვ. 1-26: „საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისათვის; თბილისი, 2014.

გაბუნია კ. , ეზუგბაია ლ., ქირია ჭ., ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში; თბილისი, 2008;

გაბუნია კ., კულტურა და განათლება, საქართველოს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნება; თბილისი, 2015;

ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა; თბილისი, 2008

ენციკლოპედია «ბრიტანიკა», 2001 წელი

პაპუაშვილი ნ., მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბილისი, 2011;

რელიგიები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა; თბილისი, 2008;

ტაბატაძე შ., გაბუნია კ., ოძელი მ., რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის; თბილისი, 2008.

http://titus.uni-frankfurt.de